

N 2 2026

მასწავლებელი



განათლების, მეცნიერება და
ახალგაზრდობის სამინისტრო



სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149



ძვირფასო მასწავლებლებო!
ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„ციფრული ტრანსფორმაცია განათლებაში“



mastsavlebeli.ge

მასწავლებლის წიგნი

ციფრული ტრანსფორმაცია
განათლებაში

თანამედროვე გაკვეთილები



20

50



მასწავლებელი

№2(111), 2026
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რეიდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედაქციები:
ეკატერინე ხუციშვილი,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყემელაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მანანა ბოჭორიშვილი,
თამაზ დოლიძე, მაია ზიზიბაძე,
ნატო ინგოროყვა,
ლელა კოტორაშვილი,
მაია ფირჩხაძე,
ლევან ახვლედიანი,
თათია ბარბაქაძე,
მარიამ გოდუაძე,
თინათინ ზარდიაშვილი,
ნესტან მიქაძე,
ლელა ცარციძე,
გიორგი სილაგავა,
ბელა გურგენიძე,
მარიტა ჩერქეზიშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი:
FutureBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მისაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალ „მასწავლებლის“ რედაქციის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უცყარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1
გ-374

www.tpdc.ge

ნატო ინგოროყვა



სწავლება კითხვების დასმით იწყება – რა უნდა ვიცოდეთ, რისი ცოდნა გვსურს, როგორ შევიძინოთ ეს ცოდნები?

სკოლაც მუდმივი ძიების, მცდელობისა და ზოგჯერ შეცდომების სივრცეა. აქ შესაძლოა, საბოლოო პასუხი ვერ მივიღოთ ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვან კითხვებზე, მაგრამ ვისწავლოთ, როგორ დავგვათ შეკითხვა სწორად.

ჟურნალის ამ ნომერში თავმოყრილი წერილები სწორედ პასუხების ძიების სხვადასხვა გზას გვიჩვენებს. მასწავლებლები, რომლებიც საკუთარ პრაქტიკას აკვირდებიან და აანალიზებენ, ხშირად ცვლიან სწავლების მეთოდებს. თანამედროვე სწავლება მხოლოდ ახალი მასალის ახსნით არ შემოიფარგლება, ის გამოცდილებაა, რომელსაც გაკვეთილების დროს იძენ, რომელიც ზოგჯერ კვლევას ჰგავს, ზოგჯერ – დიალოგს და ზოგჯერ – ფიქრის კულტურას გვასწავლის.

ამ პროცესში განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება ერთი რამ – განათლება მხოლოდ ცოდნის დაგროვება არ არის. ის არის ღირებულებების ფორმირება, დამოკიდებულებების ჩამოყალიბება, სამყაროსთან ურთიერთობა. პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, სხვის და იმ მომავლის წინაშე, რომელსაც ყოველდღე ვქმნით.

ამ სწრაფად ცვალებად სამყაროში, სადაც ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდება, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ადამიანის უნარია – იფიქროს, იეჭვოს, გაარჩიოს. შესაძლოა, სწორედ ეს არის

თანამედროვე განათლების მთავარი ამოცანა: არა მხოლოდ გვასწავლოს, რა ვიცოდეთ, არამედ გვასწავლოს, როგორ ვიცხოვროთ ცოდნასთან ერთად.

თანამედროვე განათლებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ღირებულებით განათლებას. ცოდნა ვერ იქნება სრულყოფილი, თუ ის არ არის დაკავშირებული პასუხისმგებლობასთან, პატივისცემასთან, სამართლიანობასთან და მოქალაქეობრივ ცნობიერებასთან. სწორედ ამ ღირებულებებზე დაფუძნებული განათლება ქმნის საფუძველს საზოგადოების განვითარებისთვის.

ინფორმაციის სიჭარბე და სოციალური რეალობის დინამიკა, მნიშვნელოვნად ზრდის კრიტიკული აზროვნების აუცილებლობას. ამიტომ თანამედროვე განათლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სააზროვნო უნარების განვითარება – ინფორმაციის გაანალიზება, კითხვების დასმა და ცოდნის პასუხისმგებლობით გამოყენება.

ჟურნალის ეს ნომერი აერთიანებს თეორიულ ხედვებს, პრაქტიკულ გამოცდილებასა და სასწავლო რესურსებს. გვინდა, რომ ჟურნალი „მასწავლებელი“ კვლავ დარჩეს სივრცედ, სადაც პროფესიული გამოცდილებები განიხილება და ახალი იდეების საფუძვლად იქცევა.

ეს ნომერი არის მცდელობა, სხვადასხვა კუთხიდან, სხვადასხვა გამოცდილებით შევეხოთ დაგროვილ კითხვებს. შესაძლოა, მკითხველმაც აქ იპოვოს კითხვებზე პასუხები და თავისი საკუთარი შეკითხვაც დასვას.

გამოცდილება

9 ინდივიდუალური სწავლების ლაბირინთში

თამთა დოლიძე

არასდროს დამეფიწყებდა, როგორ ხელის ცეცებით მივიცვლევდი გზას ინდივიდუალური სწავლების ლაბირინთში. ამიტომაც ვიტოვებ იმედს, რომ ეს წერილი ახალბედა მასწავლებლებს საშუალო პროცესს ცოტათი მაინც გაუადვილებს.

22 შემატამბელი სამუშაოს ანალიზი

ლელა კოტორაშვილი

შემატამბელმა წერამ ბავშვს უნდა დაანახოს, როგორ იმუშავა გაკვეთილებზე, სად აქვს უფრო მეტი სამუშაო და რა არის მისი ძლიერი მხარე. მე ამისთვის ინდივიდუალური უკუკავშირი მოვიმეველიე, კერძოდ, თითოეულს დავუტოვე განმავითარებელი წერილობითი კომენტარი, ცალკე ამოვიწერე შეცდომიანი წინადადებები, თავი მოვუყარე და სავარჯიშოდ გამოვიყენე.

ლელა ცარციძე

55 „JAPANESE LESSON STUDY“ – სწავლის შედეგების გაუმჯობესების ეფექტური მოდელი

სასკოლო პრაქტიკაში ამ მეთოდის დანერგვა დიდ სარგებელს მოუტანს ყველა სკოლას: გაუმჯობესდება სასწავლო კურსულუმი, სკოლაში განვითარდება თანამშრომლობითი კულტურა, გაუმჯობესდება სწავლა სწავლების შედეგები, ხელს შეუწყობს მასწავლებელთა მუდმივი განვითარების პროცესს და დანერგავს სკოლებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

სწავლება

მანანა ბოჭორიშვილი

4 ტრანსფორმაციული სწავლების პრაქტიკული მეთოდები


თუ ტრანსფორმაციულ სწავლებას განვიხილავთ როგორც პარადიგმულ ცვლილებას, ჩნდება კითხვა: როგორ უნდა იმოქმედოს მასწავლებელმა პრაქტიკაში? იმისთვის, რომ მასწავლებელმა შეასრულოს ფასილიტატორის როლი და ხელი შეუწყოს მოსწავლის შინაგან გარდაქმნას, საჭიროა სასწავლო პროცესის აღჭურვა სპეციფიკური მეთოდებით, რომლებიც ორიენტირებულია არა ცოდნის რეპროდუქციებაზე, არამედ მის გადაფასებაზე.

ისტორია

ლევან ახვლედიანი

33 რას წარმოადგენს „ანალების“ სკოლა

ჩვენი მოგზაურობა „ანალების“ სკოლის სამყაროში გვიჩვენებს, რომ ისტორიკოსის იარაღი არა მხოლოდ არქივი, არამედ წარმოსახვა და კითხვების დასმის უნარია. ამ სკოლამ დაატყდა, რომ ადამიანის შესახებ მეცნიერება არასოდეს დასრულდება და ყოველი ახალი თაობა ხელახლა აღმოაჩენს თავის წარსულს.



განათლება

მაია ზიბზიბაძე

12 ღირებულებები და ღირებულებითი განათლება

ღირებულებითი განათლება მოიზრებს ისეთ სასწავლო პროცესს, რომელიც ერთდროულად ორი მიზნის მიღწევას ემსახურება: ის ეხმარება მოსწავლეს, ერთი მხრივ, დაეუფლოს განსაზღვრულ საგნობრივ ცოდნას, მეორე მხრივ კი გაიზაროს ისეთი უნივერსალური თუ პიროვნული ფასეულობები, როგორებიცაა: სამართლიანობა, პატივისცემა, პასუხისმგებლობა, ზრუნვა, შრომისმოყვარეობა.



ციფრული ტექნოლოგიები

ნესტან მიქაძე

51 ციფრული ტექნოლოგია როგორც სწავლა-სწავლების ინსტრუმენტი და არა თვითმიზანი

ციფრულ ეპოქაში ადამიანის ყურადღების კონცენტრაციის ხანგრძლივობა საგრძნობლად შემცირდა. ტექნოლოგიების ქარბი და არამიზნობრივი გამოყენება იწვევს კოგნიტიურ გადაღლას, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ სასწავლო პროცესში ციფრული რესურსი მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრული პედაგოგიური მიზნით უნდა იქნეს გამოყენებული.





ინტერნეტგაზეთი

www.mastsavlebeli.ge

ბანათლება -
თავისუფლება!



ინტერნეტგაზეთი
www.mastsavlebeli.ge

27 **გიორგისილაგავა**
სპორტის გაცვეთილების დამატებითი მიზანი

28 **აელა გურგენიძე**
ცაცია მოსწავლის წერის უნარის განვითარება პირველ კლასში – პრაქტიკული გამოცდილება

29 **მარიამ ჩარაიანი**
აბროვანების არქიტექტურა – აკადემიური წერის მეთოდები



რესურსი

17 **ნატონგოროყვა**
მასწავლებელი ალგორითმების ჩრდილში: საგანმანათლებლო მზაობა

ჩვენი მიზანი არ არის ტექნოლოგიებთან ბრძოლა – ეს წაგებულ იქნა. ჩვენი მიზანია, შევექმნათ განათლების ისეთი სისტემა, სადაც ადამიანის შემოქმედებითობა და მანქანის გამოთვლითი სიმძლავრე შეთანხმებულად იმუშავებს. ამ გზაზე კი ჩვენი ერთადერთი კომპასი ეთიკა და კრიტიკული აზროვნებაა.

26 **მაია ფირჩხაძე**
როგორ გამოვიყენოთ გონებრივი რუკები „ჩვენი საქართველოს“ სწავლებაში

როგორც სასწავლო ინსტრუმენტი, გონებრივი რუკა ცოდნის რეპროდუქციების მნიშვნელოვანი საშუალებაა და ხელს უწყობს დამოუკიდებელ სწავლას და მის კავშირს პრაქტიკასთან; საშუალებას აძლევს მოსწავლეს, უფრო ღრმად გაიანალიზოს შესწავლილი მასალა და ჩამოუყალიბდეს წარმოდგენა კონკრეტულ სივრცესა თუ ტერიტორიაზე.

43 **მარიამ გოდუაძე**
„პინოქიოს თავგადასავლის“ ორენოვანი ფრაგმენტი ენობრივ-მეტყველებითი აქტივობისთვის

მნიშვნელოვანია ენისა და მეტყველების სპეციფიკის მიერ ტექსტის დამუშავება ფონოლოგიური, მორფოლოგიური, ლექსიკური თუ სხვა თვალსაზრისით. წინამდებარე წერილში გთავაზობთ ქართულსა და აზერბაიჯანულ ენებს მორგებულ საგაკვეთილო აქტივობებს.

46 **თინათინ ზარდიაშვილი**
ფენოენზა დაფუძნებული სწავლება (PHENOBL) „რობინზონ კრუსოს“ მაგალითზე

თანამედროვე განათლებაში სულ უფრო აქტუალური ხდება ფენოენზა დაფუძნებული სწავლება (PhenoBL), რომელიც ცოდნის საგნობრივ დაყოფას აუქმებს და კავშირს ამყარებს რეალურ სამყაროსთან.

ხელოვნების გაკვეთილები

38 **თათია ბარბაქაძე**
ზოგადი ბანათლების ეროვნული მიზნები ვიზუალური ხელოვნების გაკვეთილებზე

ხელოვნების საგნის სწავლება ყველა საფეხურზე მიმართულია მოსწავლის ჰარმონიული განვითარებისკენ. ხელოვნების ყველა გაკვეთილი მოსწავლეებს საკუთარი აზრის, ემოციის, განცდის გამოხატვასა და სახელდებაში ეხმარება.



მანანა ბოქორიძე

ტრანსფორმაციული სწავლების პრაქტიკული მეთოდები

ტრანსფორმაციული სწავლება წარმოადგენს თანამედროვე განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ პიროვნულ განვითარებას.

ტრანსფორმაციული სწავლება ეფუძნება იდეას, რომ ცოდნა არ არის სტატიკური – ის გამოცდილების, რეფლექსიისა და სოციალური ურთიერთქმედების პროცესში ყალიბდება. ამ დროს მასწავლებელი აღარ არის მხოლოდ ინფორმაციის გადამცემი – ის ხდება ფასილიტატორი, რომელიც ქმნის გარემოს, სადაც მოსწავლე თავად აღმოაჩენს და გადააფასებს ცოდნას.

დღეს განათლების მთავარი გამოწვევა არა ინფორმაციის ფლობა, არამედ მისი გააზრებული ტრანსფორმაციაა. ეპოქაში, სადაც ცოდნა ყოველწამიერად ახლდება, სწავლა ვეღარ შემოიფარგლება მხოლოდ მზა მოცემულობების მიწოდებით. ის უნდა იქცეს ცოცხალ პროცესად, რომელიც საფუძვლიანად ცვლის მოსწავლის ხედვას, დამოკიდებულებებსა და ქცევას. სწორედ ამ მისიას ასრულებს ტრანსფორმაციული სწავლება, რომლის მიზანაც არა უბრალოდ ინფორმირებული, არამედ კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბებაა.

დღევანდელ განათლებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი უნარების განვითარება, როგორც კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, ემოციური ინტელექტი და ცოდნის ტრანსფერი. ტრადიციული სწავლება ხშირად ვერ უზრუნველყოფს ამ უნარების ფორმირებას, რადგან ის ინფორმაციის მექანიკურ დამახსოვრებაზეა ორიენტირებული. ტრანსფორმაციული სწავლება კი ქმნის პირობებს, სადაც

მოსწავლე ხდება აქტიური, თვითმართვადი და პასუხისმგებელი სუბიექტი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 21-ე საუკუნის კონტექსტში, სადაც განათლების მიზანია არა მხოლოდ ცოდნის მიღება, არამედ მოქნილი, ადაპტირებადი და მოაზროვნე პიროვნების ფორმირება.

ტრანსფორმაციული სწავლების თეორიამ, რომელიც ჯეკ მეზიროუმ ჩამოაყალიბა, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი მეტამორფოზა განიცადა. თუ ადრეული კვლევები ფოკუსირებული იყო ინდივიდუალურ კოგნიტიურ პროცესებზე, 2000-იანი წლების დასაწყისიდან აქცენტმა ემოციურ და სოციალურ განზომილებებზე გადაინაცვლა. Taylor-მა (2007) დაამტკიცა, რომ კრიტიკული რეფლექსია ვერ იქნება სრულყოფილი ემოციური ინტელექტის გარეშე, რაც თეორიას უფრო ჰოლისტურ ელფერს სძენს.

2010 წლიდან ლიტერატურაში წინა პლანზე წამოიწია კრიტიკულმა პედაგოგიკამ და სოციალურმა კონტექსტმა. Brookfield-მა (2012) ტრანსფორმაცია დაუკავშირა იდეოლოგიურ კრიტიკას, ხოლო Cranton-მა (2016) ხაზი გაუსვა მასწავლებლის ავთენტურობის როლს მოსწავლის „დებორიენტაციული დილემის“ მართვაში, Hoggan-ის (2016) მიერ შემოთავაზებულმა ტიპოლოგიამ კი შესაძლებელი გახადა ტრანსფორმაციის მასშტაბისა და მდგრადობის უფრო ზუსტი იდენტიფიცირება.


უახლესი კვლევები (2020-2025) ტრანსფორმაციულ სწავლებას ციფრულ ეკოსისტემებსა და გლობალურ გამოწვევებს უკავშირებს. Sterling-ის (2021) მიხედვით, თანამედროვე განათლების მიზანია „ეკოტრანსფორმაცია“, რაც გულისხმობს მოსწავლის ღირებულებითი სისტემის შეცვლას მდგრადი განვითარებისთვის. პარალელურად Kandiko Howson-მა და Kingsbury-მ (2021) აჩვენეს, რომ ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი ქმნიან ახალ პლატფორმებს კრიტიკული დისკურსისთვის, რაც კიდევ უფრო ავართოებს ტრანსფორმაციული სწავლების პრაქტიკულ არეალს.

თუ ტრანსფორმაციულ სწავლებას განვიხილავთ როგორც პარადიგმულ ცვლილებას, ჩნდება კითხვა: როგორ უნდა იმოქმედოს მასწავლებელმა პრაქტიკაში? იმისთვის, რომ მასწავლებელმა

შეასრულოს ფასილიტატორის როლი და ხელი შეუწყოს მოსწავლის შინაგან გარდაქმნას, საჭიროა სასწავლო პროცესის აღჭურვა სპეციფიკური მეთოდებით, რომლებიც ორიენტირებულია არა ცოდნის რეპროდუცირებაზე, არამედ მის გადაფასებაზე.

ტრანსფორმაციული სწავლების პრაქტიკული მეთოდები

ტრანსფორმაციული სწავლების ეფექტური განხორციელება მოითხოვს ისეთი სასწავლო მეთოდების გამოყენებას, რომლებიც მოსწავლეს აყენებს აქტიური შემქმნელის, მკვლევრისა და მოაზროვნე სუბიექტის პოზიციაში. ქვემოთ წარმოდგენილია ტრანსფორმაციული სწავლების ძირითადი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს ცოდნის გააზრებას, გადაფასებასა და პრაქტიკაში გადატანას.



თუ ტრანსფორმაციულ
 სწავლებას
 განვიხილავთ
 როგორც პარადიგმულ
 ცვლილებას, ჩნდება
 კითხვა: როგორ
 უნდა იმოქმედოს
 მასწავლებელმა
 პრაქტიკაში? იმისთვის,
 რომ მასწავლებელმა
 შეასრულოს
 ფასილიტატორის
 როლი და ხელი შეუწყოს
 მოსწავლის შინაგან
 გარდაქმნას, საჭიროა
 სასწავლო პროცესის
 აღჭურვა სპეციფიკური
 მეთოდებით, რომლებიც
 ორიენტირებულია
 არა ცოდნის
 რეპროდუცირებაზე,
 არამედ მის
 გადაფასებაზე.

1. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება

ეს მეთოდი ეფუძნება რეალური, კომპლექ-
 სური პრობლემების ანალიზს, რომლებიც არ
 მოითხოვს ერთმნიშვნელოვან პასუხს. მასწავ-
 ლებელი სთავაზობს პრობლემურ სიტუაციას,
 რის შემდეგაც მოსწავლეები განსაზღვრავენ,
 რა იციან, რა სჭირდებათ გასაგებად და როგორ
 მოიძიონ ინფორმაცია. პროცესის ბოლოს ისინი
 ქმნიან არგუმენტირებულ გადაწყვეტილებას და
 წარადგენენ მას.

საგნობრივი მაგალითი: ბიოლოგიის გაკვეთილ-
 ზე მოსწავლეებს ეძლევათ დავალება: „*რატომ
 ბინძურდება წყალი და როგორ შევამციროთ
 ეს პროცესი?*“ ისინი იკვლევენ მიზეზებს, აგრო-
 ვებენ ინფორმაციას და შეიმუშავენ პრაქტი-
 კულ რეკომენდაციებს, რომლებსაც კლასში
 წარადგენენ.

ამ მეთოდის ტრანსფორმაციული ღირებულებ-
 ა ის არის, რომ მოსწავლე აცნობიერებს არ-
 სებული ცოდნის არასაკმარისობას და იწყებს
 ახალი ცოდნის აქტიურ კონსტრუქციას, რაც
 „*დეზორიენტაციული დილემა*“ საფუძველს
 ქმნის.

2. კვლევითი სწავლება – 5E მოდელი

კვლევითი სწავლება ყველაზე ეფექტურად
 ხორციელდება 5E მოდელის გამოყენებით,
 რომელიც მოიცავს ინტერესის გაღვივებას
 (Engage), კვლევას (Explore), ახსნას (Explain),
 გაფართოებას (Elaborate) და შეფასებას
 (Evaluate). ამ პროცესში მოსწავლე თავად სვამს
 კითხვებს, აგროვებს მონაცემებს და გამოაქვს
 დასკვნები.

საგნობრივი მაგალითი: ბუნების გაკვეთილზე
 მოსწავლეები იკვლევენ, *რატომ დნება ყინული
 სხვადასხვაგვარად განსხვავებულ პირობებში.*
 ინტერესდებიან, ატარებენ ექსპერიმენტს, ხსნიან
 შედეგებს, აფართოებენ ცოდნას და აფასებენ
 სიტუაციას, გამოაქვთ დასკვნა.

ტრანსფორმაციული ეფექტი გამოიხატება იმით,
 რომ მოსწავლის ცოდნისადმი დამოკიდებულება
 იცვლება: იგი ინფორმაციის მიმღები კი აღარ
 არის, არამედ მისი შემქმნელი ხდება.

3. კრიტიკული რეფლექსიის მეთოდი

კრიტიკული რეფლექსია გულისხმობს საკუთა-
 რი გამოცდილების, შეხედულებებისა და წინას-
 წარი განწყობების გააზრებასა და გადაფასე-
 ბას. პრაქტიკაში ეს შეიძლება განხორციელდეს
 რეფლექსიური წერით, დისკუსიით ან „*ოთხი
 ლინზის*“ მეშვეობით (საკუთარი გამოცდილება,
 სხვების აზრი, თეორია, პრაქტიკა) საკითხის
 გააზრებით.

საგნობრივი მაგალითი: ლიტერატურის გაკვე-
 თილზე მოსწავლეები მსჯელობენ პერსონაჟის
 ქცევაზე – წერენ, თავად როგორ მოიქცეოდნენ,
 უსმენენ თანაკლასელების მოსაზრებებს და აკავ-
 შირებენ მათ თეორიულ იდეებთან.

ამ მეთოდის ტრანსფორმაციული ძალა პერს-
 პექტივის ცვლილებაშია – მოსწავლე იწყებს
 საკუთარი აზრების კრიტიკულ გააზრებას და მათ
 გადაფასებას.

4. სოკრატული დიალოგი (Socratic Method)

სოკრატული დიალოგის მეთოდი ეფუძნება ღია
 კითხვებსა და დიალოგურ პროცესს, სადაც მას-
 წავლებელი მზა პასუხებს კი არ იძლევა, არამედ
 ისე წარმართავს მსჯელობას, რომ მოსწავლეებმა
 თავად აღმოაჩინონ მნიშვნელოვანი.

საგნობრივი მაგალითი: ისტორიის გაკვეთილზე
 მასწავლებელი სვამს კითხვას: „*იყო თუ არა
 კონკრეტული ისტორიული გადაწყვეტილება
 სამართლიანი?*“ მოსწავლეები მსჯელობენ, ამტ-
 კიცებენ პოზიციებს და აანალიზებენ ერთმანეთის
 არგუმენტებს.

ტრანსფორმაცია ხდება სოციალური ინტერაქ-
 ციის გზით – მოსწავლე ეჯახება განსხვავებულ
 შეხედულებებს, აფართოებს საკუთარ ხედვას და
 სწავლობს არგუმენტირებულ მსჯელობას.

5. როლური თამაში (Role Play)

როლური თამაში გულისხმობს კონკრეტული
 სოციალური ან ისტორიული სიტუაციის გათამა-
 შებას სხვადასხვა პერსპექტივიდან. მოსწავლეები
 ირგებენ როლებს და მოქმედებენ შესაბამისი
 პოზიციიდან.

საგნობრივი მაგალითი: ისტორიის გაკვეთილზე მოსწავლეები ასრულებენ ისტორიული პირების როლებს და მსჯელობენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაზე.

მეთოდის ტრანსფორმაციული ღირებულება ემოციურ დონეზე ვლინდება – მოსწავლე „სხვის ადგილას“ ყოფნის გამოცდილებით ცვლის საკუთარ დამოკიდებულებებს და ივითარებს ემპათიას.

6. სიმულაციური სწავლება (Simulation)

სიმულაცია ქმნის რეალურის მსგავს სასწავლო გარემოს, სადაც მოსწავლეები იღებენ გადაწყვეტილებებს და ხედავენ საკუთარი ქმედებების შედეგებს. ეს შეიძლება იყოს კრიზისის მართვა, ეკონომიკური მოდელი ან გარემოსდაცვითი სცენარი.

საგნობრივი მაგალითი: გეოგრაფიის გაკვეთილზე მოსწავლეები მართავენ „ქალაქის განვითარების“ სიმულაციას და წყვეტენ ეკოლოგიურ და ეკონომიკურ პრობლემებს.

ტრანსფორმაცია ხდება გამოცდილების მიღების გზით – ცოდნა აღარ არის თეორიული, იგი გადა-

დის მოქმედებაში და საფუძვლად ედება ქცევით ცვლილებებს.

7. შემთხვევის ანალიზი

ქვის-მეთოდი გულისხმობს რეალური ან მოდელირებული შემთხვევის ანალიზს, პრობლემის იდენტიფიცირებას და ალტერნატიული გადაწყვეტილებების პოვნას. მოსწავლეები მსჯელობენ მიზეზებზე, შედეგებსა და შესაძლო გამოსავალზე.

საგნობრივი მაგალითი: სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მოსწავლეები აანალიზებენ რეალურ სოციალურ პრობლემას და ეძებენ გამოსავალს.

ტრანსფორმაციული ეფექტი გამოიხატება იმით, რომ მოსწავლე სწავლობს ცოდნის გამოყენებას კონტექსტში და ივითარებს პრაქტიკულ ცოდნას.

8. აზროვნების ექვსი ქული

ეს მეთოდი უზრუნველყოფს ერთსა და იმავე საკითხზე მრავალპერსპექტივიან მსჯელობას.

თეორია	მეთოდი (რას ვიყენებთ კლასში)	რა იცვლება მოსწავლეში?
დებორიენტაციული დილემა	პრობლემზე დაფუძნებული სწავლება (PBL)	იწყებს ფიქრს: „ეს ასე არ ყოფილა?“ – ძველი ცოდნა ეჭვქვეშ დგება
კრიტიკული რეფლექსია	რეფლექსიური წერა / კითხვები	ამბობს: „ახლა სხვანაირად ვფიქრობ“ – იცვლის დამოკიდებულებას
დიალოგური სწავლა	სოკრატული დიალოგი / დისკუსია	სწავლობს სხვების მოსმენას და ხედავს, რომ არსებობს ერთზე მეტი პასუხი
გამოცდილებით სწავლა	როლური თამაში / სიმულაცია	სწავლობს, „როგორ გავაყვით“ – ცოდნა გადადის მოქმედებაში
სოციალური ინტერაქცია	ჯგუფური მუშაობა / კოლაბორაცია	სწავლობს თანამშრომლობას და აზრის გაზიარებას
ემოციური ჩართულობა	პერსონალური თემები / როლური თამაში	სწავლა ეხება პირადად – უჩნდება ინტერესი და არის ჩართული
ცოდნის კონსტრუირება	კვლევითი სწავლება (5E მოდელი)	აღარ ელოდება პასუხს – თავად იწყებს ძიებას
სხვადასხვა პერსპექტივა	აზროვნების 6 ქული	აღარ ფიქრობს ერთი მიმართულებით – ხედავს საკითხს სხვადასხვა მხრიდან

მოსწავლეები განიხილავენ პრობლემას სხვა-დასხვა „ქუდის“ (ფაქტები, ემოციები, კრიტიკა, ოპტიმიზმი, კრეატიულობა, პროცესის მართვა) პოზიციიდან.

საგნობრივი მაგალითი: უცხო ენის გაკვეთილზე მოსწავლეები განიხილავენ ტექსტს სხვადასხვა პოზიციიდან (ფაქტები, ემოციები, კრიტიკა და კრეატიული იდეები).

მეთოდის ტრანსფორმაციული შედეგია აზროვნების სტილის ცვლილება – მოსწავლე ცალმხრივიდან მრავალმხრივ და მოქნილ აზროვნებაზე გადადის.

აღნიშნული მეთოდები აჩვენებს, რომ ტრანსფორმაციული სწავლება არ არის მხოლოდ თეორიული კონცეფცია – ის წარმოადგენს პრაქტიკულ სისტემას, რომელიც ეფუძნება აქტიურ მონაწილეობას, რეფლექსიასა და გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლას.

ამ მეთოდების გამოყენებით მასწავლებელი ქმნის ისეთ სასწავლო გარემოს, სადაც მოსწავლე არა მხოლოდ იძენს ცოდნას, არამედ გარდაქმნის საკუთარ აზროვნებას, დამოკიდებულებებსა და ქცევას.

ტრანსფორმაციული სწავლება წარმოადგენს თანამედროვე განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ პიროვნულ განვითარებას. მისი ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ახერხებს მასწავლებელი ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს კრიტიკულ რეფლექსიას, ემოციურ ჩართულობას და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას.

სასწავლო პროცესში ტრანსფორმაციული მეთოდების ინტეგრაცია ქმნის საფუძველს მოაზროვნე, პასუხისმგებლობიანი და მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული თაობის აღზრდისთვის. ამრიგად, ტრანსფორმაციული სწავლება არ არის მხოლოდ ცალკეული მეთოდების ერთობლიობა – ის წარმოადგენს განათლების ფილოსოფიურ პარადიგმას, რომელიც მიზნად ისახავს კრიტიკულად მოაზროვნე,

ემოციურად განვითარებული, სოციალური პასუხისმგებლობის მქონე და ცვლილებები-სადმი ადაპტირებადი ინდივიდის ფორმირებას. თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში სწორედ ეს მიდგომა ქმნის საფუძველს მდგრადი, ღირებულებებზე ორიენტირებული და მომავლისკენ მიმართული განათლებისთვის, სადაც სწავლა უწყვეტი ტრანსფორმაციის პროცესად განიხილება.



გამოყენებული ლიტერატურა:

1. Brookfield, S. D. (2012). *Teaching for critical thinking: Tools and techniques to help students question their assumptions*. Jossey-Bass.
2. Cranton, P. (2016). *Understanding and promoting transformative learning: A guide to theory and practice* (3rd ed.). Stylus Publishing.
3. Hoggan, C. (2016). A typology of transformation: Reviewing the academic literature of transformative learning. *Journal of Transformative Education*, 14(1), 65-82. <https://doi.org/10.1177/1541344615611232>
4. Kandiko Howson, C., & Kingsbury, M. (2021). *Transformative learning in higher education*. Routledge.
5. Sterling, S. (2021). *Educating for the future we want*. In J. P. Brisman (Ed.), *Transformative learning for sustainable development*. Springer.
6. Taylor, E. W. (2007). An update of transformative learning theory: A critical review of empirical research (1999-2005). *International Journal of Lifelong Education*, 26(2), 173-191. <https://doi.org/10.1080/02601370701219475>
7. Taylor, E. W., & Cranton, P. (Eds.). (2012). *The handbook of transformative learning: Theory, research, and practice*. Jossey-Bass.



თამთა დოლიძე

ინდივიდუალური სწავლების ლაბირინთში

მინდა გაგიზიაროთ ისგ-ის განხორციელების პროცესთან დაკავშირებული პირადი გამოცდილება.

როგორც უკვე იცით, საგნის მასწავლებელი დოკუმენტის შედგენას არსებული სიტუაციის შეფასებით იწყებს. მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერისას გირჩევთ, დაეყრდნოთ სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ მონაცემებს (ფსიქოლოგის და/ან სხვა სპეციალისტის დასკვნას

(ასეთის არსებობის შემთხვევაში), დიაგნოსტიკურ ტესტებს, ზეპირ გამოკითხვას, შემოქმედებით პროდუქტს, მოსწავლის/შშობლის უკუკავშირს და სხვ.) და მხოლოდ მაშინ დაიწყოთ გეგმის შედგენა, როცა მოსწავლის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციას მიიღებთ. დღეისათვის, მონაცემების შესაგროვებლად და ისგ-ის შესადგენად განსაზღვრულია ერთი თვე ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან, რაც სავსებით საკმარისია

ზემოაღნიშნული მონაცემების ხარისხიანად დასამუშავებლად. ნიმუშად გთავაზობთ, პირობითად, მეორე კლასის მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერას ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

შენიშვნა: რეალური ისგ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. შესაბამისად, ქვემოთ მოცემულია წერაკითხვასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლის განზოგადებული ნიმუში:

სწავლა	მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონე
<p>ტექსტი (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> 🟢 ანბანის ყველა ასო-ბგერის ამოკითხვა; 🟢 დაზიდან/ნაბეჭდი ტექსტიდან მცირე ზომის სიტყვების/წინადადების გადაწერა ბადიან რვეულში; 🟢 ნაცნობ თემზე, მცირე ზომის მხატვრული ტექსტის მოსმენა და გაგება; 🟢 საკუთარი გამოცდილების გამოყენება მოსმენილი ინფორმაციის შეფასებისა და პირადი დამოკიდებულების გამოხატვის მიზნით.
<p>სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე) (შედეგები: (I).4, 5, 6)</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> 🟢 ნაცნობ თემზე დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა (ზეპირად); 🟢 ილუსტრაციის თვალსაჩინო მახასიათებლების მიხედვით აღწერა; 🟢 სივრცითი და დროითი მიმართებების აღქმა; 🟢 ორ ობიექტს შორის თვალსაჩინო მსგავსება-განსხვავების დანახვა; 🟢 საფეხურის შესაბამისი სამეტყველო ეტიკეტის დაცვა.
<p>გრამატიკა (პრაქტიკული) (შედეგები: (I).5, 6)</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> 🟢 საუბრისას საფეხურის შესაბამისი საკომუნიკაციო ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და ლექსიკის გამოყენება; 🟢 ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში ადეკვატური სამეტყველო ქმედების განხორციელება.

მასწავლებლის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითი, ცვალებადი და მუდმივად განახლებადი სფეროა. ინკლუზიური განათლება კი დიდ ძალისხმევას, სიფხიზლეს და თანმიმდევრულობას მოითხოვს.

მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერის შემდეგ, გრძელვადიანი მიზნების დასახვის დროც მოდის. მოსწავლის განვითარების უახლოესი დონის გათვალისწინებით, მაქსიმალურად რეალისტური, მიღწევადი მიზნების დასახვას შეძლებთ. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში იკვეთება წერა-კითხვის ტექნიკურ უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული სირთულეები. შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გაწერა გაწაფული კითხვისა და წერის ტექნიკის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული, პირველი საფეხურის სამიზნე ცნებებთან (დეკოდირება-კოდირება; წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა) დაკავშირებული სტრატეგიის შემუშავებით უნდა დავიწყოთ.


გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას შეიძლება ერთი თვე ან სემესტრი დასჭირდეს, რაც, რა თქმა უნდა, მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და სწავლის ხელშემწყობ გარემოებებზე დამოკიდებული. დასახული მიზნის ნაწილობრივ დაძლევის შემთხვევაშიც პროგრესი თვალსაჩინოა. მთავარია, შეფასებისას დეტალურად აღვწეროთ წინსვლის ხელშემწყობი და ხელის შეშლელი გარემოებები და

მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, შევიტანოთ სათანადო ცვლილებები წლიურ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში. გრძელვადიანი გეგმების დასახვის შემდეგ, მოკლევადიანი მიზნებისა და შესაბამისი სტრატეგიების/აქტივობების გაწერის დრო დგება. მოდით, განვიხილოთ წერა-კითხვის ტექნიკის განვითარებაზე ორიენტირებული რამდენიმე აქტივობა:

თემა: ასო-ბგერიდან სიტყვამდე
ცნება/ცნებები: ტექსტი (დეკოდირება-კოდირება, წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა), გრამატიკა (პრაქტიკული)
განხორციელების პერიოდი: მიუთითეთ კონკრეტული წელი და თვე/პერიოდი

ცნება	მოსწავლის უნდა შეეძლოს (გრძელვადიანი/სამედიტაციური მიზნები)
ტექსტი (შედეგები: (I). 2, 4, 6)	<ul style="list-style-type: none"> 🍏 ბგერების/მარცვლების დათვლა სიტყვებში (წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა); 🍏 ორი-სამი ასო-ბგერის ერთობლივად ამოკითხვა-გამთლიანება (დეკოდირება-კოდირება); 🍏 ნაცნობი სიტყვების ამოკითხვა დამარცვლით (დეკოდირება-კოდირება); 🍏 რვეულის ბადეში მცირე ზომის ნაცნობი სიტყვების/წინადადებების კარნახით ჩაწერა.
გრამატიკა (პრაქტიკული) (შედეგები: (I).5, 6)	<ul style="list-style-type: none"> 🍏 კალიგრაფიისა და მართლწერის ელემენტარული ნორმების დაცვა.

მოკლევადიანი მიზნები	სტრატეგიები, აქტივობები, რისკისა
<p>ბგერების/ მარცვლების დათვლა სიტყვებში;</p> <p>მცირე ზომის, ნაცნობი სიტყვების კარნახით და/ან დამოუკიდებლად ჩაწერა;</p> <p>კალიგრაფიისა და მართლწერის ელემენტარული ნორმების დაცვა.</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ფონეტიკური სავარჯიშოების (ხმოვნების/მარცვლების დათვლა სიტყვებში; სიტყვების ასო-ბგერებად დაშლა-გამთლიანება და სხვ.) შესრულება; 2. მაგნიტური ანბანით სიტყვების/წინადადების აწყობა; 3. „სიტყვის ფაზლი“ – პატარა ზომის ფერად ფურცლებზე დაწერილი მარცვლების შეერთება-ამოკითხვა; <i>შენიშვნა: თავიდან ვიწყებთ სამი სიტყვის მარცვლების შერევით, რომელთა სწორად დაჯგუფებაც ევალება მოსწავლეს. შემდეგ კი ნელ-ნელა ვუმატებთ სიტყვებს.</i> 4. კარნახით და/ან დამოუკიდებლად ნაცნობი, მცირე ზომის სიტყვების/წინადადების ჩაწერა კალიგრაფიისა და მართლწერის ელემენტარული ნორმების დაცვით.



რესურსი:

სახელმძღვანელო, ადაპტირებული ტექსტები, ინდივიდუალური დავალებები, მაგნიტური ანბანი და დაფა, წებოვანი ფერადი ფურცლები, II კლასის ბადიანი რვეული, კალამი.

ვისწავლოთ კითხვა

<https://www.youtube.com/watch?v=8ctUmW0FAXo>

მარცვალი

<https://www.youtube.com/watch?v=TIKDgt9Jzhs>

სიტყვის ფაზლი

<https://learningapps.org/display?v=p1fs19irc25>

ვისწავლოთ კითხვა ზღაპრებთან ერთად

<https://www.youtube.com/watch?v=5yURlt7t4Ks>

არასდროს დამავიწყდება, როგორ ხელის ცეცებით მივიკვლევდი გზას ინდივიდუალური სწავლების ლაბირინთში. ამიტომაც ვიტოვებ იმედს, რომ ეს წერილი ახალბედა მასწავლებლებს სამუშაო პროცესს ცოტათი მაინც გაუადვილებს.

ზემოაღნიშნული გრაფა შეგიძლიათ განავრცოთ და დეტალურად აღწეროთ თითოეული აქტივობა. სასწავლო რესურსს წარმოადგენს ყველა ინდივიდუალური დავალება თუ სამუშაო ფურცელი, რომელსაც მოსწავლეს ინდივიდუალურად გააკეთებინებთ და ის მულტიმე-

დიური მასალა, რომელიც მას მიზნობრივი თემების შესწავლაში დაეხმარება. გირჩევთ, აწარმოთ მოსწავლის პორტფოლიო, რომელიც ისგ-ის ერთგვარ დანართს წარმოადგენს. თანაც, მიმდინარე და შემაჯამებელი დავალებების ერთად თავმოყრა მიღწეული შედეგების

შეფასებას მნიშვნელოვნად გააიადვილებთ.

მიუხედავად იმისა, რომ ცამეტი წელია სკოლაში ვასწავლი და ამ დროის განმავლობაში არაერთი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქვს შედგენილი, დღემდე არ მტოვებს განცდა, რომ ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლო. მასწავლებლის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითი, ცვალებადი და მუდმივად განახლებადი სფეროა. ინკლუზიური განათლება კი დიდ ძალისხმევას, სიფხიზლეს და თანმიმდევრულობას მოითხოვს. არასდროს დამავიწყდება, როგორ ხელის ცეცებით მივიკვლევდი გზას ინდივიდუალური სწავლების ლაბირინთში. ამიტომაც ვიტოვებ იმედს, რომ ეს წერილი ახალბედა მასწავლებლებს სამუშაო პროცესს ცოტათი მაინც გაუადვილებს.





მაია ზიბზიბაძე

ღირებულებები და ღირებულებითი განათლება

ღირებულებითი განათლება მოიაზრებს ისეთ სასწავლო პროცესს, რომელიც ერთდროულად ორი მიზნის მიღწევას ემსახურება: ის ეხმარება მოსწავლეს, ერთი მხრივ, დაეუფლოს განსაზღვრულ საგნობრივ ცოდნას, მეორე მხრივ კი გაიაზროს ისეთი უნივერსალური თუ პიროვნული ფასეულობები, როგორებიცაა სამართლიანობა, პატივისცემა, პასუხისმგებლობა, ზრუნვა, შრომისმოყვარეობა.

რა არის ღირებულებითი განათლება?

სწორი ღირებულებების მქონე პიროვნების ჩამოყალიბება ყველგან და ყოველთვის წარმოადგენდა განათლების სისტემის მთავარ მისიას, მაგრამ დღეს, გლობალიზაციისა და ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში, ღირებულებებითმა განათლებამ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. მკაფიოდ გამოიკვეთა ისეთი სასწავლო პროცესის ორგანიზების მოთხოვნა, რომელიც არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე, არამედ მოსწავლის ჰოლისტიურ, პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. განათლება, რომელიც ემყარება ღირებულებებს, არსებით როლს ასრულებს ახალგაზრდების ეთიკური ცნობიერების, სოციალური პასუხისმგებლობისა და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში (UNESCO, 2015).

სიტყვათა შეთანხმება „ღირებულებითი განათლება“ უკვე იძლევა წარმოდგენას თავის არსზე, მაგრამ ყოველთვის ჩნდება კითხვები: რა არის ღირებულება? რას გულისხმობს სწორი ღირებულებები?

ღირებულებითი განათლება მოიაზრებს შემსწავლელისთვის იმ ფასეულობების გადაცემას,

რომლებსაც ზოგადასაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს, ფასობს ნებისმიერ დროში და უკავშირდება როგორც ცალკეულ პიროვნებას, ისე მთელ იმ საზოგადოებასაც, რომელშიც ეს პიროვნება ცხოვრობს. ღირებულებითი განათლება განათლების ერთ-ერთი ფუნდამენტური, სტრატეგიული მიმართულებაა, რომლის მიზანია არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გადაცემა, არამედ მოსწავლის პიროვნული და მოქალაქეობრივი ფორმირება. ღირებულებითი განათლება ემყარება იდეას, რომ სკოლა და, საზოგადოდ, საგანმანათლებლო გარემო ხელს უწყობდეს ღირებულებების განსაზღვრას, მათ სიღრმისეულ გააზრებას და ქცევაში გადატანას – ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენებას.

მეორე მხრივ, ღირებულებითი განათლება შეიძლება განვიხილოთ როგორც პედაგოგიური მიდგომა, რომელიც ეხმარება მოსწავლეს, საგნობრივი შინაარსის საფუძველზე გაიაზროს კონკრეტული ღირებულებები და დაინახოს მათი ადგილი რეალურ კონტექსტში, მათ შორის – საკუთარ ცხოვრებაშიც. ღირებულებითი განათლება შეიძლება განხორციელდეს ყველა საგანში ისეთი მასწავლებლის მიერ, რომელიც აცნობიერებს ღირებულებითი განათლების მნიშვნელობას და შეუძლია, გამოიყენოს შესაბამისი პედაგოგიური მეთოდები და ინსტრუმენტები.

როგორც არ უნდა იყოს განმარტება, მთლიანობაში ღირებულებითი განათლება მოიზრებს ისეთ სასწავლო პროცესს, რომელიც ერთდროულად ორი მიზნის მიღწევას ემსახურება: ის ეხმარება მოსწავლეს, ერთი მხრივ, დაეუფლოს განსაზღვრულ საგნობრივ ცოდნას, მეორე მხრივ კი გაიზაროს ისეთი უნივერსალური თუ პიროვნული ფასეულობები, როგორებიცაა სამართლიანობა, პატივისცემა, პასუხისმგებლობა, ზრუნვა, შრომისმოყვარეობა და ა.შ. ასეთ სასწავლო პროცესში ღირებულებებსა და ცოდნას შორის ადგილების განაწილება შეცდომა იქნებოდა - ღირებულებითი განათლება ორივეს ერთნაირ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან ორივემ ერთნაირად უნდა შეუწყოს ხელი პიროვნების ჩამოყალიბებას არა მხოლოდ ცოდნის მატარებელ ინდივიდად, არამედ აქტიურ, ემპათიურ, პასუხისმგებლობიან მოქალაქედ. ცნობილი გამოთქმის თანახმად, „ცოდნა ღირებულებების გარეშე საშიშა, ღირებულებები ცოდნის გარეშე – ბრმა“ (Patry, Weyringer, 2002). უნდა ითქვას ისიც, რომ შეძენილი ფასეულობები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრირებისთვის - ის აკადემიურ წარმატებაში, ჰოლისტიურ განვითარებაში, შედეგად კი სრულფასოვან სოციალურ ცხოვრებაში ეხმარება შემსწავლელს.

რას გულისხმობს „ღირებულებები“?

ღირებულებები (values) საზოგადოების ან ინდივიდის მიერ აღიარებული პრინციპები და იდეალებია, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების სტილზე – დააწვევტილებების მიღებაზე, ქცევაზე, დამოკიდებულებებზე.

ღირებულებები ერთგვარი შინაგანი ცენზორებია – გვეხმარება, განვსაზღვროთ, განვასხვაოთ და შევაფასოთ კარგი და ცუდი, სწორი და არასწორი, მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო.

არსებობს ღირებულებების რამდენიმე მეცნიერულ დონეზე დამუშავებული კლასიფიკაცია. ერთ-ერთი ყველაზე მიღებულია შვარცის ღირებულებების უნივერსალური თეორია, რომელიც მე-20 საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა. ამ უკანასკნელის მიხედვით, არსებობს ათი ძირითადი ღირებულება, რომლებიც უნივერსალურია და პრაქტიკულად ყველა კულტურას ახასიათებს (Schwartz, 1992):

1. **კეთილგანწყობა, ზრუნვა** – სხვებზე ზრუნვა, დახმარების სურვილი და თანაგრძნობა (Care, benevolence)
2. **უნივერსალიზმი** – თანასწორობის განცდა, ტოლერანტობის აღიარება, ბუნებისა და ადამიანების პატივისცემა (Universalism)
3. **ტრადიცია** – კულტურული და რელიგიური მემკვიდრეობის პატივისცემა (Tradition)
4. **თვითმართვა** – თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განცდა, არჩევანის თავისუფლების დაფასება, საკუთარი თავის პოვნისა და დაფასების სურვილი (Self-direction)
5. **უსაფრთხოება** – დაცული გარემოს შექმნის სურვილი, სტაბილურობისკენ სწრაფვა (Security)
6. **კონფორმულობა** – სოციალური ნორმების დაცვის სურვილი, წესრიგის შენარჩუნებისკენ სწრაფვა (Conformity)
7. **მიღწევა** – წარმატებისკენ ლტოლვა, რეალიზებისა და სოციალური აღიარების სურვილი (Achievement)
8. **ძალა** – სტატუსისკენ ლტოლვა, გავლენის მოპოვებისა და კონტროლის მექანიზმების დაუფლების სურვილი (Power)
9. **სტიმულაცია** – სიახლეებისა და თავგადასავლების ძიება, გამოწვევებთან ბრძოლის წყურვილი (Stimulation)
10. **ჰედონიზმი** – ცხოვრებისგან სიამოვნების მიღების სურვილი (Hedonism)

შვარცის მოდელს წრიული ფორმით გამოსახვენ, რათა ასახონ მიმართებები ღირებულებებს შორის. კერძოდ, ღირებულებები, რომლებიც ამ წრეზე ერთმანეთის ახლოს არის განლაგებული, ხშირად თავსებადია ერთმანეთთან, ხოლო საპირისპიროდ მდებარე ღირებულებები შესაძლოა, ერთმანეთთან კონფლიქტშიც იმყოფებოდეს. მაგალითად, თვითდამკვიდრება და სტიმულაცია, რომლებიც გვერდიგვერდ მდებარეობს, დამოუკიდებლობასა და სიახლეების ძიებას ასახავს. იმავდროულად, თვითდამკვიდრება ეწინააღმდეგება წრეზე მის საპირისპიროდ მდებარე კონფორმულობასა და ტრადიციას. მიღწევა და ძალა ეწინააღმდეგება უნივერსალიზმსა და კეთილგანწყობას (ზრუნვას).

დღეისთვის აღნიშნული მოდელი განახლებული და გაფართოებულია შვარცისა და კოლეგების მიერ (Schwartz et al. 2012).

Shalom H. Schwarz-ის ღირებულებების წრიული მოდელი



ღირებულებათა კატეგორიები

ღირებულებების განხილვა შესაძლებელია სხვადასხვა განზომილების ფორმატშიც – კომუნიკაციასთან, განვითარებასთან, განათლებასთან კავშირში. პირველი მოსაზრებები ღირებულებათა პრაქტიკული და მორალური კატეგორიების შესახებ გამოთქვა იურგენ ჰაბერმასმა (Habermas, J., 1993). მოგვიანებით ალფრედ ვაინბერგერმა განიხილა ღირებულებების განვითარება განათლების კონტექსტში და შეიმუშავა მათი ურთიერთდამოკიდებული სისტემა (Weinberger et al., 2008). მისი მოდელი ეფუძნება ლოურენს კოლბერგის მორალური განვითარების თეორიას, ჟან პიაჟეს კოგნიტიური განვითარების თეორიასა და ჯეიმს რესტის მორალური განსჯის კომპეტენციის მოდელს. აღნიშნული მოდელის მიხედვით, ცოდნასა და ღირებულებებს ადამიანი იძენს ცხოვრების განმავლობაში მიღებული გამოცდილების გავლენით. კერძოდ, გადის რა ცნობიერების განვითარების ეტაპებს, ის აყალიბებს:

- პრაგმატულ ღირებულებებს, რომლებიც მნიშვნელოვანია პირადი კომფორტისთვის/ ეფექტიანობისთვის;
- ინსტრუმენტულ ღირებულებებს, რომლებიც ეხმარება სოციალური/ კარიერული სარგებლის მიღებაში;

- მორალურ ღირებულებებს, რომლებიც ექვემდებარება უნივერსალურ ეთიკას ნებისმიერ სიტუაციაში.

პრაგმატული ღირებულებები პირადი კომფორტიდან, პრაგმატული საჭიროებებიდან გამომდინარე ისეთი ღირებულებებია, რომლებიც ხშირად უკავშირდება ვიწრო, კონკრეტული მიზნის მიღწევას ან პრობლემის გადაჭრას. ისინი გამომდინარეობს ინდივიდის პირადი ინტერესებიდან, ამიტომ შესაძლოა, არ იყოს სიღრმისეულად გააზრებული ან ეთიკურად გამართლებული. მაგალითად:

- ვიმეცადინებ ამ საგანს, რადგან თუ გამოცდა კარგად ჩავაბარე, დამასაჩუქრებენ (პირადი სარგებელი);
- გავუფრთხილდები სახელმძღვანელოს, რადგან მჭირდება (პირადი საჭიროება);
- ვიზრუნებ სკოლის ეზოს სისუფთავეზე, რადგან თავად ვსწავლობ აქ, თუმცა სხვაგან ამზენ ნაკლებად ვიზრუნებდი (პირადი კომფორტი).

ვაინბერგერის მიხედვით, ეს საწყისი დონეა, რომელიც ეყრდნობა ეგოცენტრულ ლოგიკას.

ინსტრუმენტული ღირებულებები მიზნად ისახავს სტრატეგიული სარგებლის მიღებას – სოციალური სტატუსის მიღწევას, კარიერულ წინსვლას, ჯგუფის საერთო მიზნების მიღწევას.

- ვიმეცადინებ ამ საგანს, რადგან თუ გამოცდა კარგად ჩავაბარე, უკეთეს სამუშაოს ვიპოვი (მიზანი – კარიერული წინსვლა);
- არ უნდა დავაგვიანო, რადგან პუნქტუალურობით მოვიპოვებ პარტნიორების პატივისცემას, რაც საერთო საქმის განვითარებაში დამეხმარება (მიზანი – ბიზნესის განვითარება);
- უცხო ენის დაუფლება მომცემს შანსს, სწავლა გავაგრძელო უცხოურ უნივერსიტეტში (მიზანი – სოციალური მობილობა).

მორალური ღირებულებები ღირებულებების ყველაზე მაღალი საფეხურია. მათი მატარებელი პიროვნება იზიარებს უნივერსალურ ეთიკურ პრინციპებს. მისთვის მთავარი ხდება სამართლიანობა, ღირსება, პატივისცემა, თანასწორობა, თანაგრძნობა, რასაც იცავს კიდევაც ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუ-

აციამი, მათ შორის – პიროვნულ დონეზე არახელსაყრელ სიტუაციებშიც კი, განურჩევლად შედეგისა, რომელიც შეიძლება დადგეს. სხვა სიტყვებით, მორალური ღირებულებები ნაკარნახევია არა სარგებლით, არამედ უნივერსალური მორალით, საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერებით. ეს ღირებულებები უკვე პიროვნების თავისუფალი არჩევანია და არა მიზნის მიღწევის საშუალება. მაგალითად:

- ბუნებაზე ზრუნვა საჭიროა, ვინაიდან ის სიცოცხლის წყაროა ყველა ცოცხალი არსებისთვის, ადამიანის ჩათვლით;
- ერთმანეთს პატივი უნდა ვცეთ, განურჩევლად წარმომავლობისა და პიროვნული თვისებებისა, რადგან ყველა ადამიანი თანაბარუფლებიანია და აქვს თანდაყოლილი ღირსება.

ამგვარად, პრაგმატული ღირებულებები ორიენტირებულია პირად სარგებელზე, ინსტრუმენტული განპირობებულია სოციალური კონტექსტით, ხოლო მორალური წარმოადგენს ღირებულებებს, რომლებსაც ადამიანი იზიარებს შინაგანად, გარე გავლენებისგან დამოუკიდებლად. ყველაზე ხშირად ერთმანეთში ერევათ პრაგმატული და ინსტრუმენტული ღირებულებები, თუმცა ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან დროისა და მასშტაბის განზომილებებით. პირველი ორიენტირებულია მოკლევადიან, პირად კომფორტზე, ხოლო მეორე – გრძელვადიან სტრატეგიულ სარგებელზე, რომელიც ხშირად კავშირშია სოციალურ კონტექსტთან.


- ალფრედ ვაინბერგერმა პრაგმატული, ინსტრუმენტული და მორალური ღირებულებების კლასიფიკაცია გადმოიტანა საგანმანათლებლო კონტექსტში (VaKE მეთოდი, Values and Knowledge Education). მისი მოდელის მიხედვით, სწავლა-სწავლების პროცესში:
- პრაგმატული ღირებულებები განსაზღვრავს სასწავლო მიზანს, რომელსაც ისახავს მოსწავლე / მასწავლებელი სასწავლო პროცესში;
- ინსტრუმენტული ღირებულებები განსაზღვრავს სასწავლო მიზნის მიღწევის გზებს – მეთოდებს, აქტივობებს, რესურსებს და სხვა;
- მორალური ღირებულებები განსაზღვრავს ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ფასეულობებთან დაკავშირებულ უხილავ საზღვ-

რებს, რომელთა ფარგლებშიც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.

განხილული იერარქია გვიჩვენებს, რომ ღირებულებები ერთმანეთზე დამოკიდებული: პრაგმატული ღირებულებები ქმნის განვითარების საფუძველს, ინსტრუმენტული უზრუნველყოფს განვითარების პროცესს, ხოლო მორალური – ჩარჩოებს, რომლის შიგნითაც მოქმედებენ პიროვნებები.

აღნიშნული ხედვა განსაკუთრებით აქტუალურია განათლების სპეციალისტებისთვის, რადგან ღირებულებითი განათლების დაგეგმვის საშუალებას იძლევა. მოდელი გამოსაძვავს იმის გასაანალიზებლად, სად იმყოფება მოსწავლე ღირებულებითი განვითარების კონტექსტში და როგორ უნდა გადავიდეს შემდეგ საფეხურზე. ღირებულებითი განათლება უნდა დაეხმაროს მოსწავლეს პრაგმატულიდან ინსტრუმენტულ ღირებულებებზე გადასვლაში, საბოლოოდ კი მორალურ ღირებულებათა გააზრებაში, ვინაიდან ღირებულებებიდან ზნეობამდე მისასვლელად საჭიროა განვითარების ეტაპების გავლა და პრაქტიკული გამოცდილება, ამის საშუალება კი მოსწავლეებს სკოლამ უნდა მისცეს.

ვაინბერგერის ღირებულებათა იერარქია (Weinberger და სხვ., 2008)



ღირებულებები ერთმანეთზე დამოკიდებული: პრაგმატული ღირებულებები ქმნის განვითარების საფუძველს, ინსტრუმენტული უზრუნველყოფს განვითარების პროცესს, ხოლო მორალური – ჩარჩოებს, რომლის შიგნითაც მოქმედებენ პიროვნებები.

**გამოყენებული
ლიტერატურა:**

1. UNESCO Publishing. (2015). *Global citizenship education: Topics and learning objectives*. Paris: UNESCO Publishing.
2. Patry, J.-L., & Weyringer, S. (2002). *Values and knowledge education: An approach to moral development*. [Publication details not fully specified].
3. Schwartz, S. H. (1992). Universals in the content and structure of values: Theoretical advances and empirical tests in 20 countries. *Advances in Experimental Social Psychology*, 25, 1-65. [https://doi.org/10.1016/S0065-2601\(08\)60281-6](https://doi.org/10.1016/S0065-2601(08)60281-6)
4. Schwartz, S. H., et al. (2012). Refining the theory of basic individual values. *Journal of Personality and Social Psychology*, 103(4), 663-688. <https://doi.org/10.1037/a0029393>
5. Habermas, J. *Justification and application: remarks on discourse ethics*. Cambridge, Mass. MIT Press (1993)
6. Patry, J.-L., Weinberger, A., & Weyringer, S. (2007). Combining values and knowledge education (VaKE): An approach to teacher education for professional ethics. In A. Craft, H. Gardner, & G. Claxton (Eds.), *Creativity, wisdom and trusteeship: Exploring the role of education* (pp. 145-160). Trentham Books.
7. Weinberger, A., et al. (2008). Educating moral sensibilities in urban schools. In *Professionals' ethos and education for responsibility* (pp. 107-125). Brill. <https://brill.com/display/book/edcoll/9789004367326/BP000014.xml?language=en>
8. პროექტის „ღირებულებითი განათლების ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ (PROVE) მასალები. ევროპული და სამხრეთ კავკასიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების კონსორციუმი, 2026 წ. <https://www.facebook.com/erasmusplusprove>

ტექსტის სტრუქტურის დაგეგმვისა და რედაქტირებისთვის გამოყენებულია AI



ვაინბერგერის მოდელი არ გამოირიცხავს ზრდასრულ ადამიანთან სამივე ტიპის ღირებულებათა თანაარსებობას. პირიქით, ზრდასრულ, ღირებულებებით დატვირთულ პიროვნებაში ეს ღირებულებები ხშირად თანაარსებობს. მოდელი აღწერს ევოლუციურ ტრანსფორმაციას ანუ ღირებულებების განვითარების დინამიკას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მომდევნო საფეხურზე გადასვლისას წინა საფეხურები ქრება. ადამიანი შესაძლოა აფასებდეს პრაგმატულ სარგებელს (საკუთარ კეთილდღეობას), იცავდეს ინსტრუმენტულ ღირებულებებს (სოციალურ ნორმებს, გუნდურ პასუხისმგებლობას) და, იმავდროულად, ხელმძღვანელობდეს მორალური ღირებულებებით (სამართლიანობა, თანასწორობა და სხვ.). ამგვარად, ერთი საფეხურის არსებობა მეორის არსებობას არ გამოირიცხავს. უფრო მეტიც: შესაძლოა, რეალობაში ერთი და იგივე ღირებულება კონტექსტზე დამოკიდებულებით როგორც პრაგმატული, ისე ინსტრუმენტული ან მორალური ბუნებისადაც აღმოჩნდეს. მაგალითად, პატიოსნება როგორც ზნეობრივი პრინციპი მორალური ღირებულებაა, მაგრამ, იმავდროულად, შეიძლება იყოს ინსტრუმენტულიც – როგორც ნდობის

მოპოვების საშუალება კონკრეტულ კონტექსტში. სამართლიანობა ერთ-ერთი უმაღლესი მორალური პრინციპია, მაგრამ კონკრეტულ სიტუაციაში ის შესაძლოა გამოვლინდეს როგორც საშუალება, რომელიც განსაზღვრული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს. ზემოთ მოყვანილი ილუსტრაცია, სადაც კონკრეტული ღირებულება კონკრეტულ კატეგორიას მიემართება, ზედმეტად მარტივი და სწორხაზოვანია იმისთვის, რომ სრულად ასახოს ღირებულებების იერარქია.





ნათი ინგოროვა

მასნავლებელი ალგორითმების ჩრდილში: საგანმანათლებლო მზაობა

განათლებაში ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრაცია არ გულისხმობს მხოლოდ პროცესების ავტომატიზაციას. ეს სწავლების პარადიგმის საგულისხმო ცვლილებაა. AI გვთავაზობს სწავლების მოდელის პერსონალიზაციას, სადაც სასწავლო პროგრამა ინდივიდუალურ ტემპსა და საჭიროებებს ერგება, თუმცა კრიტიკული ზღვარი გადის ტექნოლოგიის როგორც დამხმარე ინსტრუმენტისა და როგორც შემცველის ფუნქციებს შორის.

ამ გამოწვევის თანამდევია ის, რომ თანამედროვე პედაგოგობაში ყალიბდება კრიტიკული თანამშრომლობის მოდელი: ნაცვლად იმისა, რომ მოსწავლეს დავალოთ ესეც დაწერა სახლში (სადაც ტექსტი შესაძლოა ChatGPT-მ დაუწეროს), მასწავლებელი სთხოვს AI-ს, შექმნას

ნამუშევარი მოცემულ თემაზე, ხოლო მოსწავლის ამოცანაა მისი კრიტიკული ანალიზი, ლოგიკური ხარვეზების აღმოჩენა, არგუმენტების გადამოწმება და პირადი ემოციური თუ ინტელექტუალური კონტექსტის დამატება. ამგვარი მიდგომა მხოლოდ პლაგიატის რისკს კი არ ამცირებს, არამედ მეტაკოგნიტიურ უნარებსა და დამოუკიდებელ აზროვნებასაც აყალიბებს.

თანამედროვე განათლების სისტემა დგას პოსტსიმართლის ეპოქის რეალობის წინაშე. ინფორმაციის სიმრავლის პირობებში მთავარი პრობლემა არა მონაცემთა ხელმისაწვდომობა, არამედ მათი სანდოობის, ვალიდურობის დადგენაა. AI-ს მიერ მოწოდებული შინაარსი, რომელიც წმინდად დამაჯერებლად გამოიყურება, მაგრამ ზოგჯერ ფაქტობრივად

მცდარია, ზრდის დეზინფორმაციის გავრცელების რისკს. შესაბამისად, ინფორმაციული ჰიგიენა და წყაროების კრიტიკული ანალიზი ხდება თანამედროვე განათლების მნიშვნელოვანი ნაწილი, რათა მოსწავლემ მომავლის სამყაროში რეალობისა და ციფრული სიმულაციის ერთმანეთისგან გამიჯვნა შეძლოს.

რა შეიძლება გაკეთდეს ამისთვის?

გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს მედიაწიგნიერების უნარების განსავითარებლად.

ლაბორატორია: „ციფრული დეტექტივი“

შეიძლება სკოლებში „მედიაწიგნიერების ლაბორატორიების“ შექმნა, სადაც მოსწავ-

ტექნოლოგიურმა რევოლუციამ მასნავლებელი „ცოდნის გადამცემიდან“ „სწავლის დიზაინერად“ და მენტორად გარდაქმნა. იმ ეპოქაში, როდესაც ნებისმიერი ფაქტობრივი მასალის მოძიება ნამებშია შესაძლებელი, მასნავლებლის ღირებულება მდგომარეობს კონტექსტუალიზაციაში, ემპათიასა და ეთიკური ორიენტირების დასახვაში.

ლებს აჩვენებენ რეალურ Deepfake ვიდეოს (მაგალითად, ცნობილი ადამიანის ყალბ მიმართვას) და ასწავლიან მეტამონაცემების შემოწმებას ან ციფრული კვალის ძიებას სიმართლის დასადგენად.

მიზანი: ინფორმაციული ჰიგიენისა და წყაროების ვალიდურობის შემოწმება

დავალება: მოსწავლეებს მიეცით AI-ს მიერ გენერირებული „დამაჯერებელი“ ტექსტი ან Deepfake ვიდეო.

ინსტრუქცია: ჯგუფებმა უნდა გამოიყენონ მეტამონაცემების შემოწმების მეთოდი ან მოძებ-

ნონ ციფრული კვალი სიმართლის დასადგენად.

შედეგი: მოსწავლეები სწავლობენ რეალობისა და ციფრული სიმულაციის გამიჯვნას პოსტ-სიმართლის ეპოქაში.


თანამედროვე ციფრული პლატფორმები მუშაობენ ალგორითმებზე, რომლებიც მოძმარებლის ინტერესების პროგნოზირებაზეა ორიენტირებული. ეს ქმნის ერთგვარ ინფორმაციულ ბუშტებს, სადაც ადამიანი მხოლოდ საკუთარი შეხედულებების დადასტურებას იღებს.

საგანმანათლებლო ქრილში ეს

საფრთხეს უქმნის ინტელექტუალურ პლურალიზმს. კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმის გააზრება, როგორ აყალიბებს ალგორითმი ჩვენს გემოვნებას, მოსაზრებებსა და გადაწყვეტილებებს. განათლების მიზანია, დაეხმაროს ინდივიდს ამ უხილავი მანიპულაციისგან თავის დაღწევასა და ავტონომიური აზროვნების შენარჩუნებაში.

**სოციალური
ეთიკური
კლასში – „ბუშტების
შეჭახება“**

მიზანი: ალგორითმული ფილტრების (ინფორმაციული ბუშტების) ვიზუალიზაცია.



დავალბა: ორ მოსწავლეს, რომლებსაც განსხვავებული ინტერესები აქვთ, სთხოვეთ, YouTube-ზე ან TikTok-ზე მოძებნონ ერთი და იგივე ნეიტრალური ტერმინი (მაგ., „კლიმატის ცვლილება“). მათ მიერ მიღებული რადიკალურად განსხვავებული შედეგები თვალნათლივ აჩვენებს, როგორ გვიქმნის ალგორითმი ინფორმაციულ ბუმსტს.

დისკუსია: შეადარეთ მიღებული შედეგები. რატომ შესთავაზა ალგორითმმა მათ რადიკალურად განსხვავებული კონტენტი?

დასკვნა: გააანალიზეთ, როგორ აყალიბებს ალგორითმი ჩვენს გემოვნებასა და გადაწყვეტილებებს ჩვენზე უხილავი მანიპულაციის გზით.

ტექნოლოგიურმა რევოლუციამ მასწავლებელი „ცოდნის გადაცემიდან“ „სწავლის დიზაინერად“ და მენტორად გარდაქმნა. იმ ეპოქაში, როდესაც ნებისმიერი ფაქტობრივი მასალის მოძიება წამებშია შესაძლებელი, მასწავლებლის ღირებულება მდგომარეობს კონტექსტუალზაციაში, ემპათიასა და ეთიკური ორიენტაციის დასახვაში. ციფრული რეალობა მისგან მოითხოვს არა მხოლოდ ტექნიკურ კომპეტენციას, არამედ უნარსაც, მართოს ადამიანური ურთიერთობები იქ, სადაც მანქანა უძლურია მოტივაციის, შთაგონებისა და მორალური მხარდაჭერის პროცესში.

როლური თამაში:
„სწავლის დიზაინერი“

მასწავლებელი ლექციის ნაცვლად იყენებს „შებენიერებულ

საკლასო ოთახის“ მოდელს. მოსწავლეები თეორიულ მასალას (ვიდეოს/ტექსტს) ეცნობიან დამოუკიდებლად, ხოლო გაცვეთილზე მასწავლებელთან ერთად ხდება ამ მასალის მორალური დილემების განხილვა და მუშაობა ჯგუფურ პროექტებზე, სადაც მთავარი ემპათია და გუნდურობაა.

მიზანი: მასწავლებლისა და მოსწავლის როლების ტრანსფორმაცია „შებენიერებულ საკლასო ოთახის“ მოდელში.

ფორმატი: მოსწავლეები დამოუკიდებლად ეცნობიან თეორიულ მასალას (ვიდეო/ტექსტი).

საკლასო აქტივობა: გაცვეთილზე მასწავლებელი (როგორც მენტორი) ფასილიტაციას უწევს მორალური დილემების განხილვას.

ამოცანა: ჯგუფური პროექტი, სადაც მთავარი ემპათია და გუნდურობა – თვისებები, სადაც მანქანა უძლურია.

ტრადიციულად, ეთიკა განიხილებოდა როგორც აბსტრაქტული ფილოსოფიური დისციპლინა, მაგრამ დღეს ის პრაქტიკულ კომპეტენციად იქცა. მონაცემთა კონფიდენციალურობა, ალგორითმული მიკერძოება და ტექნოლოგიების გამოყენების ზღვარი ყოველდღიური არჩევანია. მოსწავლეებმა ეთიკა უნდა ალიქვან არა წესების კრებულად, არამედ გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტად. ეს არის უნარი, განსაზღვრო ტექნოლოგიური განვითარების გავლენა საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე და იმოქმედო პასუხისმგებლობით, რაც დღეს

პროფესიული წარმატების განუყოფელი ნაწილია.

ეთიკური ჰაკათონი:
„მორალური მანქანა“
– თვითმართვადი ავტომობილის დილემა

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, დაწერონ კოდის ეთიკური პრინციპები რობოტისთვის: როგორ უნდა მოიქცეს მანქანა ავარიულ სიტუაციაში? ეს მათ აჩვენებს, რომ პროგრამირება მხოლოდ მათემატიკა არ არის – ის პირდაპირ კავშირშია ადამიანის სიცოცხლის ღირებულებასთან.

მიზანი: ეთიკის როგორც პრაქტიკული კომპეტენციის და გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტის განვითარება

ქეისი: გამოიყენეთ თვითმართვადი ავტომობილის დილემა.

დავალბა: მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ ეთიკური პრინციპების კოდექსი რობოტისთვის: როგორ უნდა მოიქცეს მანქანა ავარიულ სიტუაციაში, როცა არჩევანია ორ ცუდ გამოსავალს შორის?

აქცენტი: დაანახეთ მოსწავლეებს, რომ პროგრამირებას პირდაპირი კავშირი აქვს არა მხოლოდ მათემატიკასთან, არამედ ადამიანის სიცოცხლის ღირებულებასთანაც.

შეფასების კრიტერიუმები

ეს კრიტერიუმები დაეხმარება მასწავლებელს, რომელიც „სწავლის დიზაინერის“ როლშია, ობიექტურად შეაფასოს მოსწავლეთა ჩართულობა ციფრული რეალობის მართვის პროცესში.

ჩვენი მიზანი არ არის ტექნოლოგიებთან ბრძოლა – ეს წაგებული ომია. ჩვენი მიზანია, შევექმნათ განათლების ისეთი სისტემა, სადაც ადამიანის შემოქმედებითობა და მანქანის გამოთვლითი სიმძლავრე შეთანხმებულად იმუშავებს. ამ გზაზე კი ჩვენი ერთადერთი კომპასი ეთიკა და კრიტიკული აზროვნებაა.

ეს კრიტერიუმები

დაეხმარება

მასწავლებელს,

რომელიც „სწავლის

დიზაინერის“ როლშია,

ობიექტურად შეაფასოს

მოსწავლეთა

ჩართულობა ციფრული

რეალობის მართვის

პროცესში.

შეფასების კრიტერიუმების ცხრილი

შეფასების კრიტერიუმი	განმარტება და ინდიკატორები
ინფორმაციული ჰიგიენა და ვალიდურობა	მოსწავლეს შეუძლია, ეჭვქვეშ დააყენოს AI-ს მიერ გენერირებული კონტენტი და გამოიყენოს რეალობა ციფრული სიმულაციისგან. იყენებს მეტამონაცემებსა და ციფრულ კვალს სიმართლის დასადგენად.
ალგორითმული გაცნობიერება	მოსწავლე აცნობიერებს, როგორ ქმნის ალგორითმი ინფორმაციულ ბუშტებს და როგორ მოქმედებს ეს მის გადაწყვეტილებებზე. შეუძლია უხილავი მანიპულაციისგან თავის დაღწევის გზების პოვნა.
ეთიკური გადაწყვეტილების მიღება	მოსწავლე ეთიკას იყენებს როგორც პრაქტიკულ ინსტრუმენტს. შეუძლია, გააანალიზოს ტექნოლოგიის გავლენა საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე.
კონტექსტუალიზაცია და ემპათია	მოსწავლე მართავს ადამიანურ ურთიერთობებს იქ, სადაც ტექნოლოგია უძღურია. ჯგუფურ მუშაობაში ავლენს ემპათიას და თანამშრომლობას.
კრიტიკული ანალიზი	მოსწავლე ტექნოლოგიას იყენებს როგორც გამაძლიერებელს და არა როგორც აზროვნების შემცველს.

შეფასების რუბრიკა

დონე	აღწერა
მაღალი	დამოუკიდებლად ახდენს ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს, სცდება ინფორმაციულ ბუშტს და ეთიკურ დილემებში იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს.
საშუალო	ამოიცნობს დეზინფორმაციის რისკებს, მაგრამ სჭირდება დახმარება სიღრმისეული ანალიზისთვის. ნაწილობრივ აცნობიერებს ალგორითმების გავლენას.
დაბალი	ინერტულად იღებს ინფორმაციას, ვერ ამჩნევს ალგორითმულ გავლენას და უჭირს ეთიკური კავშირების დანახვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. The Future of Jobs Report 2023 <https://www.weforum.org/reports/the-future-of-jobs-report-2023/>
2. AI and the Future of Learning <https://acceleratelearning.stanford.edu/>
3. MIT Initiative on the Digital Economy (2018) *The Spread of True and False News Online* <https://www.science.org/doi/10.1126/science.aap9559>
4. UNESCO (2023) *Guidance for Generative AI in Education and Research* <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000386693>
5. Pariser, Eli (2011) *The Filter Bubble: What the Internet Is Hiding from You* <https://www.penguinrandomhouse.com/books/30715/the-filter-bubble-by-eli-pariser/>
6. MIT Media Lab – Moral Machine Project <https://www.moralmachine.net/>


შეფასების დონეები (ნიშუში)

მაღალი: მოსწავლე დამოუკიდებლად ახდენს ინფორმაციის კრიტიკულ ფილტრაციას, სცდება საკუთარ ინფორმაციულ ბუშტს და ეთიკურ დილემებში (მაგ., თვითმართვა-დი ავტომობილის ქეისი) იღებს დასაბუთებულ, ადამიანურ

ღირებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს.

საშუალო: მოსწავლე ამოიცნობს დეზინფორმაციის რისკებს, თუმცა სჭირდება მენტორის დახმარება წყაროების სიღრმისეული ანალიზისთვის. ესმის ალგორითმის გავლენა, მაგრამ უჭირს ალტერნატიული ხედვების მოძიება.

დაბალი: მოსწავლე ინერტულად იღებს ალგორითმის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და უჭირს ეთიკური კავშირის დანახვა ტექნოლოგიასა და ადამიანის სიცოცხლის ღირებულებას შორის. იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი როლის გააზრება პოსტსიმართლის ეპოქაში, გთავაზობთ თვითშეფასების კითხვარს.



მოსწავლის ინდივიდუალური თვითშეფასების კითხვარი

შეკითხვა	ყოველთვის/აღვილად	ხანდახან/მშორდება დახმარება	არასდროს/შიშირს
ვამოწმებ ინფორმაციის ვალიდურობას?	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვაცნობიერებ ალგორითმულ ბუმტებს?	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვეძებ განსხვავებულ აზრებს?	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვფიქრობ ტექნოლოგიის ეთიკურობაზე?	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვიყენებ AI-ს როგორც გამაძლიერებელს?	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვავლენ ემპათიას და გუნდურობას?	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ჩვენი მიზანი არ არის ტექნოლოგიებთან ბრძოლა – ეს წაგებული ომია. ჩვენი მიზანია, შევქმნათ განათლების ისეთი

სისტემა, სადაც ადამიანის შემოქმედებითობა და მანქანის გამოთვლითი სიმძლავრის შეთანხმებულად იმუშავებს.

ამ გზაზე კი ჩვენი ერთადერთი კომპასი ეთიკა და კრიტიკული აზროვნებაა.





ლელა კოტკორაშვილი

შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი

შემაჯამებელმა წერამ ბავშვს უნდა დაანახოს, როგორ იმუშავა გაკვეთილებზე, სად აქვს უფრო მეტი სამუშაო და რა არის მისი ძლიერი მხარე. მე ამისთვის ინდივიდუალური უკუკავშირი მოვიშველიე, კერძოდ, თითოეულს დავუტოვე განმავითარებელი წერილობითი კომენტარი, ცალკე ამოვიწერე შეცდომიანი წინადადებები, თავი მოვუყარე და სავარჯიშოდ გამოვიყენე.

მეცხრე კლასის სახელმძღვანელოში შეტანილია მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „მიწის ყივილი“. ტექსტის დაწერიდან თითქმის 100 წელია გასული. არქაიზმები, ლექსიკა, ტოპონიმების სიმრავლე და ჩახლართული სიუჟეტი თანამედროვე მოზარდებისთვის არც ისე იოლი დასაძლევია აღმოჩნდა. ჩაღრმავებული კითხვის მეთოდითა და მრავალფეროვანი აქტივობებით ტექსტი მაინც მოვიზინაურეთ. მინისპექტაკლები, პერსონაჟის გული, მოთხრობაში ნახსენები მუსიკალური ნაწარმოების მოსმენა, პერსონაჟის დღიური, თხრობის ქარგა („თავიდან... შემდეგ... ბოლოს...“), მხატვრული ხერხები და საგანგებოდ დაგეგმილი გაკვეთილი სახელად „მოთხრობის მულტიმედიაური გააზრება“, ეკრანზე ვიზუალურად გაცოცხლებული ქალაქები, ქვეყნები, მდინარეები, კატორღა, მწერლის ფოტოები – შემაჯამებელი წერისთვის მოსამზადებელ ეტაპად იქცა.

მოთხრობის მრავალმხრივ დამუშავებისა და ისტორიული კონტექსტის გააზრების შემდეგ, შემაჯამებელი წერისას, მოსწავლეებს შემდეგი ქარგა შევთავაზე:

- მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „მიწის ყივილის“ შესახებ დაწერე თხზულება, რომელშიც შეეხები ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს:
- შესავალ აბზაცში ყურადღება გააძვირე მოთხრობის ავტორზე, დაწერის დროზე, ნაწარმოების სათაურზე.
- დაწერე მოთხრობის მოკლე შინაარსი.
- აღწერე მოთხრობის მხატვრული ენა (მხატვრული ხერხები).

- დაახასიათე მთავარი პერსონაჟი და მოთხრობელი.
- მოთხრობის მთავარი დეტალებიდან შეარჩიე სამი რამ და იმსჯელე, რა როლს ასრულებს თითოეული მათგანი მოთხრობის სიუჟეტის განვითარებაში.
- გაიხსენე ეპიზოდი, რომელიც ყველაზე მეტად მოგეწონა.
- ჩამოთვალე მოთხრობის მთავარი თემები, შეარჩიე ერთი და იმსჯელე, რაზე დაგაფიქრა.
- ბოლო აბზაცი დაიწყე სიტყვით „ახლა“ და დაწერე, რა ხდება შენ ირგვლივ, რას ხედავ, რა გესმის, რას გრძნობ, რას ფიქრობ, რა გახსენდება. ამ აბზაცში გამოყენებულ ზმნებში მოძებნე და გააფერადე სუბიექტური პირის ნიშნები.
- თემა დაასრულე ერთი კითხვით, რომელიც მოთხრობას ეხება.

ინსტრუქციას დაფურთე შემდეგი ტექსტი: „წერით მიღებულ სიამოვნებას გისურვებ. ერთი სული მაქვს, როდის წავიკითხავ შენს ნაწერს, შენს ფიქრებს, რომლებიც თითებიდან ფურცელზე გადმოიღვარა“.

როგორც ხედავთ, დავალება მოიცავს 9 საკითხს, რომელთაგან ერთი გრამატიკულია. მოსწავლეებისთვის არცერთი საკითხი არ ყოფილა უცხო – თითოეული მათგანი სხვადასხვა დროს გაკვეთილებზე განვიხილეთ. ვეცადე, ყველა ბავშვისთვის მიმეცა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება.

შემაჯამებელ წერას ორი გაკვეთილი დავუთმეთ. ნამუშევრების გასწორებას კი რამდენიმე საათი დასჭირდა. ეს ძალიან შრომატევადი პროცესი იყო.

ვფიქრობ, შემაჯამებელმა წერამ ბავშვს უნდა დაანახოს, როგორ იმუშავა გაკვეთილებზე, სადა აქვს უფრო მეტი სამუშაო და რა არის მისი ძლიერი მხარე. მე ამისთვის ინდივიდუალური უკუკავშირი მოვიშველიე, კერძოდ, თითოეულს დავუტოვე განმავითარებელი წერილობითი კომენტარი, ცალკე ამოვიწერე შეცდომიანი წინადადებები, თავი მოვუყარე და სავარჯიშოდ გამოვიყენე. გარდა ამისა, ყოველი ნამუშევრიდან ამოვიწერე თითო ან რამდენიმე წინადადება, რომლებსაც გასწვრივ ავტორის სახელი და გვარი მივუწერე და მთელ კლასს ხმამაღლა წავუკითხე.

განმავითარებელი კომენტარების წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვე, იქვე თავადაც დაეწერათ საპასუხო კომენტარი. ისიც ვუთხარი, რომ თუ რომელიმეს მიღებული ქულა უსამართლოდ მოეჩვენებოდა, გამოტოვებული საკითხის დაწერის საშუალებას მივცემდი.

ჩემი დაკვირვებით, მოსწავლეთა უმრავლესობამ თავი გაართვა შემაჯამებელი დავალების ინსტრუქციას. თხზულების დაწერა გაუჭირდათ იმ ბავშვებს, რომლებიც სკოლას ხშირად აცდენდნენ ან გაკვეთილებზე უყურადღებოდ იყვნენ. ძალიან მინდოდა, რამდენიმე მათგანისთვის დამატებითი გაკვეთილები ჩამეტარებინა, მაგრამ გადატვირთული სასკოლო რეჟიმის გამო ჩანაფიქრის ასრულება იმხანად ვერ შეეძლო.

იმავ პერიოდში ერთი მოსწავლე სხვა სკოლაში გადავიდა. ვიცოდი, შემაჯამებლის ანალიზისთვის დათმობილ გაკვეთილზე არ იქნებოდა. მაინც დავუწერე განმავითარებელი კომენტარი და, საკლასო ოთახში შესულმა, თავის მერხთან რომ დავინახე, უზომოდ გაიხარდა.

გიზარებთ მისთვის დაწერილ განმავითარებელ კომენტარს:

„ლიზი, ამ შემაჯამებლების ანალიზს კლასში რომ მოვიტან, შენ უკვე სხვა სკოლაში იქნები გადასული. გული მიწყდება, ჩემო ლამაზო, გონიერო და სიცოცხლით სავსე გოგოვ. არასდროს დამავიწყდება, როგორი გულმოდგინებით წერ-

დი, რამდენი დრო დახარჯე ხაზების გავლებასა და მეორე საკითხის წერაში (შინაარსს რომ ვერ ასრულებდი). ვფიქრობ, დროის განაწილებაზე უნდა იმუშაო. რამდენიმე საკითხი გამოგჩა და ზუსტად ვიცი, დაწერა შეგეძლო. ძალიან მომენტარები. უზარმაზარი მადლობა ყურადღებისთვის, შესრულებული დავალებებისთვის. ღმერთი გფარავდეს შენს სავალ გზებზე“.

ლიზიმ პასუხად მომწერა:

„მას, მართალი ხართ, დროის კონტროლი არ შემეძლია. აუცილებლად გავითვალისწინებ. უფრო მეტ ქულას ველოდი, მაგრამ არაუშავს. რაც არის, არის. მიყვარხართ, მას, და მეც მომენტარეთ. ვცდილობდი, ყველა თემას შეეხებოდი, მაგრამ გამომრჩენია“.

ძალიან მიყვარს შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზისთვის განკუთვნილი გაკვეთილი. ბავშვებს სჭირდებათ დროული უკუკავშირი, მოტივაციის ამაღლება, რჩევები და მასწავლებლის მხარდაჭერა.

„შემაჯამებლის ანალიზი“ – ვწერ სათაურად თარიღის ქვეშ და ვიწყებ ნამუშევრების დარგებას. საინტერესოა მოსწავლეებზე დაკვირვება იმ დროს, როცა განმავითარებელ კომენტარებს კითხულობენ. საპასუხო კომენტარების დაწერის შემდეგ ვარსკვლავწინადადებები წავუკითხე, ბოლოს კი ცალკე ამოებჭდილი შეცდომები სათითაოდ დავუხივე და მთელმა კლასმა გრამატიკულ საკითხებზე იმუშავა.

გიზარებთ მეცხრეკლასელების შემაჯამებელი ნამუშევრებიდან ამოკრებილ ვარსკვლავწინადადებებს, რომელთა ხმამაღალი წაკითხვის მიზანი თითოეულის ინდივიდუალურობის წარმოჩენა იყო.

ვარსკვლავწინადადებები

ამ მოთხრობის ყველა გზა ქართული ანბანისკენ მიდის. გარეთ უჩვეულო მზეა შემოდგომისთვის. – ანდრია

ჩემი აზრით, ეს იმას გვასწავლის, თუ როგორი განსაკუთრებულია პირველი ნაბიჯის გადადგმა. თქვენ რომ მესხიერება გქონდეთ დაკარგული და უცებ დაბრუნდეს, ვის გაიხსენებდით პირველს? ბავშვები თავჩაზრილები გამწარებულები წერენ, ზოგი ფიქრობს, ზოგი კი ისე წერს, ბოში რომ აუფეთქო, ვერ გაიგებს. – ნინი

„შემაჯამებლის ანალიზი“ – ვწერ სათაურად თარიღის ქვეშ და ვიწყებ ნამუშევრების დარგებას. საინტერესოა მოსწავლეებზე დაკვირვება იმ დროს, როცა განმავითარებელ კომენტარებს კითხულობენ.

მე და ჩემი კლასელები გავეცანით მიხილ ჯავახიშვილის მოთხრობა „მიწის ყივილს“, რომელიც გვიამბობს, რამდენი რამე შეიძლება მოხდეს ორ ადამიანს შორის ძალიან მოკლე დროის განმავლობაში, თუნდაც ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ. ამ მოთხრობასთან დაკავშირებით ასეთი კითხვა მაქვს: რა სიმბოლურ მნიშვნელობას გამოხატავს მიწა ამ მოთხრობაში და რა განსხვავება ანდრო კაიშაურსა და სხვა ემიგრანტებს შორის? – ქეთი

არ ვიცი, რა დავწერო, მარა ძალიან სახალისო და საინტერესო იყო. რა საინტერესოა, ნეტავ, ვინ არის მთავარი მოხრობელი? – ნინი

პირადად ჩემთვის ემიგრაცია ყველაზე ცუდი გასახსენებელია, რადგანაც ოჯახის ორი წევრი ამის გამო 6-7 წელი ვერ ვნახე. თურმე რა მაღლიერები უნდა ვიყოთ, რომ ჩვენ ეს არ გვიწევს. – ცოტნე ქისტაური

ვგრძნობ, რომ ყველა დაწერს ტესტს. – გია

ვხედავ, ლილე და ლელა მასწავლებელი როგორ საყვარლად სხედან და მუშაობენ. ჩემი შეკითხვაა: არის ეს ამბავი ნამდვილი? – ნინი

ვხედავ მასწავლებლის დიდ ჩანთას, წიგნებით გადავსებულს, და მაფინებს. ვურჩევ ყველას, ეს მოთხრობა წაიკითხოს. ძალიან მაგარია და ძალიან საინტერესოა. ნეტავ შემეძლოს, რომ ჩემი პატარა დისთვის წამეკითხა, მაგრამ პატარაა და ვერაფერს გაიგებს. – ანა

ლელა მასწავლებელი ჰყვება, რას აპირებს მე-11 კლასის გაკვეთილზე, თან ისე უხარია, რომ გაბრწყინებული სახით გვიყვება. ყველა ჩუმდაა და აძლევენ რჩევებს. გარეთ მზეა, მაგრამ სუსხია. – ლიზი

ჩემი დაქალი წიგნს კითხულობს. – მარიამი

ნეტავ მეც ვისწავლი ფრანგულს? – ბარბარე

ანდრო კაიშაური რომ არ მომკვდარიყო, ნეტავ, წავიდოდა საქართველოში? – გიორგი

ამ ყველაფერმა დამაფიქრა, რომ სადაც არ უნდა წახვიდე, მოგენატრება სამშობლო და ძალიან გაგიჭირდება სახლიდან შორს ყოფნა. მასსენდება, როგორ საინტერესოდ ვმსჯელობდით ამ ტექსტზე. ნეტავ, კიდეც დგას წაბლის ხის ქვეშ გრძელსკამი? და თუ იცის ხალხმა მაგ ადგილის შესახებ? – ანანო

მე მომეწონა ის ეპიზოდი, მოხუცი და ახალგაზრდა რომ დამეგობრდებიან. – გიორგი

ამ მოთხრობამ გვასწავლა, რომ დიდი ხნით არასდროს დავტოვოთ სამშობლო. – გიორგი

ახლა კლასში ლელა მასწავლებელი და მისი შვილი წიგნებს ამზადებენ. ცოტნემ კიდეც ერთი ფურცელი მოითხოვა. ნეტავ, რა დაწერა ამდენი? – მარიამი



მდინარე მარნამ დამაფიქრა. რეალურად რომ მენახა, საინტერესო იქნებოდა. – ლიზი

სადაც არ უნდა იცხოვრო ან დრო გაატარო, სამშობლო სულ შენშია, მისი დავიწყება შეუძლებელია. – მარიამი

ამ მოთხრობამ ძალიან შემეყვარა თავი თავისი უცნაური პერსონაჟებით. – დარჩი

მთავარი პერსონაჟები ძალიან მხიარულები და გულწრფელები არიან. – გიგა

მართალია, ჩვენი თაობისთვის ძალიან რთულია, მაგრამ ჩვენ ძალიან სწრაფად მოვიშინაურეთ. ახლა მალე ზარია. თათია კლასში დაჭრილ ყვავილებს გვის. ამ მოთხრობამ სამშობლოზე დამაფიქრა. – ტასო მენტემშავილი

მოთხრობის დაწერას 100 წელი გვაშორებს. – თათია

ნეტავი, რომ არ დავიწყებოდა თავისი სამშობლო, წავიდოდა სხვა ქვეყნებში სამოგზაუროდ? – საბა

სამწუხაროდ, ენისთვის დათმობილი საათები საკმარისი არ არის და სახელმძღვანელოსთვის დართული გრამატიკული საგარჯემოებიც მწირია, ამიტომ შემავჯამებელ ნაწერებში დაშვებულ შეცდომები საგარჯემოდ ვაქციე. გადავწყვიტე, შეცდომები გამემუქებინა, ადვილად რომ ეპოვათ და უკეთ დამახსოვრებოდათ.

შეცდომები

1. მათი გაცნობის შემდეგ მოხუცი მამაკაცი ყვება თავის თავგადასავალს. 2. ძან გახარებულია, როგორც იქნა, ცხოვრების ტვირთს იშორებს და იხსენებს ოჯახს. 3. რა ძნელია, როდესაც არ გახსოვს: ბავშვობა, დედ-მამა, ოჯახი, სამშობლო, მაგრამ მაინც ბრძოლობს და იხსენებს. 4. ამ მოთხრობის მთავარი თემებია მიგრაცია, სამშობლოს სიყვარული. 5. შემდეგ ის გაიქცევა და იმოგზაურებს: ჩინეთში, იაპონიაში, სხვადასხვა კუნძულებზე და ბოლოს ევროპაში ჩავა. 6. ამ მოხუცს ახსენდება ძველი დრო, მისი სამშობლო და, რაც ყველაზე მთავარია, მისი დედიკო. 7. როგორც იქნა, მივიდა მასთან და კითხა წიგნის შესახებ. 8. მე და ჩემი კლასელები გავცანიით მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობას „მიწის ყივილი“-ს. 9. მან უთხრა, რომ

მწერალს დასვენება ჭირდებოდა. 10. მთავარი პერსონაჟი არის გლეხი რომელიც დიდი სიყვარულით ზრუნავს მიწაზე. 11. ამ ტექსტში ბევრი მხატვრული ხერხები გვხვდება. 12. მწერალი ექიმის გაფრთხილებებს და ინსტრუქციებს მიყვება. 13. მოთხრობაში გამოყენებულია სხვადასხვა მხატვრული ხერხები. 14. 2 ოჯახის წევრი ამის გამო 6-7 წელი ვერ ვნახე. 15. ექიმა გამსინჯა. 16. მთავარი პერსონაჟი არი კეთილი, უყვარს მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყნებში. 17. დაინტერესა ახალ გაზრდა მამაკაცი. 18. მოთხრობის სათაური არის მიწის ყივილი. 19. მახსენდება რომ, სახლში საქმელი მელოდება. 20. მოხუცს ძალიან უნდოდა მის სამშობლოში დაბრუნება. 21. გვიყვები პოეტურ რაღაცეებზე. 22. მივიდა მასთან, გვერძე მიუჯდა და წიგნს ჩახედა. 23. ერთ დღეს როდესაც ახალგაზრდა კაცი თავს ცუდად გრძნობდა წავიდა ექიმთან და ექიმმა მას წამლის მაგიერ დასვენება გამოუწერა. 24. ლელა მასწავლებელი ყვება, თუ რას აპირებს 11 კლასის გაცვეთილზე. 25. მესმის რომ კალამი შჭირდებათ. 26. მე და ჩემმა კლასელებმა წავიკითხეთ (მიწის ყივილი). 27. „მიწის ყივილი“-ს ავტორი არის მიხეილ ჯავახიშვილი. 28. მოთხრობელი არ აჩენს თავს, ამიტომ არვიცი ვინაობა. 29. ახალგაზრდა ექიმა გამოუშვა დასასვენებლად. 30. მერე არის მოხუცისა და ახალგაზრდას შეხვედრა პატარა ბაღში, გრძელ სკამზე წაბლის ხის ქვეშ. 31. თავიდან არც ისე კარგათ დაიწყო მაგრამ, შემდეგ კარგად განვითარდა. 32. რამდენი რამ არახსოვდა. 33. ახალგაზრდა ვეფხის ტყაოსანს უკითხავს. 34. ანდროს კი ნელ ნელა ახსენდებოდა თავისი სამშობლო. 35. ანდრო კაიშაური გულკეთილი, სამშობლოს მოყვარული კაცია, რომელშიც მოგონებებმა გაიღვიძეს და გაუღვივეს სამშობლოში დაბრუნების სურვილი. 36. ვერ მოასწრო მისი სამშობლოს ნახვა. 37. ამდენი წლის შემდეგ დავიწყებულ რაღაცეებს რომ იხსენებს. 38. გავიგეთ, რომ მოხუც კაცს ანდრო კაიშაური ქვია. 39. მოთხრობაში ავტორი რამოდენიმე მხატვრულ ხერხებს იყენებს. 40. უცნობი კაცი კი შრომის მოყვარედ გაგვაცნო. 41. მიხეილ ჯავახიშვილმა მიწის ყივილი 20-ე საუკუნის 30 იან წლებში დაწერა. 42. მოთხრობის დასასრულში კი სამწუხაროდ ანდრო გარდაიცვალა. 43. ერთ ერთი მნიშვნელოვანი ბავშვობის გახსენებაა, მეორე კი რათქმუნდა სამშობლოს სიყვარული. 44. მოხუცმა კითხა, ეს ქართულიაო. 45. სამწუხაროდ ის მისი სიცოცხლის განმავლობაში იქ ვერ ჩავიდა. 46. საინტერესოა ვინაა მოთხრობელი რაქვია. 47. ჩემი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი დასაწყისია.





მაია ფირჩხაძე

როგორ გამოვიყენოთ გონებრივი რუკები „ჩვენი საქართველოს“ სწავლებაში

როგორც სასწავლო ინსტრუმენტი, გონებრივი რუკა ცოდნის რეპროდუქციების მნიშვნელოვანი საშუალებაა და ხელს უწყობს დამოუკიდებელ სწავლას და მის კავშირს პრაქტიკასთან; საშუალებას აძლევს მოსწავლეს, უფრო ღრმად გაიაზროს შესწავლილი მასალა და ჩამოუყალიბდეს ნარმოდგენა კონკრეტულ სივრცესა თუ ტერიტორიაზე.

„ჩვენი საქართველოს“ სასწავლო კურსი გულისხმობს მოსწავლის მიერ რუკაზე გონებრივი ობიექტების გამოსახვას და პოვნას. შესაბამისად, სწავლების ეფექტიანობისთვის მოსწავლეთა სივრცობრივი აზროვნების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

სივრცითი აზროვნება გონებრივი აქტივობის სახეობაა, აზროვნების შინაარსის ვიზუალურ გამოსახულებად გარდაქმნის პროცესი. მოცემული აქტი შეიძლება განვიხილოთ როგორც მასწავლებლისა და მოსწავლის ერთობლივი საქმიანობა, რომლის შედეგად მიღებული გამოსახულება (მოსწავლის აზროვნების ნაყოფი) წარმოადგენს მოსწავლის შემდგომი განვითარების, მომავალი პრაქტიკული სასწავლო აქტივობების განხორციელების საყრდენს.

საზოგადოდ, სივრცითი ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი არ გადაიცემა ტრადიციული ქაღალდის რუკებისა და ატლასების გზით. მის გადაცემაში აქტიურად მონაწილეობს დინამიკური, ინტერაქციული საინფორმაციო სისტემები. უფრო მეტიც: სკოლის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი ინფორმაციის დიდი მოცულობა, მისი ხაზოვანი

- სტრუქტურა ხშირად თავად წარმოშობს სირთულეებს ძირითადი იდეების იდენტიფიცირებაში, განზოგადებასა და დამახსოვრებაში. აქ იგულისხმება:
- სახელმძღვანელოთა ტექსტების უწყვეტობა (ინფორმაცია გადმოცემულია უწყვეტ ნაკადად, ცოტაა სქემა, დიაგრამა, ცხრილი, გრაფიკული ორგანიზატორი);
- მოვლენები და ფაქტები დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით (მაგალითად, ისტორიის სახელმძღვანელო დალაგებულია ამგვარად: მოვლენა A → მოვლენა B → მოვლენა C და ა.შ., – მაშინ როდესაც არ ჩანს ამ მოვლენათა მიზეზშედეგობრივი კავშირი ერთიან სქემაში)
- ან თემატურად (მთავარი იდეა „დამალულია“ დეტალებში და მოსწავლეს

უწევს, დიდი მოცულობის ტექსტიდან თავად გამოარჩიოს არსებითი).

ეს კომპონენტები ქმნის სირთულეს მოსწავლისთვის, რადგან ტვინი უკეთ ამუშავებს სტრუქტურირებულ, ვიზუალურად ორგანიზებულ მასალას, ამის ნაცვლად კი მას სახელმძღვანელოს ფურცლებზე სხვა რამ ხვდება.

აღიარებულია, რომ მასალის შესწავლის, გამოყენების, ანალიზის, სინთეზის, შეფასების დროს კოგნიტიური სავარჯიშოების სისტემატური გამოყენება ეხმარება მოსწავლეს აზროვნების, განსჯის უნარების, ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებაში, რაც არის კიდევ სწავლებაში კოგნიტიური სქემების გამოყენების უპირატესობა (მ. ფირჩხაძე, 2012).

კოგნიტიური სქემების გამოყენების არეალი





განათლება -

თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge



ხანდახან ვფიქრობ, რომ სპორტის გაკვეთილებზე არც სისწრაფა მთავარი და არც გამარჯვება. ყველაზე მნიშვნელოვანი ის გამოცდილებაა, რომელსაც ბავშვები იღებენ. შესაძლოა, მათ აღარ ახსოვდეთ, რამდენი გოლი გაიტანეს ან რამდენი თამაში მოიგეს, მაგრამ თუ ერთ დღესაც, სირთულესთან შეჯახებისას, გაიხსენებენ, რომ დაცემის შემდეგ წამოდგომა შესაძლებელია, რომ გუნდში ყოფნა ნიშნავს ერთმანეთის მხარდაჭერას და რომ ღირსეულად ბრძოლა უკვე გამარჯვებაა, მაშინ ვიტყვი, რომ სპორტის გაკვეთილებმა თავისი ნამდვილი მიზანი შეასრულა.

ამაზე ვფიქრობ მაშინ, როცა გაკვეთილის შემდეგ დარბაზი ცარიელდება და ბურთის ხმა წყდება. ამ წუთებში ყველაზე ცხადად ვგრძნობ, რომ სპორტის გაკვეთილი მხოლოდ მოძრაობა და თამაში არ არის – ეს არის შესაძლებლობა, ბავშვმა ცხოვრების პირველი მნიშვნელოვანი გამოცდილება მიიღოს.

სპორტის გაკვეთილი რომ მოგცა ალბრდა

როცა ბავშვები პირველად შედიან სპორტულ დარბაზში, მათი ნაწილი მორცხვად დგას. ზოგს ბურთის ემინია, ზოგს – შეცდომის, ზოგს კი თანატოლების შეფასების. ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის მხარდაჭერა, რომელიც მათ უსაფრთხოების განცდას უქმნის და აძლევს შესაძლებლობას, ნელ-ნელა ჩაერთონ პროცესში.

სპორტის გაკვეთილზე ხშირად ხდება პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებები. პირველად რომ გაბედვას სირბილს, პირველად რომ აღარ იტირებს წაგების შემდეგ, პირველად რომ გააზნევენ თანაგუნდელს, ეს

თითქოსდა უმნიშვნელო მომენტები ბავშვს თავდაჯერებას და შინაგან სიმტკიცეს სძენს. სპორტი მოზარდს ფიზიკურად აკაუხებს და აძლიერებს, თუმცა მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ხასიათის ფორმირებაა.

თეორიული ჩარჩო – ბიოეკოლოგიური მოდელი

სპორტის გაკვეთილების აღმზრდელობითი მნიშვნელობის უკეთ გასაგებად მნიშვნელოვანია

გიორგი სილაგავა

სპორტის გაკვეთილების დამატებითი მიზანი

ბავშვის განვითარების თანამედროვე თეორიების გათვალისწინება. ამ კუთხით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონცეფციაა ური ბრონფენბრენერის ბიოეკოლოგიური განვითარების მოდელი. ამ მოდელის მიხედვით, ბავშვის ყოველდღიურ განვითარებაზე ყველაზე ძლიერ გავლენას გარემო ახდენს. სკოლა მიკროსისტემის ნაწილია, ხოლო სპორტის გაკვეთილები ამ გარემოში განსაკუთრებულ სოციალურ სივრცეს ქმნის. აქ ბავშვი თანატოლებთან თანამშრომლობს, სწავლობს წესების დაცვას, ემოციების მართვას და პასუხისმგებლობის გაზიარებას.

თამაშში დაბალუნი გაკვეთილები

სპორტული თამაშები ხშირად ქმნის სიტუაციებს, რომლებიც

რეალური ცხოვრების მოდელს ჰგავს. თამაშის დროს ბავშვებს უწევთ გადაწყვეტილების მიღება, სტრატეგიის დაგეგმვა და თანამშრომლობა:

- გუნდში როლების განაწილება;
- თამაშის წესების დაცვა;

მოსწავლე იგრძნობს საკუთარ მნიშვნელობას და შესაძლებლობას. სწორედ ამ გარემოში ხდება პიროვნული ზრდა და თავდაჯერების ჩამოყალიბება.

სპორტი მხოლოდ თამაში არ არის. ეს ცხოვრების პატარა



- კონფლიქტური სიტუაციების მშვიდობიანად მოგვარება;
- წაგების მიღება და გამარჯვების გაზიარება.

ამგვარი გამოცდილება პრობლემის გადაჭრის უნარს აყალიბებს. ბავშვები სწავლობენ, რომ შეცდომა განვითარების ბუნებრივი ნაწილია და რომ წარმატება ხშირად თანამშრომლობის შედეგია.

სპორტის მასწავლებლის როლი

სპორტის მასწავლებლის საქმიანობა ტექნიკური უნარების სწავლებით არ შემოიფარგლება. მისი მთავარი ამოცანაა ისეთი გარემოს შექმნა, სადაც თითოეული

მოდელია, სადაც ბავშვები სწავლობენ, როგორ იყვნენ არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ ფსიქოემოციურადაც ძლიერები.

შესაძლოა, წლების შემდეგ მათ აღარ ახსოვდეთ კონკრეტული თამაშები ან ვარჯიშები, შესაძლოა, არც ის ახსოვდეთ, რამდენჯერ მოიგეს ან წააგეს, მაგრამ თუ ერთხელ მაინც გაიხსენებენ, რომ დაცემის შემდეგ წამოდგომა შესაძლებელია, რომ გუნდში ყოფნა ნიშნავს ერთმანეთის მხარდაჭერას და რომ ღირსეულად ბრძოლა უკვე გამარჯვებაა, ესე იგი სპორტის გაკვეთილებმა თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი შეასრულა.

სწავლის დაწყებით საფეხურზე, პირველ კლასში, იწყება მოსწავლის წერის უნარის ფორმირება. ჩემი პედაგოგიური გამოცდილება მაჩვენებს, რომ ეს პროცესი ყველა ბავშვისთვის ერთნაირი არ არის. ყოველ მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური თავისებურებები, რომლებიც ხშირად განსხვავებულ პედაგოგიურ მიდგომას მოითხოვს.

განსაკუთრებით საინტერესო და გამოწვევებით სავსეა ცაცია მოსწავლეებთან მუშაობა. ხშირად ვხედავ, რომ ცაცია ბავშვებს მეტი დრო სჭირდებათ წერის ტექნიკის დასაფუძვლად. სასწავლო გარემო და წერითი ინსტრუმენტების გამოყენების წესები უმეტესად მარჯვენახელიანი მოსწავლეების შესაძლებლობებს არის მორგებული. ამის გამო ცაციაებს შესაძლოა გაუჭირდეთ კალმის სწორად დაჭერა, ფურცელზე ხელის პოზიციის შერჩევა და წერის მოძრაობების კონტროლი. ამის შედეგია ასოების ფორმის არასტაბილურობა, წერის დაბალი ტემპი და სივრცითი განლაგების სირთულეები.

განსაკუთრებით საყურადღებოა შემთხვევები, როდესაც ცაცია მოსწავლეს დისგრაფიის ნიშნებიც აქვს. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია სწავლების იმ მეთოდების გამოყენება, რომლებიც ვიზუალურ, მოტორულ და კინესთეტიკურ გამოცდილებას აერთიანებს.

ჩემი დაკვირვებით, პირველ კლასში წერის სწავლა რთული და მრავალკომპონენტური პროცესია. იგი მოითხოვს რამდენიმე უნარის:
 • წვრილი მოტორიკის,
 • თვალისა და ხელის კოორდინაციის,
 • სივრცითი აღქმის,
 • ვიზუალური მესხიერების,
 • ენობრივი კომპეტენციის, – ერთდროულ განვითარებას.

ცაცია მოსწავლეებთან მუშაობისას ხშირად ვაწყდები შემდეგ სირთულეებს:

- ასოების არასწორი მიმართულება;
- წერის მოძრაობათა კონტროლის სირთულე;
- კალმის არასწორი პოზიცია;
- წერის დაბალი ტემპი.

როდესაც ამ სირთულეებს დისგრაფიის ნიშნებიც ემატება, მოსწავლეს უფრო მეტად უჭირს ასოების სტაბილური ფორმით გამოსახვა, სიტყვებს შორის ინტერვალის დაცვა და ტექსტის თანმიმდევრული წერა. ასეთ ვითარებაში ძალიან მნიშვნელოვანია დროული პედაგოგიური მხარდაჭერა და მიზნობრივი სავარჯიშოების გამოყენება.

ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში იყო ასეთი შემთხვევა: პირველ კლასში მყავდა ცაცია მოსწავლე, რომელსაც წერა განსაკუთრებით უჭირდა. მას უჭირდა ასოების გრაფიკული გამოსახვა და წერის ტემპითაც ჩამორჩებოდა თანაკლასელებს. მის დასახმარებლად გამოვიყენე მარტივი, მაგრამ ეფექტური მეთოდი – ბადიან რვეულში წინასწარ ფანქრით ვუწერდი:

- მარცვლებს;
- სიტყვებს;
- მარტივ წინადადებებს;
- მცირე ტექსტებს.

მოსწავლე ჩემ მიერ დაწერილ ტექსტში თითოეულ ასოს მხოლოდ კალამს გადაატარებდა.


ამ მეთოდის გამოყენებისას რამდენიმე მიზანს ვისახავდი:
 • მოსწავლეს დამახსოვრებოდა წერის მოძრაობები;
 • გაეუმჯობესებინა ხელის მოტორული კოორდინაცია;
 • უკეთ აღექვა ასოების ფორმა.

გამოყენებული მეთოდი ეფუძნება მოდელირებისა და კინესთეტიკური სწავლების პრინციპებს. როდესაც მოსწავლე წინასწარ და-

წერილ ასოს კალამს გადაატარებს, იგი ერთსა და იმავე დროს ხედავს ასოს ფორმას და ხელის მოძრაობით იმეორებს მას. ამ პროცესში თანდათან ყალიბდება მოტორული მესხიერება, რაც ხელს უწყობს ასოების წერის ავტომატიზაციას. უმჯობესდება თვალისა და ხელის კოორდინაცია, რადგან მოსწავლე ყურადღებით მიჰყვება ასოს კონტურს. ამგვარი განმეორებითი მოძრაობები

კვლევები მიუთითებს, რომ წერის უნარის განვითარება მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული მოტორული უნარების განვითარებასა და მრავალსენსორულ სწავლებასთან.

გრემი და ჰარისი (Graham & Harris, 2005) აღნიშნავენ, რომ წერითი უნარის სწავლება უფრო ეფექტურია მაშინ, როდესაც მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, დააკვირდნენ მოდელს და



ხელს უწყობს ასოს ფორმის უკეთ დამახსოვრებას.

ამ მეთოდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგია შფოთვის შემცირება. როდესაც მოსწავლეს არ უწევს ასოს დამოუკიდებლად გამოსახვა და მხოლოდ არსებულ ფორმას მიჰყვება, ის უფრო თავდაჯერებულია და ნაკლებად ეშინია შეცდომის.

პროცესი ეტაპობრივად გადაიზარდა დამოუკიდებელ წერაში: ჯერ – გადატარება, შემდეგ – ნაწილობრივი კოპირება და საბოლოოდ – დამოუკიდებელი წერა.

სისტემატური მუშაობის შედეგად დაახლოებით ორ თვეში მოსწავლემ მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა. წერის ხოლო დაახლოებით ოთხი თვის შემდეგ მისი ტემპი და სისუფთავე თითქმის გაუთანაბრდა თანაკლასელებისას. ჩემი დაკვირვებით, პრაქტიკულად, აღმოიფხვრა დისგრაფიის ნიშნებიც.

შემდეგ მიზანმიმართულ განახორციელონ შესაბამისი მოძრაობები.

ბერნინგერი (Berninger, 2012) თავის კვლევებში ხაზს უსვამს, რომ წერის უნარის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ვიზუალურ-მოტორულ კოორდინაციასთან. მისი დაკვირვებით, წერითი მოქმედების ხშირი პრაქტიკა ხელს უწყობს ასოების ფორმის ავტომატიზაციას.

ფედერი და მაინემერი (Feder & Majnemer, 2007) დისგრაფიის შესახებ ჩატარებულ კვლევებში აღნიშნავენ, რომ ეფექტურია ისეთი აქტივობები, რომლებიც აერთიანებს მოძრაობას, ვიზუალურ აღქმასა და წერით პრაქტიკას.

შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკაში გამოყენებული მეთოდი, წინასწარ დაწერილ ტექსტზე კალმის გადატარება, სწორედ იმ მიდგომებს ეფუძნება, რომლებსაც თანამედროვე პედაგოგიური კვლევები ეფექტურად მიიჩნევს.

ჩემი გამოცდილებით, ცაცია მოსწავლეებთან მუშაობისას მნიშვნელოვანია:

- ფურცლის ოდნავ დახრით განთავსება;
- კალმის სწორად დაჭერის სწავლება;
- ბადიანი რვეულის გამოყენება;
- ასობებზე კალმის გადატარების სავარჯიშოები;
- წვრილი მოტოროციკის განმავითარებელი აქტივობები;
- საკმარისი დროის მიცემა წერისთვის;
- მოსწავლის მუდმივი მხარდაჭერა და წახალისება.

გამოცდილება მაჩვენებს, რომ ცაცია მოსწავლეებთან მუშაობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პედაგოგის დაკვირვებას, მოთმინებას და სწავლების მეთოდების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი სამუშაო გარკვეულ დროსა და ენერჯის მოთხოვნას მასწავლებლისგან, შედეგი მოწმობს, რომ სწორი პედაგოგიური მხარდაჭერა თითოეულ მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, დაძლიოს საწყის ეტაპზე არსებული სირთულეები და წარმატებით ჩაერთოს სასწავლო პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

- Berninger, V. W. (2012). *Past, present, and future contributions of cognitive writing research to cognitive psychology*. Psychology Press
- Feder, K., Majnemer, A. (2007). Handwriting development, competency, and intervention. *Developmental Medicine & Child Neurology*, 49(4), 312-317
- Graham, S., & Harris, K. R. (2005). *Writing better: Effective strategies for teaching students with learning difficulties*. Paul H. Brookes Publishing
- Richards, R. (1999). *The source for dysgraphia*. LinguiSystems

თანამედროვე განათლების ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევა მოსწავლეებისთვის ფუნქციური წერის უნარის ჩამოყალიბებაა. ხშირად მოსწავლეებს აქვთ საინტერესო იდეები, მაგრამ უჭირთ მათი ლოგიკური სტრუქტურირება, არგუმენტების გამართვა და აზრის თანმიმდევრული განვითარება. პრობლემას უფრო მეტად ამწვავებს ის, რომ მოსწავლე წერას განიხილავს არა როგორც უნივერსალურ უნარს, არამედ როგორც კონკრეტული საგნის ვიწრო მოთხოვნას. ქართული და ინგლისური ფილოლოგიის ინტეგრირება

მარიტა ჩარქავიშვილი

აზროვნების არქიტექტურა – აკადემიური წერის მეთოდები

აუცილებელი და აქტუალური ნაბიჯია. როდესაც მოსწავლე ხედავს, რომ ინგლისურ ენაზე ნასწავლი ფორმულა იდეალურად მუშაობს ქართულ ლიტერატურულ ესეშიც, ის აცნობიერებს, რომ აკადემიური წერა არის არა „საგანი“, არამედ აზროვნების სტრუქტურირების ინსტრუმენტი, რომელიც ენობრივ ბარიერებს ცდებდა. ინტეგრირებული გაცვეთილის დაგეგმვისას მე და ჩემმა კოლეგამ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ირმა ნაგროზაშვილმა, შექმენით, საერთო მიზნის გარშემო გავეერთიანებინა ჩვენი საგნები. ჩვენი თანამშრომლობა ეფუძნებოდა იდეას, რომ აკადემიური წერის ლოგიკა უნივერსალურია. მასწავლებლები ხშირად ვეჯახებით ერთსა და იმავე გამოწვევას: მოსწავლეებს აქვთ საინტერესო იდეები, მაგრამ ფურცელზე მათი გადატარებისას იწყება სტრუქტურული ქაოსი. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე, ჩამეტარებინა ინტეგრირებული გაცვეთილი, სადაც ქართული და ინგლისური ფილოლოგიის გადაკვეთაზე მოსწავლეებს აკადემიური წერის უნივერსალურ ინსტრუმენტებს მივაწვდიდი.

როგორც ინგლისური ენის მასწავლებელი, ხშირად ვაძინე, რომ მოსწავლეებს უცხოურ ენაზე წერისას უფრო მეტად მეთხოვებოდათ სტრუქტურის დაცვა, ვიდრე მშობლიურზე. ჩემი მიზანი იყო,

დამემტკიცებინა, რომ ანგლო-ამერიკული აკადემიური წერის სტანდარტები თავისი სიმკაცრისა და ლოგიკის წყალობით საუკეთესო დამხმარეა ქართული ესეს ხარისხობრივ გაუმჯობესებაში. სწორედ ამიტომ ჩავატარე ინტეგრირებული გაცვეთილი, რომელზეც ინგლისური ენის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები ქართულენოვანი ტექსტების დასამუშავებლად გამოვიყენე.

სტრატეგიული ინსტრუმენტები: ინგლისური მოდელი

მინდა, ყურადღება გავამახვილო ორ კონკრეტულ მეთოდ-

2. არგუმენტაციის PEEL ფორმულა (The PEEL Method)

ეს არის ინგლისური აკადემიური წერის ოქროს წესი, რომელიც გაცვეთილზე მთავარ სამუშაო იარაღად ვაქციე. მოსწავლეებს დავანახე, რომ ყოველი არგუმენტირებული აზრის უნდა შეიცრას ლოგიკური ჯაჭვით:

- P (Point)** – მკაფიო დებულება;
- E (Evidence)** – ტექსტობრივი მტკიცებულება;
- E (Explanation)** – სიღრმისეული ანალიზი (რისი უნარია ხშირად აკლიათ მოსწავლეებს);
- L (Link)** – ლოგიკური გადასვლა.



ზე, რომლებიც ინგლისურის სწავლებისას დავენერგე და შემდეგ ქართულ კონტექსტს მოვარგე:

1. შესავლის ძაბრისებრი მოდელი (The Funnel Method)

ინგლისურ აკადემიურ წერაში შესავალი მათემატიკური სიზუსტით იგება. მოსწავლეებს ვასწავლე, რომ ნებისმიერი ესე (მათ შორის ქართულიც) უნდა აიგოს ძაბრის პრინციპით – ზოგადიდან კონკრეტულისკენ: მოსწავლეებმა ისწავლეს, როგორ გადაინაცვლონ ფართო კონტექსტიდან (General Statement) უშუალოდ საკვლევ საკითხზე (Specific Point) და დაასრულონ აზრის მყარი თეზისით (Thesis Statement).

შედეგი: ამ მეთოდმა ქართულ ესეებში გააქრო ბუნდოვანი, ლირიკული გადახვევები და შესავალი კონკრეტული და მიზანმიმართული გახდა.



ამ მეთოდის ინგლისური ენის ქრონიკა განხილვამ მოსწავლეებს ასწავლა აზრის ეკონომიური გამოხატვა და მტკიცე არგუმენტების მოშვებობა, რაც შემდეგ ქართულ წერაშიც წარმატებით გამოიყენეს.

მასწავლებლის დაკვირვება: რატომ ინგლისური მეთოდოლოგია?

ჩემი დაკვირვებით, როდესაც მოსწავლე ამ მეთოდებს ინგლისურის კონტექსტში სწავლობს, ის უფრო მეტად არის ორიენტირებული სტრუქტურის დაცვაზე. ინტეგრირებული გაცვეთილის ფარგლებში ის „უცხოური“ დისციპლინა მათ მშობლიურ ენაზე მუშაობის დროსაც გადაჰყავთ. მათ აღმოაჩინეს, რომ წერა არა მხოლოდ შემოქმედებაა, არამედ კონსტრუირებაც.

გაცვეთილზე თეორიული მასალის განმტკიცების მიზნით მოსწავლეებს შევთავაზე ინტერაქციული სავარჯიშო – PEEL პაზლი. დავალეხის არსი ასეთი იყო: არეული წინადადებები ბავშვებს ლოგიკური თანმიმდევრობით უნდა დაელაგებინათ და თითოეული მათგანისთვის მიენიჭებინათ შესაბამისი ფუნქციური სახელი (P, E, E ან L).

ამ აქტივობამ მათ დაანახა, რომ აკადემიური აზრის არა წინადადებების შემთხვევითი ერთობლიობა, არამედ მყარი ლოგიკური კონსტრუქციაა. არეული წინადადებები და მათი ანალიზი:

1. Consequently, regular exercise is essential for maintaining both physical and mental health (შედეგობრივი კავშირი).
2. This is because physical activity releases endorphins, which are natural chemicals that reduce stress (ახსნა-განმარტება).
3. Engaging in daily exercise significantly improves a person's overall well-being (მთავარი თეზისი).
4. According to the World Health Organization, just 30 minutes of walking a day can lower the risk of heart disease by 20% (მტკიცებულება).

მოსწავლეებმა წარმატებით შეძლეს წინადადებების იდენტიფიცირება შემდეგი სქემით:

P (Point) – მე-3 წინადადება. ეს არის აზრის საწყისი წერტილი, რომელიც აცხადებს მთავარ სათქმელს: ყოველდღიური ვარჯიში აუმჯობესებს კეთილდღეობას.

E (Evidence) – მე-4 წინადადება. აქ შემოდის ფაქტობრივი მტკიცებულება და ავტორიტეტული წყარო (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია), რაც არგუმენტს წონას მატებს.

E (Explanation) – მე-2 წინადადება. ეს ნაწილი განმარტავს, რატომ და როგორ მოქმედებს ფიზიკური აქტიურობა ჩვენს განწყობაზე (ენდორფინების გამოყოფა).

L (Link) – 1-ლი წინადადება. აზრის იკვრება შემავსებელი დასკვნით, რომელიც ლოგიკურად აერთიანებს ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

აკადემიური წერის სტრუქტურის (PEEL და Funnel) ათვისების შემდეგ მნიშვნელოვანი იყო, მოსწავლეებს დაენახათ, როგორ იკვრება წინადადებები ერთიან ლოგიკურ ჯაჭვად. ამისთვის გამოვიყენეთ ჩემ მიერ შექმნილი ციფრული რესურსი – თამამი „აზრე შენი წყვილი“ https://www.educaplay.com/learning-resources/27963799-linking_words.html

მოსწავლეები იდგნენ გამოწვევის წინაშე: მათ ერთმანეთთან უნდა დაეკავშირებინათ ორი დამოუკიდებელი აზრი შესაბამისი ლოგიკური დამაკავშირებლის (Transition Words) მეშვეობით. ეს აქტივობა არა მხოლოდ გრამატიკულ სიზუსტეს, არამედ კონტექსტურ აზროვნებასაც მოითხოვდა.

ლოგიკური კავშირების კლასიფიკაცია

სავარჯიშოზე მუშაობისას აქცენტი დავსვით სამ ძირითად

ფუნქციას, რომლებიც აუცილებელია გამართული ესესთვის:

1. **მიზეზშედეგობრიობა (Cause and Effect)** – მოსწავლეებმა დაინახეს, როგორ ცვლის აზრს დინამიკას ისეთი სიტყვები, როგორცაა *therefore, consequently* და *as a result*.

მაგალითი: „She studied for the exam for weeks; **consequently**, she received the highest grade“.

2. **დამატება და გაძლიერება (Addition)** – აქ გამოვიყენეთ *moreover* და *furthermore*, რაც PEEL მეთოდის Explanation-ის ნაწილში არგუმენტის გასამყარებლად საუკეთესო ინსტრუმენტია.

მაგალითი: „Playing sports is good for your health; **moreover**, it helps you make new friends“.

3. **კონტრასტი და დათმობა (Contrast and Concession)** – ეს ნაწილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიტიკული აზროვნებისთვის. სიტყვებმა *however, on the other hand, nevertheless, conversely* და *admittedly* მოსწავლეებს აჩვენა, როგორ შეიძლება ერთი წინადადების ფარგლებში ორი საპირისპირო რეალობის დაბალანსება.

მაგალითი: „The restaurant has very long queues; **nevertheless**, the food is worth the wait“.

ამ ინტერაქტიულ თამაშზე გაკვეთილს დინამიკა შესძინა. როდესაც მოსწავლე საკუთარი ხელით აგებს ლოგიკურ კავშირებს, ის უბრალოდ კი აღარ თარგმნის წინადადებას, არამედ მისი ფუნქციური დანიშნულების გაზრებასაც იწყებს.

სტატიის დასასრულს მინდა აღვნიშნო: ინგლისური ენის ამ ლოგიკური მკავშირებლების გამოყენებამ ქართულენოვან ტექსტებშიც იჩინა თავი. მოსწავლეებმა გააცნობიერეს, რომ სიტყვები „შესაბამისად“, „მიუხედავად ამისა“ თუ „მეტეც“ არ არის უბრალო დეკორაცია – ისინი აკადემიური წერის ის აუცილებელი ელემენტებია, რომელიც მკითხველს ავტორის ლოგიკურ ლაბირინთში გზას უკვალავს.

ჩვენი თანამშრომლობის კულმინაცია იყო ეტაპი, როდესაც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეებს სთხოვა, „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგიდან ამოერჩიათ ფილოსოფიური დებულებები და მათ საფუძველზე ჩამოეყალიბებინათ თავიანთი კითხვების სათაურები. ეს პროცესი პირდაპირ უკავშირდებოდა **The Funnel Method**-ს: ბავშვები სწავლობდნენ, როგორ გადაეციათ ფართო ფილოსოფიური იდეა (ზოგადი კონტექსტი) კონკრეტულ აკადემიურ თეზისად (სპეციფი-

კური სათაური). ამ აქტივობამ მოსწავლეებს საშუალება მისცა, დაენახათ, რომ სათაური არ არის მხოლოდ სახელი – ეს არის ესეს სარკე, რომელიც სრულად ასახავს ნაშრომის თეზისს. კლასიკური ტექსტის სათაურად ქცევა ინგლისური სტრუქტურული მეთოდების დახმარებით იყო დასტური იმისა, რომ ლოგიკა უკულტურულ საზღვრებს არ ცნობს.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკა მოწმობს, რომ ინგლისური აკადემიური წერის სტანდარტები (**The Funnel Method** და **PEEL**) გაცილებით მეტად, ვიდრე უბრალოდ ენობრივი წესები – ეს **აზროვნების უნივერსალური არქიტექტურა**. ინგლისური ენის გაკვეთილებზე ამ მეთოდების სისტემური გამოყენებით მოსწავლეები სწავლობენ ინფორმაციის სტრუქტურირებას, რაც მათ საშუალებას აძლევს, იმეცყელონ ლოგიკურად და არგუმენტირებულად ნებისმიერ

ენობრივ გარემოში. ამ პროცესის ეფექტურად გამოშვებისთვის შევიქმნა **შეფასების ერთიანი რუბრიკა**, რომელიც მთლიანად აკადემიურ სიზუსტესა და სტრუქტურულ მთლიანობას ეფუძნება. ვფიქრობ, ეს რუბრიკა საუკეთესო გზამკვლევაა იმ პედაგოგებისთვის, რომლებიც ცდილობენ, ინგლისური წერის სტანდარტები მოსწავლეთა ყოველდღიურ აკადემიურ რუტინად აქციონ (იხ. დანართი N2).

„მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს კოლეგას, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, რომელთან ერთადაც ეს ინტერდისციპლინური პროექტი განვახორციელეთ. პრეზენტაციიდან სათაურების არჩევამდე გზამკვლევი გვიჩვენა, რომ როდესაც მასწავლებლები ვთანამშრომლობთ, მოსწავლეებს ვუქმნით ერთიან, უწყვეტ საგანმანათლებლო გარემოს“.

შეფასების რუბრიკა N1 – PEEL Paragraph Grading Rubric

Criteria	Excellent (4)	Proficient (3)	Developing (2)	Emerging (1)
Point (P)	Clear, sophisticated topic sentence that directly addresses the prompt and sets a strong argument.	lear topic sentence that identifies the main idea and stays on topic.	Topic sentence is present but vague or simply repeats the prompt.	No clear topic sentence or the point is irrelevant to the prompt.
Evidence (E)	High-quality, specific evidence (quotes/stats) integrated seamlessly into the prose.	Relevant evidence is provided and cited correctly.	Evidence is provided but may be generic, slightly off-topic, or poorly integrated.	Evidence is missing or does not support the point.
Explanation (E)	Deep, original analysis. Explains how and why the evidence supports the point. Analyzes specific words/details.	Explains the connection between evidence and point clearly in the student's own words.	Limited explanation; mostly summarizes the evidence or repeats the point.	Explanation is missing or shows a misunderstanding of the evidence.
Link (L)	Sophisticated transition that synthesizes the argument and connects to the broader essay thesis.	Solid concluding sentence that reinforces the main point.	Simple concluding sentence that may feel repetitive or abrupt.	No concluding sentence or link to the main argument.
Flow & Tone	Academic tone; wide variety of transition words; flawless grammar and structure.	Formal tone; appropriate transitions; few grammatical errors.	Somewhat informal; repetitive transitions; several errors that hinder flow.	Informal tone; lack of transitions; errors make it difficult to read.

შეფასების რუბრიკა N2 – ინტეგრირებული გაკვეთილის შეფასების რუბრიკა: აკადემიური წერა და ლოგიკა

შეფასების კრიტერიუმები	9-10 ქულა	7-8 ქულა	5-6 ქულა	1-4 ქულა
შესავალი (Funnel Method)	იდეალური ძაბრის პრინციპი; ფართო კონტექსტიდან კონკრეტულ თეზისზე გადასვლა უხადია.	შესავალი ლოგიკურია; თეზისი მკაფიოა, თუმცა გადასვლა ზოგჯერ დაბნელებულია; კონკრეტულზე ოდნავ მკვეთრია.	შესავალი ნაწილობრივ სტრუქტურირებულია; თეზისი ჩამოყალიბებულია, მაგრამ ზედმეტად დაბნელებულია.	შესავალი ქაოტურია; არ იკვეთება თეზისი კონტექსტთან.
არგუმენტაცია (PEEL Method)	ყოველი აზრის სრულყოფილია: Point, Evidence, Explanation და Link ლოგიკურ ვაჭვს ქმნის.	PEEL-ის ოთხივე კომპონენტი საზუსტოდ, თუმცა ანალოგი (Explanation) შეიძლება უფრო დაბნელებული იყოს.	აქვია ერთ-ერთი კომპონენტი (მაგ., Link ან Evidence); ანალოგი ზოგადაა.	აზრები არ არის სტრუქტურირებული; არგუმენტები არ არის გამყარებული.
ლოგიკური ბმები (Connectors)	იყენებს მაღალი დონის აკადემიურ კონექტორებს (consequently, nevertheless) მართებულად და მღირდ.	იყენებს მრავალფეროვან კონექტორებს, თუმცა ზოგჯერ კონექტორები ოდნავ ხელუფერია ჩანს.	იყენებს მხოლოდ მარტივ დამაკავშირებლებს (and, but, because); აქვია აკადემიური სტილი.	წინადადებები წყვეტილია; ლოგიკური კავშირები თითქმის არ არის გამოყენებული.
ენობრივი სიზუსტე	ტექსტი აკადემიური დამართულია; გრამატიკული ხარვეზები არ გვხვდება.	ტექსტი გამართულია; გვხვდება 1-2 უმნიშვნელო გრამატიკული ხარვეზი, რაც აზრს არ ცვლის.	გვხვდება რამდენიმე შედეგად გრამატიკული და სტილისტური შეცდომა; სტილი შეურულია.	მრავალია გრამატიკული და სტილისტური შეცდომა, რაც ართულებს გაგებას.
ციფრული ტრანსპარენცია	უხადილ ახდენს ინგლისური მეთოდოლოგიის ადაპტაციას ქართულ ტექსტთან; ხედავს უნივერსალურ ლოგიკას.	კარგად იყენებს ნაწილად მოხდენებს ორივე ენაზე, თუმცა ზოგჯერ უფრო სტრუქტურის შენარჩუნება.	ციფრული ნაწილობრივად გამოყენებულია; მაგრამ უფრო დაბნელებულია წერის ტრადიციულ სტილს.	ფერ ახერხებს ინგლისური გაკვეთილებზე ნასწავლი ლოგიკის გამოყენებას პრაქტიკაში.

წარმატების მისაღწევად „ჩვენი საქართველოს“ სწავლებაში შესაძლებელია მიდგომის შეცვლა – ხაზოვანი ტექსტური სტრუქტურის კომპენსირება ანალიზური მიდგომებით, კონცეპტუალური რუკებით და გრაფიკული ორგანიზაციებით, თანამშრომლობასა და კვლევებზე დაფუძნებული სწავლებით, რითაც მოსწავლეები რეალურად შეძლებენ ცოდნის რესტრუქტურირებასა და ინტეგრაციას.

ამისთვის ეფექტურ საშუალებად არის მიჩნეული გონებრივი რუკების აქტიური გამოყენება საგაკვეთილო პროცესში. ეს გულისხმობს ბუნებრივ ობიექტებსა და მოვლენებს შორის არსებული სემანტიკური, ასოციაციური, მიზეზშედეგობრივი კავშირების რთულ, გრაფიკულ, სისტემატიზებულ გამოსახვას დიდ ფორმატში, მაგალითად, დიდ ფურცელზე. აქ სქემა ტექსტის კონტროლის ერთგვარი მექანიზმია, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ნაწილისა და მთელის, კონცეპტისა და დეტალების ურთიერთმიმართებებს. მოსწავლეები, პრაქტიკულად, აბსტრაქტულად სწავლობენ და ნებისმიერ ბუნებრივ მოვლენას ან ობიექტს წარმოადგენენ სისტემატიზებული, ვიზუალური (გრაფიკული) ფორმით, მაკროსისტემაში ჰოლისტურად აკავშირებენ ზოგადსა და კონკრეტულს. მაგალითად, სივრცე (მხარე, რეგიონი) – მეურნეობა – დრო (ცვლილება) – საზოგადოება – მრავალფეროვნება – სახელმწიფო.

აღნიშნული აქტივობები მოიცავს:

1. მოსწავლეებისთვის ტექსტური ინფორმაციის სქემატური

(გრაფიკული) ფორმით დამოუკიდებლად წარმოადგენის მეთოდების გაცნობას;

2. საგანმანათლებლო ტექსტთან მუშაობას მასალის ვიზუალიზაციისთვის, მისი „შეკუმშვისთვის“;
3. აღნიშნული ტექნოლოგიის სისტემატურ გამოყენებას გაკვეთილებზე და ინტერდისციპლინური (გრაფიკული) კომპეტენციის ჩამოყალიბებას.

მეთოდური კუთხით, თითოეული ასეთი გაკვეთილის დროს „გონებრივი რუკის“ შესაქმნელად:

- მოსწავლეებს ურიგდებათ ფურცელი, რომელზეც მოკლედ არის ჩამოწერილი რუკის შექმნის პრინციპები და წესები.
- რუკის შექმნა იწყება ცარიელი ფურცლის ცენტრში (რომში, წრეში ან სხვა ფიგურაში) მთავარი იდეის (ან თემის) ჩაბაზით. ცენტრიდან გამოდის ტოტები, თითოეული ტოტი ფერადი და მასზე იწერება თემის საკვანძო სიტყვა ან ფრაზა და მისი ძირითადი დეტალები.
- გონებრივ რუკას თანდათან ემატება სიმბოლოები, ხატები და ნახატები.


მაგალითად, მოსწავლე მუშაობს რუკაზე „სოფლის ცხოვრება“:

- მუშაობა იწყება სოფლისთვის დამახასიათებელი რომელიმე კომპონენტის (მინდვრის, ტყის, მდინარის, ტბის, მთის, მყინვარის, ფლორა-ფაუნის, სამეურნეო საქმიანობის და ა.შ.) ჩაწერით/აღწერით და შემდეგ დახატვით/სქემატური გამოსახვით.


- რუკაზე მოსწავლე დაიტანს თემის ძირითად ცნებებსაც. შედეგად „მეხსიერების რუკა“ (გონებრივი რუკა) ქმნის მწყობრ წარმოდგენას ცნებებზე „სოფელი“, რაც შეგვიძლია განვიხილოთ როგორც საყრდენი საგანმანათლებლო მასალის შინაარსის ასათვისებლად.
- მოსწავლე გაიზრებს სოფლის/მხარის დამახასიათებელ კომპონენტებს, ხედავს კავშირებს მათ შორის, ახალ ინფორმაციასაც უფრო სიღრმისეულად შეიმეცნებს და გრძელვადიან მეხსიერებაშიც გადაიტანს.

მსგავსი მეთოდური მიდგომებისა და პრაქტიკული საქმიანობის შედეგად ჩვენ ვიღებთ მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს, როგორც თითოეული მოსწავლის წარმატების კონტექსტს.

იხ. გონებრივი რუკის ნიმუში თემაზე „იმერეთი“:



შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლის გონება სახელმძღვანელოს სტრიქონ-სტრიქონ აღწერილ ამბავს გარდაქმნის ერთიან სურათად და გონებრივი კავშირების დამყარების პროცესში იმპლსოვრებს კიდევ მას. გონებრივი რუკების გზით მიღებული „გამოსახულება“ არის საკუთარი აზროვნების ის შედეგიც, რომლითაც მოსწავლე აღიქვამს ძირითად გამოსახულებას (მაგალითად, ბუნებრივ ობიექტს ან მის რომელიმე კომპონენტს, თუნდაც მდინარის ხეობას როგორც მხარის ეკონომიკურ მახასიათებელს



ან ქალაქის სიმბოლოს და ა.შ.), რაც მას ეხმარება არა მარტო სივრცობრივი, არამედ საგნობრივი ცოდნის ფორმირებაშიც.

როგორ ფასდება ასეთი პროდუქტები?

- დონე I – დაბალი დონე: მოსწავლეები ამოიცნობენ სივრცით ობიექტებს, მათ ინდივიდუალურ მახასიათებლებსა და ურთიერთობებს, შეუძლიათ ობიექტის დასახელება და რუკაზე მისი ადგილმდებარეობის დადგენა;
- დონე II – მაღალი დონე: მოსწავლეები დამოუკიდებლად ქმნიან სივრცით გამოსახულებებს, დაიტანენ რუკაზე და აღწერენ მათ.

რატომ არის გონებრივი რუკა ეფექტიანი სასწავლო მიდგომა?

- ის ამდიდრებს და აადვილებს უკუკავშირს.
- სწავლა გაცილებით დიფერენცირებულია და ინდივიდუალური (როდესაც მოსწავლისთვის ცალკეული ფაქტების

დამახსოვრება რთულია, ის კარგავს ინტერესს საგნის მიმართ, გონებრივ რუკაზე მუშაობისას კი მთელი ყურადღება მიცემული მასალის დამახსოვრებაზე ან გახსენებაზე კი არ არის ორიენტირებული, არამედ არსზე, მიზეზშედეგობრივი ურთიერთობებისა და კავშირების გაგებაზეა კონცენტრირებული. მოსწავლე არ იძაბება და ამიტომ უფრო მოტივირებულია (Yakimanskaya, I. S. (1980).

- მოსწავლის სასწავლო საქმიანობის მოტივაცია უფრო მაღალია.
- შეფასება არ არის სუბიექტური.
- მოსწავლეების შემოქმედებითი შესაძლებლობები ფართოვდება და დამოუკიდებელი მუშაობის გაგრძელების სურვილიც უფრო მეტად აქვთ.
- როგორც სასწავლო ინსტრუმენტი, გონებრივი რუკა ცოდნის რეპროდუქცირების მნიშვნელოვანი საშუალებაა და ხელს უწყობს დამოუკიდებელ სწავლას და მის კავშირს პრაქტიკასთან; საშუალებას აძლევს მოსწავლეს, უფრო


ღრმად გაიზაროს შესწავლილი მასალა და ჩამოუყალიბდეს წარმოდგენა კონკრეტულ სივრცესა თუ ტერიტორიაზე.

მსგავსი მეთოდური მიდგომებისა და პრაქტიკული საქმიანობის შედეგად ჩვენ ვიღებთ მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს როგორც თითოეული მოსწავლის წარმატების კონტექსტს.



გამოყენებული ლიტერატურა:

1. შაი ფირჩხაძე, სწავლება კოგნიტური სქემებით. იბ. ბმული მითითებულ დროზე: 15.06.2012 <https://matsavlebeli.ge/?p=2513>
2. Yakimanskaya, I. S. (1980) Development of Spatial Thinking of Schoolchildren. Moscow: Pedagogika (in Russian)
3. Berlyant, A. M. (1986) *Obraz prostranstva: karta i informatsiya* [Image of space: map and information]. Moscow: Mysl.



ლევან ახვლედიანი

რას წარმოადგენს „ანალების“ სკოლა

XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე ჰუმანიტარული მეცნიერებები მძიმე კრიზისს განიცდიდა. მეცნიერებს (და არა მარტო მათ) ეჩვენებოდათ, რომ ჩვეულ ცხოვრებას საფუძველი ეცლებოდა. ეს შეგრძნება მეტწილად გამოწვეული იყო საუკუნის დასაწყისის სამეცნიერო რევოლუციით: ზუსტ მეცნიერებებში მომხდარმა აღმოჩენებმა და გამოგონებებმა ეჭვქვეშ დააყენა თვით ყოვლისმომცველი სინამდვილის ახსნის შესაძლებლობა. ამასთანავე, კოლოსალურმა დანაკარგმა, რომელიც პირველმა მსოფლიო ომმა გამოიწვია, ნათელი გახადა, რომ მეცნიერებამ, რომელსაც ბედნიერება და კეთილდღეობა უნდა მოეტანა კაცობრიობისთვის, სინამდვილეში მასობრივი განადგურების იარაღის გამოგონებას შეუწყობ ხელი.

მეცნიერები კრიზისიდან გამოსვლის სხვადასხვა გზას განიხილავდნენ. ზოგიერთი მათგანი ისევ ძველი პრინციპებისა და კვლევის მეთოდების მომხრე იყო, რომლებიც თავის დროზე ცნობილმა ფრანგმა ისტორიკოსებმა ვიქტორ ლანგლუამ და შარლ სენიობოსმა თავიანთ ნაშრომში – „ისტორიის კვლევის შესავალში“¹ – ჩამოაყალიბეს. პირობითად შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაშრომი პოზიტივიზმით² არის გამსჭვალული. ლანგლუასა და სენიობოსის მეთოდი (დოკუმენტების შერჩევა, კლასიფიკაცია, წყაროების კრიტიკა) თავისი არსით მიმართულია ტექსტების მემწეობით ისტორიული ნაშრომის შექმნისკენ. აღნიშნავდნენ რა ისტორიული წყაროების სუბიექტურ ხასიათს, ლანგლუა და სენიობოსი ცდილობდნენ, მიეღოთ „ჭეშმარიტი ცოდნა“, რომელიც ფაქტებს ეყრდნობოდა.

მათმა თანამედროვეებმა, ნეოკანტიანელმა³ ჰერმან კოგენმა და ჰაინრიხ რიკერტმა, ეჭვქვეშ

დააყენეს ისტორიული ცოდნის „მეცნიერული ხასიათი“. მათი აზრით, საბუნებისმეტყველო და სოციალურ ცოდნას შორის კარდინალური განსხვავებაა: ბუნებისმეტყველებს არ აინტერესებთ კაზუსები და ცალკეული შემთხვევები. ისინი ეძებენ მაგალითებს, რომლებიც კანონებს ამტკიცებს, ხოლო ისტორიკოსები ირჩევენ ფაქტებს მათი განსაკუთრებულობისა და კულტურული მნიშვნელობის გამო. ასე რომ, ისტორია ნეოკანტიანელთა თვალში გათავისუფლდა „ჭეშმარიტ მეცნიერებათა“ მიზაძვის აუცილებლობისგან.

ამასობაში სტრასბურგის უნივერსიტეტში შეიკრიბნენ „უმალესი ნორმალური სკოლის“ კურსდამთავრებულები: მორის ჰალბვაკსი, მარკ ბლოკი, ლუსიენ ფევრი, შარლ ბროდელი და სხვები. ამ უნივერსიტეტში 1920 წელს ერთმანეთი გაიცნეს მარკ ბლოკმა და ლუსიენ ფევრმა და ცხრა წლის შემდეგ სწორედ აქ დააფუძნეს ისტორიული ჟურნალი „ეკონომიკური და სოციალური ისტორიის ანალები“. მოგვიანებით ამ ჟურნალის რედკოლეგიის წევრებსა და ავტორთა კოლექტივს შემოკლებით „ანალების სკოლა“ შეარქვეს, თუმცა თვით ისტორიკოსები საკუთარ თავს „ახალი ისტორიული მეცნიერების“ წარმომადგენლებს უწოდებდნენ.

„ახალი ისტორიული მეცნიერების“ წარმომადგენლები პოზიტივისტებს აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ისინი არ ითვალისწინებდნენ ისტორიკოსის მსოფლმხედველობის გავლენას საკუთარ ნაშრომზე. მათთვის ასევე მიუღებელი იყო პოზიტივისტების დამოკიდებულება წყაროების როგორც მოზაიკის ელემენტების მიმართ. ამ სკოლის წარმომადგენლები ჯერ ადგენდნენ ფაქტებს,

„ანალების“ სკოლა
მიდრეკილი იყო
საგანთაშორისი
კვლევისკენ.
ისტორიაში
მუშაობისას
ანალისტები
იყენებდნენ
არქეოლოგიის,
ეკონომიკის,
სოციოლოგიის,
გეოგრაფიისა და
სხვა მეცნიერებების
მეთოდებს.

მერე კი მათ ანალიზს ცდილობდნენ. ანალისტებს ეს არ აკმაყოფილებდათ. ისინი საზოგადოებას სთავაზობდნენ, გადაეცემათ ისტორია სოცი-ალურ მეცნიერებად.

„წინასწარ შემუშავებული თეორიის გარეშე შეუძლებელია სამეცნიერო მუშაობა... მე ვსაუბრობ მეცნიერებაზე, რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს არა კანონების აღმოჩენა, არამედ მოვლენის არსის გაგება... ადამიანი... ისტორიკოსისთვის იგივეა, რაც კლდე მინერალოგისთვის, ცხოველი ბიოლოგისთვის, ვარსკვლავი ასტროფიზიკოსისთვის – რაღაც ისეთი, რაც ახსნას ექვემდებარება, ექვემდებარება გაგებასა და გააზრებას. ისტორიკოსი, რომელიც უარს ამბობს ამა თუ იმ ადამიანური ფაქტის გააზრებაზე, ისტორიკოსი, რომელიც ქადაგებს ბრმა და უსიტყვო მორჩილებას იმ ფაქტებისადმი, რომლებიც მის მიერვეა წინასწარ შერჩეული... – ასეთი ისტორიკოსი შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ შეგირდად, თუნდაც კარგ შეგირდად, მაგრამ ისტორიკოსის წოდებას ის არ იმსახურებს“.⁴

ანალისტებმა განაცხადეს, რომ ისინი ქმნიან ახალ ისტორიას, რომელიც ისტორიულ ფაქტებზე მოიხრება ფსიქოლოგიურ ფაქტებს, რაც ადამიანური აზროვნების გამორჩეულ თვისებას წარმოადგენს.

მათი აზრით, ახალი ისტორია უნდა იყოს:

- **ტოტალური** – ის უნდა აღწერდეს ადამიანის აქტიურობის ყველა ფორმას და საზოგადოებაში არსებულ ყოველგვარ კავშირს: პოლიტიკურს, ეკონომიკურს თუ კულტურულს. ანალისტები ცდილობდნენ მატერიალურსა და სულიერს შორის არსებული დაპირისპირების გადალახვას და ადამიანური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის ურთიერთგავლენის შესწავლას.

- **პრობლემური** – თუ პოზიტივისტ ისტორიკოსებს მიაჩნდათ, რომ მთავარია კონკრეტული წყაროს ანალიზი, ანალისტები და განსაკუთრებით ლუსიენ ფევრი ამბობდნენ, რომ ისტორიკოსმა ჯერ უნდა წამოჭრას პრობლემა საკუთარი გამოცდილებისა და თანამედროვეობის წინაშე არსებული ისტორიული გამოწვევების საფუძველზე, მერე კი აიჩიოს წყაროები, რომლებიც ამ პრობლემის გადასაჭრელად გამოადგება.

- **ადამიანურობა** – „ანალების“ სკოლის წარმომადგენლებისთვის ისტორიის მთავარი საგანია ადამიანის აზროვნება და თვით ადამიანი საზოგადოებაში. მარკ ბლოკი წერდა, რომ ისტორიკოსი ზღაპრული კაციჭამიაა, რომელმაც იცის, რომ „მას ელის ნადავლი იქ, სადაც ადამიანის ხორცის სუნია“.⁵

„ანალების“ დამაარსებლები, უპირველეს ყოვლისა, პრაგმატისტები იყვნენ. ისინი უარს ამბობდნენ ისტორიის ზოგად გააზრებაზე, ისტორიის ფილოსოფიაზე, იმაზე, არსებობს თუ არა ისტორიულ პროცესში ზოგადი კანონზომიერებანი, როგორია პიროვნების როლი ისტორიაში (ისტორიისადმი ამგვარი დამოკიდებულება ძირითადად გერმანულ ისტორიულ სკოლას ახასიათებდა) და ა.შ. იმისთვის, რომ ჩამოეყალიბებინათ პრინციპები, რომლებსაც დაეყრდნობოდნენ, ანალისტებმა შექმნეს ორი საპროგრამო ტექსტი: მარკ ბლოკის „ისტორიის აპოლოგია ანუ ისტორიკოსის ხელობა“ და ლუსიენ ფევრის „ბრძოლა ისტორიისთვის“.



დაისმის კითხვა: რაში
მდგომარეობდა პირველი
ანალისტიკის მეთოდი?

1. „ანალები“ სკოლის წარმომადგენლები ცნება „ისტორიულ წყაროში“ ბევრად უფრო მრავლისმომცველ შინაარსს დებდნენ, ვიდრე მათი წინამორბედები.

„ისტორიული წყაროების მრავალფეროვნება თითქმის უსაზღვროა. ყველაფერი, რასაც ადამიანი ამბობს ან წერს, ყველაფერი, რასაც ის აკეთებს ან ენება, წარმოადგენს ისტორიულ წყაროს“.⁶ ეს სკოლა წყაროებად მოიაზრებდა ყველაფერს, რაც წარსულს ეხებოდა: ფოლკლორს, არქიტექტურას, კვების რაციონს და ლანდშაფტსაც კი, რომელსაც ადამიანის ხელი ეტყობოდა.

2. ანალისტები აყალიბებდნენ კითხვებსა და კვლევით ამოცანას მანამდე, სანამ მასალის მოძიებას დაიწყებდნენ.

„მრავალი ადამიანი, მათ შორის, შესაძლოა, სახელმძღვანელოების ავტორებიც კი, მეტად მიამიტურად წარმოიდგენს ჩვენი სამუშაოს მიმდინარეობას. ჯერ თითქოს არსებობს წყაროები. ისტორიკოსი აგროვებს მათ, კითხულობს და ცდილობს, შეაფასოს მათი ნამდვილობა და შინაარსის უტყუარობა. ამის შემდეგ – და მხოლოდ ამის შემდეგ – მოიხმარს ის ამ წყაროებს საქმეში. მაგრამ უბედურება ის არის, რომ არცერთი ისტორიკოსი ასე არ იქცევა, მაშინაც კი, როცა ჰგონია, რომ სწორედ ასე იქცევა, რადგან ტექსტები და არქეოლოგიური მასალა... ლაპარაკობენ მხოლოდ მაშინ, როდესაც უნარი შეგწევს, დაუსვა მათ საჭირო კითხვები... სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი ისტორიული ძიება პირველივე ნაბიჯებიდან გულისხმობს, რომ გამოკითხვა გარკვეული მიმართულებით მიმდინარეობს“.⁷

3. „ანალები“ სკოლა მიდრეკილი იყო საგანთა-შორისი კვლევისკენ. ისტორიაში მუშაობისას ანალისტები იყენებდნენ არქეოლოგიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის, გეოგრაფიისა და სხვა მეცნიერებების მეთოდებს.

„როგორი მრავალფეროვანი ცოდნითაც არ უნდა იყოს დაჯილდოებული მკვლევარი, როგორც წესი, ის მალე მიაღწევს ზღვარს. აქ კი არ არსებობს სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ ჩავანაცვლოთ ერთი ადამიანის მრავლისმომცველი ერთდროული იმ ტექნიკური ნერვების ერთობლიობით, რომლებსაც სხვადასხვა დარგის მეცნიერები იყენებენ. ამგვარი კვლევა მიმართული უნდა იყოს ერთი თემის განხილვისკენ. ეს მეთოდი გულისხმობს კოლექტიური შრომისთვის მზადყოფნას“.⁸

4. ბლოკი ამბობდა, რომ „აწმყოს გაუგებრობა წარსულის უცოდინრობისგან მოდის“. ანალისტები წარსულს აწმყოდან დასმული კითხვებით სწავლობდნენ, აწმყოს გადასახედიდან უყურებდნენ.

„ანალები“ სკოლამ უარი თქვა ისტორიულ მოვლენებზე ორიენტირებულ თხრობაზე და ყურადღება გადაიტანა ღრმა, გრძელვადიან სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებზე. ისტორიულ კვლევაში სხვა დისციპლინების – გეოგრაფიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიისა და ეკონომიკის – ჩართვამ საფუძველი მოუშადა ე.წ. „ტოტალურ ისტორიას“.



ჩვენი მოგზაურობა „ანალების“ სკოლის სამყაროში გვიჩვენებს, რომ ისტორიკოსის იარაღი არა მხოლოდ არქივი, არამედ წარმოსახვა და კითხვების დასმის უნარია. ამ სკოლამ დაატკიცა, რომ ადამიანის შესახებ მეცნიერება არასოდეს დასრულდება და ყოველი ახალი თაობა ხელახლა აღმოაჩენს თავის წარსულს.

სანამ მსოფლიო ისტორიოგრაფიის წინაშე ანალიტიკის დამსახურების მოკლე მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, გვინდა, გაგაცნოთ „ანალების სკოლის“ თაობათა მოკლე მიმოხილვა:

პირველი თაობა (1920-1940-იანი წლები) – მარკ ბლოკი და ლუსიენ ფევრი. მათ დაიწყეს ბრძოლა „პოზივისტური“ ისტორიის წინააღმდეგ, რომელიც ფაქტების მშრალ აღწერას ეყრდნობოდა.

მეორე თაობა (1950-1970-იანი წლები) – ფერნან ბროდელის ეპოქა. ამ პერიოდში სკოლამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. მან ისტორიაში შემოიტანა „ხანგრძლივი დროისა“ (longue durée) და გეოგრაფიული ფაქტორის ცნებები.

მესამე თაობა (1970-1980-იანი წლები) – უაკლე გოფი, ემანუელ ლე რუა ლადიური. ამ თაობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მენტალობის ისტორიის (histoire des mentalités) შესწავლას. ისინი იკვლევდნენ ადამიანის აზროვნებას, მის გრძნობებს, სამყაროს აღქმას და სხვ.

მეოთხე თაობა (1990-იანებიდან დღემდე) – როჟერ შარტიე და სხვები. მათ აქცენტი დასვეს კულტურულ კვლევებსა და გლობალურ პერსპექტივებზე.

ახლა კი მოკლედ შევჯამოთ „ანალების“ სკოლის დამსახურება ისტორიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, წინაშე.

ამ სკოლამ მოახდინა ისტორიული მეცნიერების დემოკრატიზაცია. მისი წვლილი შეიძლება რამდენიმე მიმართულებით შეფასდეს:

1. ჰორიზონტის გაფართოება ისტორიაში – ისტორიის ობიექტად იქცა არა მხოლოდ პოლიტიკური და რელიგიური ელიტა, არამედ საზოგადოების სხვა ფენებიც: ქალები, ბავშვები, ვაჭრები, მარგინალური ჯგუფები და სხვ.
2. ისტორიული კვლევის ინტერდისციპლინურობა – „ანალების“ სკოლის მეცნიერები ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ ისტორიული ნაშრომი ვერ იქნება სრულყოფილი, თუ კვლევისას არ გამოვიყენებთ სტატისტიკის, კარტოგრაფიის, ეთნოლოგიის, არქეოლოგიის, კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის, სოციოლოგიისა და სხვა დისციპლინათა მონაცემები.
3. პრობლემებზე ორიენტირებული ისტორია – ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ მოეყოლათ, რა მოხდა, ანალიტიკებმა დაიწყეს კითხვების დასმა: რატომ შეიცვალა კვების რაციონი? რა გავლენას ახდენდა განსაზღვრულ დროს და განსაზღვრულ ადგილას კლიმატი და რელიეფი საზოგადოების განვითარებაზე? როგორ შეიცვალა სიკვდილის აღქმა საუკუნეების განმავლობაში? – და სხვა.



- ისტორიულ მეცნიერებაში „ანალების“ სკოლამ შემოიტანა რევოლუციური ცნებები:
- მენტალობის ისტორია – კოლექტიური ფსიქოლოგიის შესწავლა: როგორ აღიქვამდნენ დროს, შიშს, სიყვარულს, რელიგიას ძველად?
- რაოდენობრივი მეთოდი – სტატისტიკური მონაცემების, ფასების მრუდებისა და დემოგრაფიული ცხრილების ჩართვა ისტორიულ კვლევებში;
- აწმყოსთან კავშირი – ბლოკი ამბობდა, რომ „აწმყოში გაურკვეველობა წარსულის უცოდინრობიდან მომდინარეობს“. ანალიტიკური წარსულს აწმყოდან დასმული კითხვებით სწავლობდნენ.

როგორ გამოვიყენოთ ანალისტების იდეები საშუალო სკოლაში?

ყველამ კარგად უწყის, რომ თანამედროვე ისტორიული განათლება ხშირად მეტად მოსაწყენია, განსაკუთრებით – მრავალი ფაქტისა და თარიღის დამახსოვრების აუცილებლობის გამო. „ანალების სკოლის“ მეთოდოლოგია საშუალებას გვაძლევს, ჩვეულებრივი ისტორიის გაკვეთილი გადავაქციოთ ლაბორატორიად. მაგალითად მოვიყვანოთ ერთ პრაქტიკულ აქტივობას (ეს აქტივობა შეიძლება პროექტად ვაქციოთ), რომელიც გულისხმობს ყოველდღიური მოხმარების რომელიმე ერთი პროდუქტის (ყავა, კარტოფილი, შაქარი, მარილი ან სხვა) ისტორიული გზის კვლევას. შეიძლება, დავსვათ კითხვები: როგორ შეცვალა ამ პროდუქტების გამოჩენამ მსოფლიო ეკონომიკა? როგორ შეიცვალა ადამიანის კვების რაციონი? რა გავლენა მოახდინა ამ პროდუქტების მოხმარებამ ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე? – და სხვა. ამგვარი კვლევა პირდაპირ პასუხობს ბროდელისეულ მიდგომას მატერიალური ცივილიზაციის შესახებ.

მეორე აქტივობა შეიძლება დაეთმოს მენტალობის რეკონსტრუქციას. მოსწავლეებმა, ნაცვლად ჯვაროსნულ ლაშქრობებთან დაკავშირებული ფაქტებისა და თარიღების დაზეპირებისა, შეიძლება დაწერონ წერილი შუა საუკუნეების გლეხის ან რაინდის სახელით. მათ უნდა გამოიყენონ მხოლოდ ის ცოდნა და ტერმინოლოგია, რომელიც მაშინ არსებობდა. მაგალითად, არ უნდა იცოდნენ, რომ დედამიწა მრგვალია ან რომ არსებობენ ბაქტერიები და სხვა. ეს ეხმარება მოსწავლეებს, გაიგონ ლეგონისეული „წარმოსახვითი სამყარო“ და დაინახონ,

რომ წარსულში ადამიანები არ იყვნენ გაუნათლებლები, ისინი უბრალოდ სხვა კოორდინატთა სისტემაში ცხოვრობდნენ. ასეთი მიდგომა მოსწავლეებს ისტორიულ და კრიტიკულ აზროვნებას უვითარებს.

მესამე პრაქტიკული მიდგომა „მკროსტორია კლასში“. მოსწავლეებს შეუძლიათ, შეისწავლონ თავიანთი სკოლის, უბნის ან ოჯახის ისტორია დიდი ისტორიული მოვლენების ფონზე. მაგალითად, როგორ აისახა საბჭოთა კავშირის დაშლა მათი ქუჩის მაცხოვრებლებზე? რა შეიცვალა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში? ასეთი კვლევა მოითხოვს ზეპირი ისტორიების ჩაწერას, ძველი ფოტოების ანალიზს და ადგილობრივ არქივებში მასალის ძიებას. ეს არის მარკ ბლოკისეული „ისტორიკოსის ხელობის“ პრაქტიკული გამოყენება. მოსწავლე ხდება მკვლევარი, რომელიც მცირე დეტალებს დიდ სტრუქტურასთან აკავშირებს.

ჩვენი მოგზაურობა „ანალების“ სკოლის სამყაროში გვიჩვენებს, რომ ისტორიკოსის იარაღი არა მხოლოდ არქივი, არამედ წარმოსახვა და კითხვების დასმის უნარია. ამ სკოლამ დაატკიცა, რომ ადამიანის შესახებ მეცნიერება არასოდეს დასრულდება და ყოველი ახალი თაობა ხელახლა აღმოაჩენს თავის წარსულს. ეს მუდმივი დიალოგია აწმყოსა და წარსულს შორის: აწმყო ქმნის კითხვებს, ხოლო წარსული – შესაძლო პასუხებს საკუთარი თავის შესაცნობად.



შენიშვნები:

- 1 Introduction to the Study of History, By CH. V. Langlois, CH. Seignobos, 1906
- 2 XIX საუკუნის შუა წლებში ოგიუსტ კონტის მიერ ჩამოყალიბებული ფილოსოფიური თეორია, რომლის მიხედვით, ერთადერთი ჭეშმარიტი ცოდნაა მეცნიერული ცოდნა, რომელიც თეორიების მეცნიერული შემოწმების საშუალებით მიიღწევა. ამ შეხედულებას მეცნიერების იდეოლოგიადაც მოიხსენიებენ.
- 3 ფილოსოფიის მიმდინარეობა მე-19 ს.-ის ბოლოს და მე-20 ს.-ის პირველ მესამედში; ცდილობდა ფილოსოფიის ძირითადი პრობლემები გაეაზრებინა კანტის მოძღვრების განახლებული ინტერპრეტაციის საფუძველზე.
- 4 ლუსიენ ფერის სტატია „ისტორიზებული ისტორია. ჩვენთვის უცხო ფორმის ისტორია“ (Ферр Л. Б. Историцизм. – М.: „Найка“. – 1991. – გვ. 67-71) 1933 წელს დაიბეჭდა კრებულში „ბრძოლა ისტორიისთვის“. სტატია იყო „ანალების“ სკოლის მანიფესტი, რომელიც ტრადიციულ, ნარატიულ ისტორიოგრაფიას აკრიტიკებდა. ფერე უარს ამბობდა „თხრობით ისტორიაზე“, რომელიც მხოლოდ პოლიტიკურ მოვლენებსა და ისტორიულ პირებზე იყო ორიენტირებული. ისტორიკოსი ითხოვდა „პრობლემური ისტორიის“ შექმნას, რომელიც მენტალობის, საზოგადოებისა და ეკონომიკის შესწავლას გულისხმობდა.
- 5 „ისტორიზებული ისტორია“ სპეციფიკური ტერმინია, რომელიც გულისხმობს არა სტატისტიკურ მოვლენებს, არამედ ფაქტებს, რომლებიც სხვა მოვლენებთან მიმართებით იძენს მნიშვნელობას. აწმყოდან გამომდინარე, ის გულისხმობს წარსულის მუდმივ და კრიტიკულ გადაფასებას.
- 6 АПОЛОГИЯ ИСТОРИИ ИЛИ РЕМСЛО ИСТОРИКА, МАРК БЛОК, МОСКВА 1973, გვ. 18
- 7 АПОЛОГИЯ ИСТОРИИ ИЛИ РЕМСЛО ИСТОРИКА, МАРК БЛОК, МОСКВА, 1973, გვ. 20
- 8 АПОЛОГИЯ ИСТОРИИ ИЛИ РЕМСЛО ИСТОРИКА, МАРК БЛОК, МОСКВА, 1973, გვ. 34
- 9 АПОЛОГИЯ ИСТОРИИ ИЛИ РЕМСЛО ИСТОРИКА, МАРК БЛОК, МОСКВА, 1973, გვ. 24



თათია ბარბაქაძე

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები ვიზუალური ხელოვნების გაკვეთილებზე

ხელოვნების საგნის სწავლება ყველა საფეხურზე მიმართულია მოსწავლის პარმონიული განვითარებისკენ. ხელოვნების ყველა გაკვეთილი მოსწავლეებს საკუთარი აზრის, ემოციის, განცდის გამოხატვასა და სახელდებაში ეხმარება.

„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“ სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს ზოგადი განათლების სისტემის მიზნებს¹ და პასუხობს კითხვას: რა ღირებულებები, ცოდნა და უნარები უნდა აქონდეს მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულის დასრულების შემდეგ?

დაწყებით და საბაზო საფეხურებზე ხელოვნების საგნის სწავლება სხვადასხვა თემატურ ბლოკში წარმოდგენილი თემებით ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისად მიმდინარეობს. სტატიაში წარმოდგენილია ზოგადი განათლების პირველი ხუთი მიზანი² და ვიზუალური ხელოვნების გაკვეთილებზე მათი მიღწევის გზები.

ა) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების, ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდა

დაწყებითი საფეხური: სავალდებულო თემატური ბლოკი „ადამიანები და ხელოვნება“ მოიცავს თემებს, რომლებიც შეეხება ქართულ კულტურას, ხელოვნებას, საზოგადოებას. წარმოდგენილი თემების ფარგლებში მოსწავლე ქართული და მსოფლიო ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს ეცნობა. პრაქტიკული სამუშაოს შესრულების დროს მოსწავლეს შეუძლია, შექმნას საქართველოს რომელიმე კუთხისთვის დამახასიათებელი საცხოვრებელი სახლის მარტივი ფორმისა და მცირე ზომის მაკეტი, კლასის წინაშე პრეზენტაციისას კი ისაუბროს ნაგებობის ფუნქციაზე, საკუთარ არჩევანსა და დამოკიდებულებაზე. ამ ტიპის აქტივობების დროს მოსწავლე აცნობიერებს თავისი ქვეყნის კულტურის მნიშვნელობას, რაც ხელს უწყობს ეროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებას.

გაკვეთილებზე, რომლებიც საზოგადოებას შეეხება, მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად; ქმნიან პოსტერებს თემებზე: „ჩემი

ოჯახი“, „მეგობრობა“, – და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლეებს უვითარდებათ თანამშრომლობითი უნარები, რომლებიც გულისხმობს სამუშაოზე პასუხისმგებლობის აღებას, თანაკლასელის პატივისცემას, მისი აზრის გათვალისწინებასა და საკუთარის გამოხატვას.

საბაზო საფეხური: თემატურ ბლოკში „ადამიანი და ხელოვნება“ გაკვეთილის თემა შეიძლება იყოს ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედება, საგაკვეთილო აქტივობა კი – ფიროსმანის რომელიმე ნამუშევრის მხატვრულ-სტილისტიკური ანალიზი. ამ აქტივობით მოსწავლე აცნობიერებს ქართული და მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში ფიროსმანაშვილის მხატვრულ როლს, რაც ხელს უწყობს ეროვნული იდენტობის, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების ჩამოყალიბებას.

ბ) სახელმწიფო ენის, კულტურის, საქართველოს ისტორიის მცოდნე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე

და პატრიოტი მოქალაქის ალზრდა

დაწყებითი საფეხური: სავალდებულო თემატური ბლოკის – „ხელოვნება ჩვენ გარშემო“ – ფარგლებში მოსწავლე ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებს ეცნობა. მსწავლელების მიზანია, მოსწავლეებს გაუღვივოს ინტერესი საუკუნეების წინ შექმნილი ხელოვნების ამას თუ იმ ნიმუშის მიმართ. გაკვეთილის თემა შეიძლება იყოს ხელნაწერი წიგნი. გაკვეთილზე მოსწავლეები გაეცნობიან ქართული ანბანის სამი სახის დამწერლობის განვითარებისა და გამოყენების მაგალითებს. მათ აუხსნიან, რა მნიშვნელობა აქვს დღეს ხელნაწერი მემკვიდრეობის დაცვას. პრაქტიკული სამუშაო კი მოსწავლეების მიერ ხელნაწერი წიგნის შექმნას გულისხმობს. ამგვარი აქტივობის შესრულებისას შესაძლებელია ხელოვნების საგნის ინტეგრირება ქართულ ენასა და ლიტერატურასთან. საგანთაშორისი ინტეგრაცია იმით არის მნიშვნელოვანი, რომ გაკვეთილის მსვლელობისას ბავშვები გაიგებენ, როგორ იქმნებოდა საუკუნეების წინ ქაღალდი, როგორ წერდნენ ჩვენი წინაპრები მელნითა და ბუმბულით, რას ნიშნავდა კალიგრაფის პროფესია და როგორ მშვენივრად წიგნის გვერდები ნახატი მინიატიურებით. ხელნაწერი წიგნის შექმნა, რაც მოიცავს კალიგრაფიულად შესრულებულ ტექსტს, მინიატიურებს და ქაღალდის დეკორატიულ შემკულობას, მოსწავლეებს ინტერესს უღვივებს ქართული სამწიგნობრო კულტურის მიმართ, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს ქვეყნის ისტორიისა და

კულტურის მცოდნე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნების აღზრდას.

საბაზო საფეხური: საბაზო საფეხურზე თემატურ ბლოკში „ხელოვნება და საზოგადოება“ წარმოდგენილია სარეკომენდაციო თემა „კულტურული მემკვიდრეობა“. კულტურული მემკვიდრეობის შესახებ გაკვეთილებზე მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ისტორიულ ძეგლებს მოვლა და მზრუნველობა სჭირდება. რაც შეეხება აქტივობას, შესაძლოა, ეს იყოს მატერიალური ან ელექტრონული გზამკვლევის შექმნა, რომელშიც აღწერილი და ვიზუალურად წარმოდგენილი იქნება, რა მხატვრული და ისტორიული ღირებულება აქვს ამას თუ იმ ძეგლს და რის გაკეთება შეუძლიათ მოსწავლეებს მის შესანარჩუნებლად.

გ) ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის შემცნობი, უნივერსალური ეთიკური პრინციპების მქონე და დამცველი, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემეული მოქალაქის აღზრდა

დაწყებითი საფეხური: სავალდებულო თემატური ბლოკში „ხელოვნება ჩემ გარშემო“ წარმოდგენილია სარეკომენდაციო თემები: „მოგზაურობა“ და „შთაბეჭდილებები“. ორივე თემის ფარგლებში მოსწავლეები სხვადასხვა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, ტრადიციებს, ეროვნულ თუ რელიგიურ დღესასწაულებს ეცნობიან. გაკვეთილზე ისინი საუბრობენ სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნების ნიმუშებზე,

ერთმანეთს ადარებენ მათ, გამოყოფენ მსგავს და განმასხვავებელ ნიშნებს. ეცნობიან სხვადასხვა ხალხის ეროვნულ სამოსს, ტრადიციებს, აღწერენ დღესასწაულების აღნიშვნის თავისებურებებს. მსჯელობის შემდეგ სრულდება პრაქტიკული სამუშაო. მაგალითად, შეიძლება პირამიდების მაკეტის ან დეკორატიულ-გამოყენებითი ნივთის, მარაოს, შექმნა. აღსანიშნავია, რომ V-VI კლასებში ნამუშევრის ანალიზისას მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის ხელოვნების ნიმუშების მხატვრული მახასიათებლების ამოცნობა და შედარება.

საბაზო საფეხური: თემატური ბლოკის „ხელოვნება და საზოგადოება“ ფარგლებში მოსწავლე ეცნობა სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნების ნიმუშებს. გაკვეთილზე შესასრულებელი აქტივობაა ნამუშევრების ანალიზი. გაკვეთილი ეთმობა მსჯელობას, ნამუშევრებზე საუბარს, მათ შედარებას, მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნების ამოცნობას, ნამუშევრების გააზრებას ეპოქის კონტექსტში.

დ) მშვიდობიანი, ჰარმონიული და ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობის ხელშეწყობი მოქალაქის აღზრდა

ხელოვნების საგნის სწავლება ყველა საფეხურზე მიმართულია მოსწავლის ჰარმონიული განვითარებისკენ. ხელოვნების ყველა გაკვეთილი მოსწავლეებს საკუთარი აზრის, ემოციის, განცდის გამოხატვასა და სახელმძღვანელო ეხმარება. ხელოვნების გაკვეთილზე შესასრულებელი

ისეთი აქტივობები, როგორცაა ნამუშევრის შექმნა და წარდგენა, ხელოვნების რომელიმე დარგის ნიშნის განხილვა და საკუთარი აზრის მკაფიოდ გამოთქმა, ხელს უწყობს მოსწავლეთა ემოციური ინტელექტის განვითარებას, უღვივებს მათ მიმღეობის, ემპათიისა და კრიტიკული აზროვნების უნარებს, რაც უმნიშვნელოვანესია მშვიდობიანი, ჰარმონიული და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის.

ე) დემოკრატიის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების მცოდნე და დამცველი, მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე, ტოლერანტი, სამართლიანი მოქალაქის აღზრდა, რომელიც ამ ღირებულებებს

აკავშირებს პატრიოტიზმთან, სახელმწიფოებრიობასა და საკაცობრიო იდეალებთან

დაწყებითი საფეხური: სავალდებულო თემატურ ბლოკში „მე და გარე სამყარო“ წარმოდგენილი თემები მასწავლებელს საშუალებას აძლევს, მოსწავლეებს მრავალფეროვანი აქტივობები შესთავაზოს. მოსწავლეები სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით, თავიანთი მხატვრული ამოცანის შესაბამისად ქმნიან ნამუშევრებს; ფიქრობენ, იაზრებენ, საუბრობენ თემატურ ბლოკში დასმულ ღირებულებით აქცენტებზე. ამ გაცვეთილების მთავარი თემატია მეგობრობა, ურთიერთდახმარება, ზრუნვა ახლობლებზე, ცხოველებზე და ა.შ. ამ ტიპის

გაცვეთილებზე მოსწავლეები, სურვილისამებრ, ძერწავენ, ხატავენ, ქმნიან მცირე ზომისა და მარტივი ფორმის მკეტებს, იყენებენ აპლიკაციისა და კოლაჟის ტექნიკას და ქმნიან თემასთან დაკავშირებულ ნამუშევრებს.

საბაზო საფეხური: სავალდებულო თემატურ ბლოკში „საზოგადოება და ხელოვნება“ წარმოდგენილი თემები ხელოვნების საზოგადოებრივ დანიშნულებას გულისხმობს. გაცვეთილებზე შესაძლებელია ხელოვნების იმ ნიმუშებისა და შემთხვევების განხილვა, რომლებიც ისტორიულ-პოლიტიკურ-სოციალურ კონტექსტთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ დემოკრატიის პრინციპების გააზრებას და სამართლიანი



მოქალაქის აღზრდას. ასეთი ნამუშევრების რიგს მიეკუთვნება ეუენ დელაკრუას „თავისუფლება ბარიკადებზე“, ფრანსისკო გოიას „1808 წლის 3 მაისის დახვერება“, პაბლო პიკასოს „გერნიკა“ და ა.შ. ამ ტიპის გაკვეთილებზე მოსწავლეები ხელოვნების ნიმუშებს შესაბამის კონტექსტში განიხილავენ. ნამუშევრის ანალიზის, მსჯელობის, დიალოგის, დისკუსიის, დებატების საშუალებით მათ უვითარდებათ კრიტიკული აზროვნება, რაც აუცილებელია მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე პიროვნების ჩამოყალიბებისთვის.

ნათელია, რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები ხელოვნების ყველა გაკვეთილზე თავისთავად მიიღწევა, რადგან სწორედ ხელოვნების საგნის შინაარსი და სწავლის მეთოდოლოგია ჰოლისტიურად განვითარებული, კრიტიკულად მოაზროვნე, ამასთანავე, ემპათიური და კულტურული ადამიანის აღზრდას ისახავს მიზნად.

ვ) ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნართა და აკადემიური ცოდნით აღჭურვილი, წიგნიერი, პროგრესულ სიახლეთა მიმღები მოქალაქის აღზრდა, რომელიც არა მხოლოდ იცნობს და აღიარებს სხვათა მიღწევებს, არამედ თავადაც ქმნის ახალ, ინტელექტუალურ თუ მატერიალურ ღირებულებებს საზოგადოების საკეთილდღეოდ

ყველა საფეხურზე ხელოვნების საგნის სწავლება, შემოქმედებით აზროვნებასთან ერთად,

მიმართულია ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებისკენ. ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნამუშევრის მხატვრულ-სტილისტიკურ ანალიზს. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეს შეუძლია სახვითი ენის გამოყენება იდეის, გუნება-განწყობის, ემოციების, შთაბეჭდილებების გადმოსაცემად, ამავე დროს, შეუძლია დარგისა და უანრის განსაზღვრა, კომპოზიციის აღწერა, ტექნიკის ამოცნობა, ნამუშევრის მიკუთვნება კონკრეტულ ეპოქასთან ან კულტურასთან. ეს ნიშნავს, რომ მოსწავლე ფლობს ნამუშევრის ანალიზის საბაზისო უნარებს და, იმავდროულად, შეუძლია საკუთარი შთაბეჭდილებების გამოხატვა მხატვრული ნამუშევრის შექმნით.

საბაზო საფეხურზე კი მოსწავლეს უკვე შეუძლია საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება; შეუძლია, მხატვრული მახასიათებლების მიხედვით ხელოვნების ნიმუში მიაკუთვნოს გარკვეულ ეპოქას, კულტურას, ქვეყანას, მიმდინარეობას, ასევე – დაუკავშიროს ის სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის, ისტორიულ, რელიგიურ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტს. გარდა ამისა, საბაზო საფეხურზე მოსწავლეს შეუძლია თანამედროვე ხელოვნების დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან, არსებული გამოწვევების შესახებ საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა ფორმით გამოხატვა, მაგალითად, პერფორმანსის ან ინსტალაციის შექმნა.

ზ) დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებული, გაცნობიერებული პერსონალური გადაწყვეტილებების მიმღები, მოაზროვნე, მაძიებელი, შემოქმედი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის მქონე, მთელი ცხოვრების განმავლობაში საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტად განმავითარებელი, ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევარი, შრომისმოყვარე მოქალაქის აღზრდა

ხელოვნების საგნის სწავლების მიზნების თანახმად, ყველა საფეხურზე სწავლება მიმართულია შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისკენ, რაც საფუძვლად ედება პრობლემის გადაჭრისა და არაორდინარული გადაწყვეტილების მიღების უნარებს. საგნის სწავლების მიზანია, მოსწავლემ ხელოვნებასა და სხვა სფეროებში მიღებული ცოდნა ერთმანეთსა და საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს, განაზოგადოს და, დროის გამოწვევების შესაბამისად, შემოქმედებითად გამოიყენოს, შეძლოს ყოველდღიურ ცხოვრებაში პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრა და ინოვაციური იდეების ფორმირება. ხელოვნების საგნის სწავლება ხელს უწყობს დამოუკიდებელი, მოაზროვნე, შემოქმედი პიროვნების აღზრდას. ყველა ეს მიზანი, ხელოვნების საგნის შინაარსისა და მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, მიღწევადაა.

თ) ფიზიკური, ინტელექტუალური, ზნეობრივი და ესთეტიკური განვითარების ხელშეწყობით კომუნიკა-

მედიანინგიერების ერთ-ერთი მიმართულების, ვიზუალური ნინგიერების, ხელოვნების საგანთან ინტეგრაცია ხელს უწყობს „ციფრული მოქალაქეობის“ უნარების განვითარებას. ამ ტიპის გაკვეთილებზე მოსწავლეები ციფრულ სივრცეში გამოსახულების შექმნის, გავრცელებისა და შესაძლო გავლენის მნიშვნელობას აცნობიერებენ.

**ციის მაღალი კულტურის
მქონე მოქალაქის ჩამოყა-
ლიბება**

ხელოვნების საგნის სწავლების მთავარი მიზანია კულტურული პიროვნების აღზრდა, რომელსაც აქვს ესთეტიკური აღქმის უნარი და, იმავდროულად, წარმოადგენს ინტელექტუალურად და ზნეობრივად განვითარებულ, ემპათიურ ადამიანს.

**ი) თანამედროვე ტექნოლო-
გიურ სამყაროში „ციფ-
რული მოქალაქეობის“
უნარის მქონე პიროვნების
ჩამოყალიბება**

ხელოვნების გაკვეთილებზე მოსწავლეებს ესთეტიკურ აღქმასთან ერთად ვიზუალური ნიშნების ამოცნობისა და გამოსახულების ანალიზის უნარიც უვითარდებათ. მაგალითად, მედიაწიგნიერების ერთ-ერთი მიმართულების, ვიზუალური წიგნიერების, ხელოვნების საგანთან ინტეგრაცია ხელს უწყობს „ციფრული მოქალაქეობის“ უნარების განვითარებას. ამ ტიპის გაკვეთილებზე მოსწავლეები ციფრულ სივრცეში გამოსახულების შექმნის, გავრცელებისა და შესაძლო გავლენის მნიშვნელობას აცნობიერებენ.

**კ) გარემოსდაცვითი ცნობი-
ერების მქონე მოქალაქის
აღზრდა, რომელსაც შეუძ-
ლია კლიმატის ცვლილებით
გამოწვეულ საფრთხეებზე
სათანადო რეაგირება**

დაწყებითი საფეხური: სავალ-
დებულო თემატური ბლოკი „მე
და გარე სამყარო“ ბუნებასა
და გარემოს ეხება. მის ფარგ-

ლებში შესაძლებელია გარემოს
დაცვის თემაზე ინდივიდუალუ-
რი და ჯგუფური ნამუშევრების
შესრულება, ხელოვნების თანა-
მედროვე ფორმის, ლენდ არტის,
მხატვრული ნიმუშის შექმნა
სკოლის ეზოში, არატრადიცი-
ული მასალების გამოყენებით
ნამუშევრის შექმნა.

საბაზო საფეხური: სავალდებუ-
ლო თემატური ბლოკი „გარემო
და ხელოვნება“ მოიცავს თემას
„გარემოსდაცვითი ხელოვნე-
ბა“, რომელიც თანამედროვე
ხელოვნებაში ცალკე მიმართუ-
ლებაა. ის იყენებს გამომხატვის
სხვადასხვა ფორმას, რათა
მაყურებელს დაეხმაროს კლი-
მატის ცვლილებისა და გარე-
მოზე ზრუნვის მნიშვნელობის
გაცნობიერებაში. თემის ფარგ-
ლებში მოსწავლეებს შეუძლიათ
ინსტალაციის, ვიდეოარტის,
სპეციფიკური მხატვრული ნამუ-
შევრის შექმნა, პერფორმანსის,
ჰეფენინგის მოწყობა და ა.შ.

სკოლაში ჩატარებულ გაკვეთი-
ლებთან ერთად ძალიან მნიშვნე-
ლოვანია საგანმანათლებ-
ლო-სახელოვნებო ორგანიზა-
ციების მიერ შემოთავაზებულ
პროგრამებსა და პროექტებში
მოსწავლეთა მონაწილეობა.
მოსწავლეებს საგანმანათლებ-
ლო პროგრამებს სთავაზობენ
ეროვნული მუზეუმი და მასში
შემავალი ყველა ინსტიტუ-
ცია, მუზეუმ-ნაკრძალები და
სახლ-მუზეუმები, თბილისის
მუზეუმების გაერთიანება და
მხარეთმცოდნეობის მუზე-
უმები, ასევე – ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი, თბილისის
საჯარო ხელოვნების ფონდი,
საქართველოს კალიგრაფთა
ასოციაცია და „პარალელური
კლასი“.

საგანმანათლებლო-სახე-
ლოვნებო ორგანიზაციების
მიერ შემოთავაზებულ
პროგრამებსა და პროექტებში
მონაწილეობით მოსწავლეებს
უვითარდებათ მუზეუმებსა და
გალერეებში სტუმრობის ჩვევა,
აცნობიერებენ, რომ ვიზუალუ-
რი ხელოვნება კომუნიკაციის
არავერბალური ფორმაა,
რომლის საშუალებითაც შესაძ-
ლებელია როგორც ადამიანის
შინაგანი სამყაროს ასახვა, ისე
გარემომცველი სამყაროსადმი
საკუთარი დამოკიდებულების
გადმოცემა, ყველაფერი ეს
კი ხელს უწყობს მოზარდის
ჰოლისტურ და ჰარმონიულ
განვითარებას.



**გამოყენებული
ლიტერატურა:**

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6193624?publication=0>
2. ვიზუალური ხელოვნება – რევიზირებული საგნობრივი სტანდარტი
3. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, თავი I ზოგადი განათლების დებულება, მუხლი 2 ტერმინთა განმარტება. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=115>



მარიამ გოდუაძე

„პინოქიოს თავგადასავლის“ ორენოვანი ფრაგმენტი ენობრივ-მეტყველებითი აქტივობისთვის

კარლო კოლოდის „პინოქიოს თავგადასავალი“, ვფიქრობ, ყველა ბავშვისთვის საყვარელი ტექსტია. ან აუცილებლად გახდება, თუ ბავშვებს ამ ტექსტს მათთვის სასიამოვნო ფორმატით მივაწვდით. ასეთი ფორმატის შესარჩევად კი დაფიქრება ნამდვილად გვმართებს, მით უმეტეს, ტექსტი სასწავლო პროგრამაშიც არის შეტანილი. განსაკუთრებით უნდა ვეცადოთ იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც განსხვავებული ენობრივი მდგომარეობა აქვთ ან დასწავლის უნარის თავისებურებებით გამოირჩევიან. ასევე მნიშვნელოვანია ენისა და მეტყველების სპეციალისტის მიერ ტექსტის დამუშავება ფონოლოგიური, მორფოსინტაქსური, ლექსიკური თუ სხვა თვალსაზრისით.

წინამდებარე წერილში გთავაზობთ ქართულსა და აზერბაიჯანულ ენებს მორგებულ საგაკვეთილო აქტივობებს.

წინამდებარე ავიღოთ პატარა მონაკვეთი, რომელშიც საჭიროებისამებრ შევცვლით შრიფტისა თუ ცალკეული ასოების ზომას, ფერს, ასოებს შორის მანძილს.

სკოლისაკენ მიმავალმა პინოქიომ¹ თოჯინების თეატრს ჩაუარა. ისე მოუნდა თეატრში შესვლა! ძალიან მოუნდა!

– ეგ ფული რას გეყოფათ?! აი, სასწაულთა ველზე თუ დამარხავ, მეორე დღითი ოქროთი დახუნძლული ხე ამოვა.

პინოქიოს ბევრი არ უფიქრია, ანბანი გაყიდა. აღებული ფულით ბილეთი შეიძინა.

პინოქიო მოტყუვდა – ცბიერ მელას და კატას სასწაულთა ველზე გაჰყვა.

თეატრის პატრონს, ბატონ ურჯუეკინის, პინოქიო ძალიან მოეწონა და ხუთი ოქროს სოლდო აჩუქა. პინოქიომ გაიხარა, მამილო ვეპეტოს მივუტან ამ ფულს და ანბანი რომ გავყიდე, აღარ გამოიბრაზებო. გზად მელა და კატა შემოხვდნენ.

აქვეა აზერბაიჯანულენოვანი ტექსტიც:

Məktəbə gedərken Pinokkio kukla teatrının yanından keçir. Teatra getmək çox istəyirdi! Həqiqətən də istəyirdi!

– საით, ბიჭუნავ? – დაუყვავებს.

Pinokkio buna çox fikir vermədi, əlifbanı satdı. Aldığı pula bilet aldı.

– მამას ფული უნდა მივუტანო.

მნიშვნელოვანია ენისა და მეტყველების სპეციალისტის მიერ ტექსტის დამუშავება ფონოლოგიური, მორფოსინტაქსური, ლექსიკური თუ სხვა თვალსაზრისით. წინამდებარე წერილში გთავაზობთ ქართულსა და აზერბაიჯანულ ენებს მორგებულ საგაკვეთილო აქტივობებს.

¹ ფრაგმენტი ადაპტირებულია „პინოქიოს თავგადასავლის“ ბაკურ სულაკაურის გამოცემის მიერ 2014 წელს გამოცემულ ვერსიაზე დაყრდნობით, სერიიდან – „წიგნი ყველა ბავშვს“.

ასეთი აქტივობები დაეხმარება როგორც საგნის მასწავლებლებს, ისე ენისა და მეტყველების სპეციალისტებსა და ბავშვის მხარდაჭერაში ჩართულ სხვა პირებსაც. მათი მომზადებისას შეგიძლიათ რჩევები ჰკითხოთ ხელინს – ხელოვნურ ინტელექტს, მაგრამ ბოლომდე ნუ დაეყრდნობით, ზოგჯერ ისიც ცდება.

Teatr sahibi cənab Urjukin Pinokkionu çox sevirdi və ona beş qızıl sikkə verdi. Pinokkio sevindi, dedi: “Bu pulu əmi Geppettoya aparacağam və əlifbanı satsam, artıq əsəbiləşməyəcək”. Yolda bir tülkü və bir pişik onunla qarşılaşdı.

“Hara gedirsən, oğlan?” deyə soruşdular.

“Pulu atama aparmalıyam.”

“Bu pulun sənə nə xeyri var?! Bax, mənə Möcüzələr Vadisində basdırsan, ertəsi gün səhər qızılla örtülmüş bir ağac bitəcək.”

Pinokkio aldıadı — hiyləgər tülkü və pişiyin ardınca Möcüzələr Vadisinə getdi.

ფონოლოგიური აქტივობებისთვის შეიძლება უფრო მოკლე მონაკვეთის შერჩევა. კარგი იქნება, აქტივობა დაეწყოთ სიტყვების ასო-ბგერებად დაშლით, ე.წ. სფელინგით (Hərflərlə yazmaq). კარგი იქნება მოძრავი ანბანის გამოყენებაც, ხოლო თუ არ გვაქვს, შეიძლება, ტექსტი დაიწეროს ფერადი ცარციით ან მარკერებით დაფაზე ან ფურცელზე.

🍎 ავარჩიოთ სიტყვები:

- 🍷 სკოლისაკენ → ს-კ-ო-ლ-ი-ს-ა-კ-ე-ნ
- 🍷 თოჯინების → თ-ო-ჯ-ი-ნ-ე-ბ-ი-ს
- 🍷 თეატრს → თ-ე-ა-ტ-რ-ს

🍎 ბავშვი სათითაოდ ირჩევს ასოებს და შესაბამის ადგილას ათავსებს.

🍎 ხმამალა გამეორება

აზერბაიჯანულენოვანი მითითება:

- 🍎 Mətn: Məktəbə gedən Pinokkyo kukla teatrından keçdi.
- 🍎 Hərflərlə yaz: M-ə-k-t-ə-b-ə
- 🍎 Kartla göstərin, səsləri deyin

2) დამარცვლა (Heca bölmə)

🍎 სიტყვები დავყოთ მარცვლებად:

- 🍷 სკოლისაკენ → სკო-ლი-სა-კენ
- 🍷 პინოქიომ → პი-ნო-ქი-ომ
- 🍷 ანბანი → ან-ბა-ნი
- 🍷 ფული → ფუ-ლი

🍎 ბავშვი თითოთ ან ბარათებით გამოყოფს თითოეულ მარცვალს, შეიძლება, დამარცვლას ააყოლოს ტაშიც.

🍎 მერე კი გავაერთიანოთ მარცვლები → ვთქვათ სრული სიტყვა

- 🍷 Məktəbə → Mə-ktə-bə
- 🍷 Kukla → Kuk-la
- 🍷 Bilet → Bi-let

აღნიშნული აქტივობების ჩატარებისას გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:

- 🍎 თითო სესიაზე ვთქვათ მხოლოდ 3-4 სიტყვა.
- 🍎 ფერადი ბარათები და პიქტოგრამები ძალიან ამარტივებს პროცესს.
- 🍎 გამოვიყენოთ ე. წ. ექო-კითხვა -ხმით გამეორება იმ სიტყვებისა, რომლებიც ტექსტში გაწითლებული ან გამწვანებულია.

აქვეა არსებითი სახელების ორენოვანი ლექსიკონიც პიქტოგრამების იდეებითურთ:



ქართული	AZƏRBAYCANCA	პიქტოგრამის იდეა
ღურგალი	Dülgər	ჩაქური და ხის ფიჭარი
ხის ნაჭერი	Taxta parçası	ხის პატარა ნაჭერი
თოჯინა	Kukla	თოჯინა ძაფებით
პინოქიო	Pinokkio	ხის ბიჭი გრძელი ცხვირით
ჯეპეტო	Cəppetto	მოხუცი კაცი ჩაქურით
ლაპარაკი	Danışmaq	პირი + ბუმტი
სკოლა	Məktəb	სკოლის შენობა
სწავლა	Oxumaq/Öyrənmək	წიგნი
ანბანი	Əlifba	ასოები A-B-C / ა-ბ-გ
ქურთუკი	Palto	ქურთუკისნაბჯული
გაყიდვა	Satmaq	მონეტები ↔ ნივთი
ღატაკი	Kasıb	ცარიელი ჯიბეები
შვილო / მამილო	Oğlum/Ata	გული ორ ფიგურას შორის

ზმნები და გამოთქმები პიქტოგრამებითურთ

Nº	ქართული	აზერბაიჯანული	ბავშვისთვის მართივად	პიქტოგრამის / ხატულას იდეა
1	ჩაუარა	Yanından keçdi	გვერდით გაიარა	აღამიანი + შენობა
2	შესვლა	Daxil olmaq	შიგნით შევიდა	ისარი შიგნით
3	მოუნდა	İstəyirdi	მოესურვა	♥ ნივთისკენ გაწვდილი ხელი
4	ბევრი არ უფიქრია	Çox düşünmədi	სწრაფად გადაწყვიტა	თავი + ელვა
5	გაყიდა	Satdı	ნივთი ფულზე გაცვალა	👛 წიგნი → მონეტები
6	შეიძინა	Aldı	იყიდა	ნივთი
7	მოეწონა	Xoşuna gəldi	იფიქრა, კარგაიო	😊 გული
8	აჩუქა	Hədiyyə etdi	უსასყიდლოდ მისცა	📦
9	გაიხარა	Sevindi	გაუხარდა	😊 ხელები ზემოთ
10	მივუტან	Aparacam	წავიღებ და მივცემ	👉 → 📦
11	გამიბრაზდება	Mənə hirsələnər	ჩემზე ცუდს იფიქრებს და მეტყვის	

12	შემოხვდნენ	Qarşılarına çıxdılar	გზაზე შეხვდნენ
13	დაუყვავეს	Şirin danışdılar	თბილად ელაპარაკნენ
14	მივუტანო	Aparım deyə	წავიღო და მივცე 📦 →
15	გეყოფათ	Yetər	საკმარისია! ✓
16	ღამარხავ	Basdırırsan	მიწაში ჩადებ 🌱
17	ხე ამოვა	Ağac çıxacaq	ხე გაიზრდება
18	მოტყუვდა	Aldandı	შეცდა
19	გაპყვა	Arxasınca getdi	უკან გაედევნა 👤 → 👤

სწრაფი აქტივობები:

- 🍏 „იპოვე ზმნა ტექსტში“
- 🍏 „აჩვენე მოქმედება“
- 🍏 „კარგი არჩევანია / ცუდი არჩევანია“ (განსაკუთრებით – მოტყუვდა, გაპყვა)

მნიშვნელოვანია შემდეგი თერაპიული რეკომენდაციის გათვალისწინება: ADHD-ის დიაგნოზის მქონე ბავშვებისთვის გამოვიყენოთ ლექსიკონი, როგორც სწრაფი ბარათები (3-5 სიტყვა ერთ ბლოკში), დისლექსიის მქონეებისთვის – დიდი შრიფტი, მაღალი კონტრასტი და სიტყვა+სურათი ერთად.

ვფიქრობ, ასეთი აქტივობები დაეხმარება როგორც საგნის მასწავლებლებს, ისე ენისა და მეტყველების სპეციალისტებსა და ბავშვის მხარდაჭერაში ჩართულ სხვა პირებსაც. მათი მომზადებისას შეგიძლიათ რჩევები ჰკითხოთ ხელინს – ხელოვნი ინტელექტს, მაგრამ ბოლომდე ნუ დაეყრდნობით, ზოგჯერ ისიც ცდება.





ტინათინ ზარდაშვილი

ფენომენზე დაფუძნებული სწავლება (PHENOBL) „რობინზონ კრუზოს“ მაგალითზე

თანამედროვე განათლებაში სულ უფრო აქტუალური ხდება ფენომენზე დაფუძნებული სწავლება (PhenoBL), რომელიც ცოდნის საგნობრივ დაყოფას აუქმებს და კავშირს ამყარებს რეალურ სამყაროსთან.

თანამედროვე განათლებაში სულ უფრო აქტუალური ხდება ფენომენზე დაფუძნებული სწავლება (PhenoBL), რომელიც ცოდნის საგნობრივ დაყოფას აუქმებს და კავშირს ამყარებს რეალურ სამყაროსთან. სტატიამ განხილულია ფენომენზე დაფუძნებული სწავლების (PhenoBL-ის) პრინციპები და წარმოდგენილია მისი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზოს“ მაგალითზე. აღწერილია, როგორ შეიძლება, ერთი ლიტერატურული ტექსტის გარშემო გაერთიანდეს საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებები, ლიტერატურა და ფინანსური წიგნიერება, რაც მოსწავლეს ეხმარება 21-ე საუკუნის კომპეტენციების განვითარებასა და საკითხის ჰოლისტიკურ აღქმაში.

ფენომენზე დაფუძნებულმა სწავლებამ ყურადღება მიიპყრო მას შემდეგ, რაც ფინეთის განათლების ეროვნულმა სასწავლო გეგმამ სავალდებულო გახადა მისი გამოყენება სკოლებში (*ფინეთის განათლების ეროვნული საბჭო, 2016*).

ეს მიდგომა არღვევს ცოდნის საგნობრივად დაყოფის პრინციპს. კონკრეტულ საგნებზე (მაგალითად, მათემატიკა, ლიტერატურა, ქიმია, ფიზიკა ან ისტორია) ფოკუსირების ნაცვლად, ფენომენზე დაფუძნებული გაკვეთილები იკვლევს მოვლენებს, რომლებიც სცდება საგნობრივ საზღვრებს (Silander, 2015). ამ მიდგომით სკოლებში სწავლების ორგანიზების ახალი, ინტერდისციპლინურ აზროვნებაზე დაფუძნებული პროცესი ყალიბდება.

ფინეთში 7-დან 16 წლამდე ასაკის მოსწავლეები ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც მიიღონ მონაწილეობა, სულ მცირე, ერთ მულტიდისციპლინურ PhenoBL მოდულში (Halinen, 2018). მოდულები შექმნილია რეალური სამყაროს ფენომენების გამოსაკვლევად, რომელთა განხილვა შესაძლებელია ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთშემავსებელი თვალსაზრისით.

საგნობრივი გაკვეთილები ნარჩუნდება, მაგრამ თუ ისინი საკითხის განსახილველად მხოლოდ ერთ სპეციფიკურ კუთხეს

იყენებენ, მულტიდისციპლინური PhenoBL სასწავლო მოდული მოსწავლეებს მოუწოდებს, გააერთიანონ ცოდნა ყველა საგნობრივი სფეროდან, რათა საკითხი ჰოლისტიკურ (ერთიან) პრიზმაში დაინახონ.

PHENOBL-ის ხუთი განყოფილება

ვასილიოს სიმეონიდისა და იოჰანა შვარცის (2016) მიხედვით, ფენომენზე დაფუძნებულ მიდგომას ხუთი განზომილება/მახასიათებელი აქვს: ჰოლისტიკურობა, ავთენტურობა, კონტექსტუალურობა, პრობლემაზე დაფუძნებული კვლევა და ღია სასწავლო პროცესები. ერთობლიობაში ეს განზომილებები პედაგოგებს აძლევს საშუალო მოდელს PhenoBL მოდულის დაგეგმვისას.

ჰოლისტიკურობა გულისხმობს განათლების გამთლიანების (დაყოფის აღმოფხვრის) საჭიროებას. ჰოლისტიკური მიდგომა განიხილავს საკითხს მრავალი პერსპექტივიდან და განსაზღვრავს, როგორ ემთხვევა ან ეწინააღმდეგება ერთმანეთს სხვადასხვა თვალსაზრისი

(Halinen, 2018). სხვადასხვა საგნობრივი დისციპლინის კუთხით მოვლენების დანახვა მოსწავლეებს ეხმარება, აღიქვან სამყარო სირთულეებში და ეძებონ კომპლექსური პრობლემების ინკლუზიური გადაწყვეტის გზები.

ავთენტურობისა და კონტექსტუალურობის განზომილებები ხაზს უსვამს რეალური სამყაროს ფენომენის შესწავლის მნიშვნელობას. **ავთენტურობა** გულისხმობს ცოდნის გამოყენებას რაიმე ხელშესახების მიმართ, ნაცვლად მხოლოდ ჰიპოთეტურ და თეორიულ იდეებთან მუშაობისა (Symeonidis & Schwartz, 2016). ანალოგიურად, **კონტექსტუალურობა** არის ის, რაც არსებობს რეალურ დროსა და სივრცეში. ფოკუსი არ არის თავისთავად „თემზე“, რადგან თემა შეიძლება იყოს ცალკეული ობიექტი, რომელიც იზოლირებულად შეისწავლება, ფენომენი კი, პირიქით, დაკავშირებულია იმ კონტექსტთან, რომელშიც ის წარმოიშობა.

პრობლემაზე დაფუძნებული კვლევა და ლია სასწავლო პროცესები ასევე ურთიერთდაკავშირებული განზომილებებია (Silander, 2015). როდესაც მოსწავლეები იკვლევენ ფენომენს, მათ მოეთხოვებათ იმ პრობლემების ან ინტერესის სფეროების იდენტიფიცირება და შესწავლა, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას. მიდგომის მიზანია, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა ითანამშრომლონ ისეთი კვლევების საწარმოებლად, რომლებიც მიღწევადაა და რეგულაციური ფენომენის იმ ასპექტებისთვის, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესს იწვევს.

PHENOBL-ის გამოყენება საკლასო ოთახში

PhenoBL მეთოდის დასაწერად მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა ერთად უნდა შეარჩიონ ანალიზისთვის საჭირო ფენომენი. სემ ტისინგტონი (2019) ხაზს უსვამს მიმდინარე მოვლენებისა და ადგილობრივი საკითხების ტრამპლინად გამოყენების მნიშვნელობას. მსგავსად ამისა, ჯენა ლაჰდემიაკის (2018) მოჰყავს ფინეთის სკოლის მერვეკლასელი მოსწავლეების მაგალითი, რომლებსაც სთხოვეს, აერჩიათ ევროპასთან დაკავშირებული ფენომენი. მიცემული პარამეტრების ფარგლებში მოსწავლეებმა აირჩიეს ისეთი თემები, როგორცაა ოსვენციმი, გერმანიის კვების კულტურა და ევროპული ხელოვნება.

ფენომენის შერჩევის შემდეგ მასწავლებლებმა კვლევის ჩასატარებლად უნდა გამოიყენოს პრობლემასა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი (Halinen, 2018; L ndem ki, 2018).

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს კლასის მიერ პრობლემის დასმას, რომელიც უნდა გადაიჭრას აქტიური სწავლის საშუალებით, ხოლო **კვლევაზე დაფუძნებული სწავლება** მოიცავს სისტემატური მეთოდების გამოყენებას პრობლემის გადასაჭრელად.

PhenoBL მიდგომისას მასწავლებლებს შესაძლოა დასჭირდეთ გაკვეთილების იმგვარად სტრუქტურირება, რომ მოსწავლეებს მრავალ საგნობრივ სფეროსთან შეხება მოუწიოთ. სიმეონიდისი და შვარცი (2016)

ვარაუდობენ, რომ სასარგებლო იქნება სხვადასხვა საგნობრივი კომპეტენციის მქონე მასწავლებლების გაერთიანება, რათა ხელი შეუწყონ ინტერდისციპლინურ ფოკუსს კვლევის პროცესში.

სარგებელი და გამოწვევები

PhenoBL ორიენტირებულია მომავალზე. იგი აღიარებს, რომ ხვალინდელი დღის გამოწვევებს მულტიდისციპლინური გუნდები გადაჭრიან, რომლებიც ერთობლივად იმუშავებენ ისეთ რთულ პრობლემებზე, როგორცაა მდგრადი განვითარება, ურბანიზაცია და ხელოვნური ინტელექტის აღზევება.

ამ მიდგომამ შესაძლოა ხელი შეუწყოს საკომუნიკაციო ბარიერების მოხსნასაც. როდესაც მოსწავლეები ირჩევენ საკითხის მრავალი კუთხით დანახვას, ისინი იძულებულნი არიან, დაუპირისპირდნენ ისეთი რთული კონცეფციების აღქმის წინააღმდეგობრივ გზებს, როგორცაა კლიმატის ცვლილება, მიგრაციული პოლიტიკა და სურსათის მდგრადობა. მოსწავლეებს მოეთხოვებათ, სამყაროს სირთულეების დანახვით გაუძლონ გაურკვევლობის მომენტებს და ადამიანისა თუ ბუნების მრავალფეროვნება მიიღონ როგორც 21-ე საუკუნის ცხოვრების ბუნებრივი მოვლენა.

მიუხედავად ამისა, PhenoBL-ს აქვს თავისი გამოწვევებიც. ლაჰდემიაკმა (2018) აღნიშნა, რომ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს უჭირთ ფენომენის იდენტიფიცირებიდან მის გარშემო მართვადი ინტერდისციპლინური კვლევითი

ერთეულის ჩამოყალიბებაზე გადასვლა. მასწავლებლებმა უნდა უხელმძღვანელონ მოსწავლეებს ისეთი პრობლემის ძიებისას, რომელიც საკმარისად მცირეა გამოსაკვლევად, მაგრამ საკმარისად დიდი - მულტიდისციპლინური პერსპექტივიდან ანალიზისთვის.

პედაგოგებისთვის კიდევ ერთი გამოწვევაა მოსწავლეზე ორიენტირებული კვლევის და სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევისა და შეფასების საჭიროების ბალანსირება. გარდა ამისა, საგნობრივი გაკვეთილები არ უნდა ჩაითვალოს ზედმეტად. ფინეთის შემთხვევაში PhenoBL არ ნიშნავს სასწავლო გეგმის დიზაინის სრულ რეფორმას (Symeonidis & Schwartz, 2016). საგნობრივი გაკვეთილები რჩება და სხვადასხვა დისციპლინის მასწავლებლები ერთიანდებიან წელიწადში, სულ მცირე, ერთი მულტიდისციპლინური მოდულის ჩასატარებლად (Halinen, 2018).

დანიელ დეფოს კლასიკური ნაწარმოები საუკეთესო მასალაა PhenoBL მოდულისთვის. ის საშუალებას გვაძლევს, ლიტერატურული ტექსტი გამოვიყენოთ როგორც „ტრამპლინი“ მეცნიერული და სოციალური კვლევისთვის.

სამიზნე ასაკი: VII-IX კლასი

ხანგრძლივობა: მაგალითად, 2 კვირა (ან 4-5 ინტეგრირებული გაკვეთილი).

საჭირო რესურსები: ტექსტი „რობინზონ კრუზო“, წვდომა ინტერნეტთან, საკანცელარიო მასალები მაკეტისთვის

მოცემული მოდულის ფარგლებში ნაწარმოები შეიძლება განხილულ იქნეს ხუთივე განზომილების ქრილში, სადაც ინტეგრირდება სხვადასხვა დისციპლინა.

1. **ჰოლისტიკურობა (Holisticity)** – წიგნის ლიტერატურულ ქრილში განხილვის პარალელურად შემოდის სხვადასხვა საგანი:

- **ლიტერატურა** – სიუჟეტი, პერსონაჟის ტრანსფორმაცია, დღიურის ფორმატი;
- **ბიოლოგია/გეოგრაფია** – კუნძულის ეკოსისტემა, ფლორა და ფაუნა, კლიმატური ზონები, საკვები რესურსების მოძიება;
- **ფიზიკა/ინჟინერია** – პრიმიტიული თავმესაფრის აგება, ხელსაწყოების დამზადება, წყლის გამწმენდი სისტემები;
- **ფსიქოლოგია/სოციოლოგია** – მარტოობის გავლენა ფსიქოლოგიაზე, „სხვისი“ (პარასკევა) აღქმა, იერარქია და კოლონიალიზმი.

2. **ავთენტურობა (Authenticity)** – მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ რეალურ გამოწვევებზე.

დავალების ნიმუში: „წარმოიდგინეთ, რომ ხართ თანამედროვე რობინზონები. შეადგინეთ გადარჩენის გეგმა, რომელიც ეფუძნება თქვენს ხელთარსებულ ბუნებრივ რესურსებს და არა მაღალ ტექნოლოგიებს“.

3. **კონტექსტუალურობა (Contextuality)** – ფენომენი განიხილება ორ კონტექსტში:

- **ისტორიული** – მე-18 საუკუნის საზღვაო მოგზაურობები და კოლონიალიზმი;
 - **თანამედროვე** – როგორ გადარჩებოდა ადამიანი დღეს უკაცრიელ კუნძულზე (მაგალითად, პლასტმასის ნარჩენების გამოყენება გადარჩენისთვის – ეკოლოგიური ქრილი)?
4. **პრობლემაზე დაფუძნებული კვლევა (Problem-based inquiry)** – სასურველია, მოსწავლეები დაიყონ ჯგუფებად და გადაჭრან კონკრეტული პრობლემები:
- **ჯგუფი „მეცნიერები“** – როგორ მივიღოთ სასმელი წყალი ზღვის წყლისგან პრიმიტიული საშუალებებით;
 - **ჯგუფი „ფსიქოლოგები“** – როგორ შევინარჩუნოთ მენტალური (გონებრივი) ჯანმრთელობა 28-წლიანი იზოლაციის განმავლობაში;
 - **ჯგუფი „ანთროპოლოგები“** – როგორ დავამყაროთ კომუნიკაცია სხვა კულტურის წარმომადგენელთან ენის ცოდნის გარეშე.
5. **ღია სასწავლო პროცესი (Open-ended learning)** – საბოლოო პროდუქტი არ არის მხოლოდ ტესტი. მოსწავლეებს შეუძლიათ, აირჩიონ ფორმატი:
- რობინზონის დღიურის თანამედროვე ვერსიის დაწერა (ბლოგი);
 - კუნძულის 3D მაკეტის შექმნა (Minecraft-ში ან ფიზიკური მასალებით);
 - დებატები თემაზე „რობინზონი – პარასკევა მებობარი თუ დამპყრობელი“.

ამ მოდელით მუშაობა მოსწავლეებში ხელს შეუწყობს შემდეგი კომპეტენციების განვითარებას:

1. **კრიტიკული აზროვნება** – რესურსების პრიორიტეტიზაცია მასლოუს პირამიდის მიხედვით;
2. **თანამშრომლობა** – ჯგუფური მუშაობა „გადარჩენის გეგმის“ შედგენაზე;
3. **კომუნიკაცია** – დებატები თემაზე: „რობინზონი – პარასკევას მეგობარი თუ დამპყრობელი?“
4. **კრეატიულობა** – კუნძულის 3D მაკეტის შექმნა ან რობინზონის თანამედროვე ბლოგის წარმოება.

პროექტის ეტაპები

ფაზა 1: ორიენტაცია და მოტივაცია (ფენომენის გაცნობა, ინტერესის გაღვივება)

ფაზა 2: პრობლემის ფორმულირება (კითხვების დასმა: „როგორ გადავრჩეთ?“)

ფაზა 3: ინტერდისციპლინური კვლევა (მუშაობა საგნობრივ ჯგუფებში)

ფაზა 4: პროდუქტის შექმნა და პრეზენტაცია

PhenoBL-ის დროს მასწავლებელი არ არის მხოლოდ ინფორმაციის მიმწოდებელი – ის არის

ფასილიტატორი, რომელიც კვლევის პროცესს წარმართავს. მისი მთავარი ამოცანაა არა მზა ცოდნის გადაცემა, არამედ კვლევითი პროცესის მართვა. წარმატებული იმპლემენტაციისთვის პროცესში ჩართულ მასწავლებელს სჭირდება:

- **კოლაბორაციის** ანუ სხვა საგნის მასწავლებლებთან ერთად გუნდური მუშაობის უნარი;
- **მოქნილობა** – მზაობა, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, გეგმის შესაცვლელად;
- **ციფრული მენტორობა** – ტექნოლოგიების გამოყენება.

ფენომენზე დაფუძნებული სწავლება არ ნიშნავს საგნობრივი გაკვეთილების გაუქმებას. ეს არის საშუალება, მოსწავლემ დაინახოს, რომ მათემატიკა, ფიზიკა და ლიტერატურა არა ცალკეული წიგნები, არამედ რეალურ სამყაროში გადარჩენის ინსტრუმენტებია.



ნება კვლევის ვიზუალიზაციისთვის.

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი კლასში შედის „გადარჩენის საიდუმლო ყუთით“, რომელშიც აწყვია სათვალე (ლინზა), რამდენიმე მარცვალ ხორბალი, ან სიმინდი, დანა და ძველი რუკა. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, როგორ უკავშირდება ეს ნივთები ერთმანეთს და რა ფენომენს შეისწავლიან. ეს პირველივე წამიდან ქმნის ავთენტურობის განცდას.

PhenoBL-ის დანერგვისას მასწავლებლები ხშირად ეჯახებიან ორ პრობლემას:

1. **დროის მართვა** – რთულია საგნობრივი გეგმისა და PhenoBL მოდულის შეთავსება.

რჩევა: გამოიყენეთ ეს მოდული სემესტრის ბოლოს ან პროექტული სწავლების კვირეულში.

2. **შეფასება** – როგორ შევასოთ სხვადასხვა საგნის ცოდნა ერთდროულად?

რჩევა: შეადგინეთ საერთო რუბრიკა, რომელიც შეაფასებს როგორც შინაარსს (მეცნიერულ სიზუსტეს), ისე პროცესს (კვლევის უნარს).

თვითშეფასების კითხვები მოსწავლეებისთვის

- რომელი საგნის ცოდნა დამემარა ყველაზე მეტად „გადარჩენის“ პრობლემის გადაჭრაში?

- რა იყო ჩემთვის ყველაზე დიდი აღმოჩენა კვლევის პროცესში?

- როგორ შეიცვალა ჩემი დამოკიდებულება რობინზონის მიმართ (მეგობარია ის თუ დამპყრობელი)?

მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ:

- Minecraft Education Edition** – კუნძულისა და თავშესაფრის 3D მაკეტის ასაგებად;
- Canva / Padlet** „გადარჩენის დღიურის“ ან კვლევის შედეგების ვიზუალიზაციისთვის;
- Google Earth** – კუნძულის სავარაუდო კოორდინატების მოსაძებნად ალწერილობის მიხედვით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფენომენზე დაფუძნებული სწავლება არ ნიშნავს საგნობრივი გაკვეთილების გაუქმებას. ეს არის საშუალება, მოსწავლემ დაინახოს, რომ მათემატიკა, ფიზიკა და ლიტერატურა არა ცალკეული წიგნები, არამედ რეალურ სამყაროში გადარჩენის ინსტრუმენტებია. ვიმედოვნებ, სტატიაში შემოთავაზებული ეს ინტერდისციპლინური მოდელი საინტერესო იქნება კოლეგებისთვის და მომავალში საშუალებას მოგვცემს, ერთობლივად დავნერგოთ მსგავსი ინოვაციური მიდგომები ჩვენს საკლასო ოთახებში.

რესურსები მასწავლებლებისთვის:

1. **ციტატები ნაწარმოებიდან**, სადაც ყველა ციტატას ახ-

- ლავს მეცნიერული საკითხი და კითხვა-პასუხი;
- 2. **სამუშაო ფურცელი** თითოეული ჯგუფისთვის;
- 3. **სამუშაო ფურცლის** პასუხები.



გამოყენებული ლიტერატურა:

1. Finnish National Board of Education. (2016). *National Core Curriculum for Basic Education 2014*. Helsinki: Finnish National Board of Education.
2. Halinen, I. (2018). *The New Educational Curriculum in Finland*. In: Cook, J. W. (ed.) *Sustainability, Human Well-Being, and the Future of Education*. Palgrave Macmillan.
3. Lähdemäki, J. (2018). *Case Study: The Finnish Reform of Curriculum and School Culture*. In: Cook, J. W. (ed.) *Sustainability, Human Well-Being, and the Future of Education*. Cham: Springer.
4. Silander, P. (2015). *Phenomenon Based Learning*. [Online Resource].
5. Symeonidis, V., & Schwarz, J. F. (2016). *Phenomenon-Based Teaching and Learning through the Lens of Critical Didaktik*. *Challenge Education*, 1 (1), 33-47.
6. Tislington, S. (2019). *Phenomenon-Based Learning: A Practical Guide for Teachers*. *Education Journal*.



ნესტან მიქაძე

ციფრული ტექნოლოგია როგორც სწავლა-სწავლების ინსტრუმენტი და არა თვითმიზანი

თანამედროვე საკლასო ოთახი ციფრული ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია. ცარცა და ტრადიციულ დაფას თანდათან ანაცვლებს ინტერაქციული დაფა, რომელსაც ერთი შეხებით მთელი სამყარო შემოაქვს კლასში. სახელმძღვანელოებს ემატება ზღვა ინფორმაციის შემცველი ონლაინ ბიბლიოთეკები. თვალის მომჭრელი საგანმანათლებლო პლატფორმები და ციფრული რესურსები მყისიერად იპყრობს მოსწავლის ყურადღებას.

ერთი შეხედვით, ეს ტექნოლოგიური რევოლუცია სასწავლო პროცესის დემოკრატიზაციასა და გაადვილებას ემსახურება. მასწავლებელს აღარ უწევს მხოლოდ სიტყვებით ახსნა. რთული აბსტრაქტული ცნებები ვიზუალიზდება, ანიმაციებითა და სიმულაციებით ცოცხლდება. მოსწავლეს შეუძლია, მსოფლიოს თითქმის ნებისმიერი წერტილიდან რამდენიმე წაშში მოიძიოს სასურველი სტატია, ვიდეო თუ სამეცნიერო კვლევა.

ციფრული ტექნოლოგიების პოტენციალი თანდათან იზრდება. ციფრული რესურსების მთავარი ძალა მათი მულტიმედიალობაა, რაც სწავლა-სწავლების პროცესის სტატიკურიდან დინამიკურ ფორმატში გადაყვანას გულისხმობს. ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, მოხდეს შინაარსის ვიზუალიზაცია, რაც რთული და აბსტრაქტული ცნებების გააზრებას ამარტივებს, ამას კი განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდის აქტიური ჩართულობისთვის. ინტერაქციული პლატფორმების წყალობით მოსწავლე პასიური მსმენელიდან პროცესის თანამონაწილედ იქცევა. აღსანიშნავია ისიც, რომ ციფრული ხელსაწყოები საუკეთესო საშუალებაა დიფერენცირებული სწავლებისთვის. ყველა ბავშვს არ აქვს დასწავლის ერთნაირი სიჩქარე, ციფრული რესურსები კი მათ შესაძლებლობას აძლევს, მასალას საკუთარი, ინდივიდუალური ტემპით გაეცნონ, რამდენჯერმე დაუბრუნდნენ გაუგებარ მონაკვეთს და გამოიყენონ ის დამხმარე რესურსი, – ვიდეო, სიმულაცია თუ ქვიზი, – რომელიც მის პერსონალურ საჭიროებებს ყველაზე მეტად შეესაბამება.

ამ უდავო უპირატესობებთან ერთად ტექნოლოგიურმა სიახლეებმა ერთგვარი უმართავი, ქაოსური საგანმანათლებლო სივრცეც წარმოშვა. რაც უფრო ხელმისაწვდომი და მრავალფეროვანი ხდება

ინფორმაცია, მით უფრო რთულდება მასზე ფოკუსირება და სიღრმისეული ათვისება. ციფრული ხელსაწყოები, რომლებიც სწავლის ხარისხის ასამაღლებლად იქმნება, ხშირად საპირისპირო ეფექტს იძლევა – ბარიერად აღიმართება მოსწავლესა და ნამდვილ შემეცნებას შორის. ეკრანს მიღმა არსებული უსასრულო არჩევანი ყურადღებას ფანტავს, ზედაპირულობასა და „გუგლის ეფექტს“ იწვევს.

ციფრულ ეპოქაში ადამიანის ყურადღების კონცენტრაციის ხანგრძლივობა საგრძნობლად შემცირდა. ტექნოლოგიების ჭარბი და არამიზნობრივი გამოყენება იწვევს კოგნიტიურ გადაღლას, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ სასწავლო პროცესში ციფრული რესურსი მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრული პედაგოგიური მიზნით უნდა იქნეს გამოყენებული. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება განათლებაში არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ციფრული ხელსაწყოების ფლობით. მთავარი აქცენტი უნდა დაისვას პედაგოგიის იმგვარ ტრანსფორმაციაზე, სადაც ტექნოლოგია მოემსახურება სწავლის ხარისხის ამაღლებას და მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას. ციფრული რესურსი სასწავლო მიზნის მიღწევის საშუალება უნდა იყოს და არა საბოლოო მიზანი.

რესურსი, რომელიც შემეცნებას უნდა აჩქარებდეს, ხშირად ყურადღების დეფიციტისა და ზედაპირული აზროვნების მიზეზად იქცევა. მთავარი კითხვა დღეს არა ტექნოლოგიის გამოყენება-არ-გამოყენებას, არამედ მის ფუნქციას ეხება. არის ციფრული რესურსი რეალური კატალიზატორი სწავლის ხარისხის ასამაღლებლად თუ უბრალოდ მაღალტექნოლოგიური „ყურადღების გამფანტავია“, რომელიც აზიანებს მოსწავლის კონცენტრაციის უნარს?

საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას ციფრული რესურსი ფასდაუდებელ როლს ასრულებს იმ „უხილაგი“ პროცესების ვიზუალიზაციაში, რომელთა მხოლოდ თეორიულ დონეზე აღქმა მოსწავლეებისთვის ხშირად გადაუღალავ სირთულეს წარმოადგენს. ტექნოლოგია მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, მოსწავლეს „დაანახოს“ ის, რაც შეუიარაღებელი თვალისთვის მიუწვდომელია: მიკროსამყარო იქნება ეს, სადაც უმცირესი ნაწილაკების ურთიერთქმედება, ქიმიური რეაქციები და უჯრედული პროცესები მიმდინარეობს თუ მაკროსამყარო, სადაც პლანეტების ორბიტალუ-

რი მოძრაობა და გალაქტიკების ევოლუცია თვალშეუდგამ დროსა და სივრცეშია განფენილი. ციფრული სიმულაცია აქ ერთგვარი „კოგნიტიური ხილია“, ის საშუალებას აძლევს მოსწავლეს, რამდენიმე წაშლი ნახოს მზის სისტემის ჩამოყალიბების მრავალსაუკუნოვანი ციკლი ან ვირტუალურად „შეეხო“ ატომის ბირთვს, რაც აბსტრაქტულ თეორიას ხელშესახებ გამოცდილებად აქცევს. ციფრული რესურსი იქცევა ლაბორატორიად, სადაც მოსწავლეს აღმოჩენების გაკეთების შესაძლებლობა ეძლევა. თუმცა ამ პროცესს თან ახლავს ხარვეზიც. ციფრულ გარემოში მოვლენებზე დაკვირვება ხშირად ზედმეტად იდეალური და „სტერილურია“. აქ გამორიცხულია რეალური ექსპერიმენტისთვის დამახასიათებელი ცდომილებები, ხახუნი, გარემო პირობების მოულოდნელი გავლენა. ამან შესაძლოა მოსწავლეს შეუქმნას მცდარი წარმოდგენა, თითქოს სამყაროში მიმდინარე პროცესები წინასწარ გაწერილი ალგორითმით მუშაობს. ციფრული ლაბორატორია საუკეთესოა პროცესის არსის გასაგებად, მაგრამ მას აკლია ის ემპირიულია, რომელიც მხოლოდ რეალური კვლევისას ხდება თვალსაჩინო.

კვლევებმა აჩვენა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ადამიანის ყურადღების კონცენტრაციის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ინტერნეტმა და ციფრულმა მოწყობილობებმა ჩვენს კონცენტრაციის უნარზე უარყოფითად იმოქმედა. ბოლოს როდის იყო, რომ მთელი დღე არ გქონიათ კონტაქტი ყურადღების გამფანტავ ციფრულ ფაქტორებთან? არც ტექსტური ან ელექტრონული შეტყობინებები მიგიღიათ, არც უმიზნოდ გიხედავიათ სოციალურ მედიაში? ადამიანთა უმეტესობა მიჯაჭვულია კომპიუტერებსა და სმარტფონებს, რომლებიც ყურადღების გამფანტავი ფაქტორების ამოუწურავ წყაროს წარმოადგენს. მათ გამო ზოგჯერ შეუძლებელი ხდება დიდი ხნის განმავლობაში რამეზე გულისყურით კონცენტრირება.

ტექნოლოგიების მზარდმა გამოყენებამ წარმოშვა ფენომენი, რომელსაც ფსიქოლოგები ყურადღების ფრაგმენტაციას უწოდებენ. ციფრული რესურსი, მაშინაც კი, როდესაც უშუალოდ სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენება, შეიცავს უამრავ გარე გამლიზიანებელს: ჰიპერბმულებს, რომლებსაც სხვადასხვა გვერდზე გადაყვავართ, რეკლამებს თუ უბრალოდ სხვა აპლიკაციების შეტყობინებებს. მოსწავლეს, რომლის ნებისყოფა და თვითკონტროლის მექანიზმი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ძალიან უჭირს, გაუძლოს ცდუნებას და სასწავლო მასალიდან გასართობ კონტენტზე არ გადაერთოს. შედეგად ვიღებთ ე.წ. მრავალამოცანიანობის (Multitasking) ილუზიას, სადაც ტვინი ორ პარალელურ რეჟიმში მუშაობს. ეს საგრძნობლად ფიტავს კოგნიტიურ რესურსებს და ხელს უშლის ინფორმაციის გრძელვადიან მენსიერებაში გადატანას.

პრობლემა მხოლოდ გარე გამლიზიანებლები არ არის – თავად ციფრული ფორმატი ცვლის კითხვისა და გაზრების ხარისხს. კვლევები აჩვენებს, რომ ეკრანიდან კითხვისას ადამიანები უფრო მეტად მიმართავენ სკანირებას (Skanning), ვიდრე სიღრმისეულ ანალიზს. კლასში, სადაც ციფრული რესურსი ქარბობს, მოსწავლე ეჩვევა ინფორმაციის ზედაპირულ მოპოვებას და პასუხების სწრაფად მიღებას, რაც თანდათან აქვეითებს კრიტიკული აზროვნებისა და ხანგრძლივი კონცენტრაციის უნარს. ის, რაც თეორიულად სწავლის დაჩქარების ხელშეწყობი უნდა ყოფილიყო, პრაქტიკაში ხშირად იქცევა

„კოგნიტიურ მოუთმენლობად“. მოსწავლე კარგავს უნარს, დიდხანს იფიქროს ერთ რთულ ამოცანაზე, რადგან ციფრული სამყარო მას მუდმივ მრავალფეროვნებასა და სწრაფ ცვლილებებს სთავაზობს.

თანამედროვე საკლასო ოთახში ციფრული ტექნოლოგიების ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობა STEAM სწავლების ხელშეწყობაა, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს, თეორიული ცოდნა პრაქტიკულ, შემოქმედებით პროექტებში გააერთიანოს. ციფრული ხელსაწყოები იქცევა საინჟინრო მოდელირების, გრაფიკული დიზაინისა და მონაცემთა ანალიზის ერთიან სივრცედ, სადაც მათემატიკური სიმუსტე და ხელოვნების თავისუფლება ავსებს ერთმანეთს. ასეთი ინტერდისციპლინური მიდგომა ავითარებს კომპლექსურ აზროვნებას და მოზარდს პრობლემის გადაჭრას რეალური სამყაროს კონტექსტში ასწავლის. STEAM მიდგომის ციფრულ ფორმატში დანერგვას თან ახლავს სპეციფიკური ხარვეზიც. არსებობს რისკი, რომ ტექნოლოგიურმა „ეფექტებმა“ და ხელსაწყოთა სირთულემ დაჩრდილოს თავად შესასწავლი საკითხის შინაარსი. ხშირად მოსწავლეები პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკურ ათვისებას ან ვიზუალურ გაფორმებას (ხელოვნების ნაწილს) უფრო მეტ დროს უთმობენ, ვიდრე იმ ფუნდამენტური მეცნიერული თუ მათემატიკური პრინციპების გააზრებას, რომლებიც პროექტის საფუძველს წარმოადგენს. STEAM-ის წარმატება დამოკიდებულია ბალანსის დაცვაზე. ტექნოლოგია უნდა დარჩეს იდეის განხორციელების საშუალებად და არ იქცეს ბარიერად, რომელიც მოსწავლეს მთავარი საგანმანათლებლო მიზნიდან გადაახვევინებს. ამ გამოწვევების გათვალისწინებით, STEAM მიდგომის რეალიზებისთვის გაცილებით ეფექტურია საკლუბო მუშაობის ფორმატი. კლუბური გარემო, სტანდარტული საგაკვეთილო პროცესისაგან განსხვავებით, ქმნის არაფორმალურ სივრცეს და იძლევა დროს თავისუფლებას, სადაც ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ათვისება არა თვითმიზანი, არამედ კვლევისა და შემოქმედებითი ძიების ბუნებრივი თანმხლები პროცესია. ეს ფორმატი საშუალებას იძლევა, აქცენტი დაისვას არა შედეგზე, არამედ თავად კეთებით სწავლის (Learning by doing) პროცესზე, რაც STEAM განათლების ფუნდამენტური პრინციპია.

STEAM განათლების ეფექტურობა პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად ორგანულად არის ინტეგრირებული ტექნოლოგია სასწავლო პროცესთან. მან ხელი უნდა შეუწყოს კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარის ჩამოყალიბებას.

ციფრული სიმულაციებით (VS) გამოწვეული პრობლემის აღმოფხვრასა და ყურადღების დეფიციტის დაძლევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ციფრული რესურსებისა და რეალური, ფიზიკური ექსპერიმენტების გონივრულ სინთეზს. რაც უნდა სრულყოფილი იყოს კომპიუტერული მოდელი, ის მაინც რჩება იდეალიზებულ სისტემად, სადაც ყველაფერი წინასწარ გაწერილი ალგორითმით ხორციელდება. რეალური ექსპერიმენტი კი მოსწავლეს აზრუნებს ფიზიკურ სამყაროში, სადაც არსებობს ცდომილება, ხახუნი, მასალის ფაქტურა, გარეგანი ფაქტორების გაუთვალისწინებელი გავლენა. მაგალითად, როდესაც ბავშვი საკუთარი ხელით აწყობს ელექტრულ წრედს, ზომავს ფიზიკურ სიდიდეს, აშხადებს რამის მოდელს ან ატარებს ქიმიურ რეაქციას, მისი ყურადღება მაქსიმალურად არის მოზილიზებული.

რეალური გამოცდილება წარმოადგენს იმ ემოციურ და კოგნიტიურ საფუძველს, რომელსაც ციფრული რესურსი მხოლოდ აფართოებს და აზუსტებს.

გამოსავალი არა ტექნოლოგიაზე უარის თქმა, არამედ მისი მიზანმიმართული გამოყენებაა. ციფრული რესურსი უნდა იყოს გაკვეთილის არა ჩანაცვლებელი, არამედ გამაძლიერებელი ინსტრუმენტი. იდეალური მოდელი გულისხმობს პროცესს, სადაც რეალური ექსპერიმენტით მიღებული შთაბეჭდილება ციფრული ლაბორატორიით ზოგადდება. ასეთი მიდგომა მოსწავლეს ეხმარება, შეინარჩუნოს კავშირი რეალობასთან, განივითაროს დაკვირვების უნარი და ტექნოლოგია გამოიყენოს როგორც სამყაროს უკეთ შეცნობის ეფექტური ინსტრუმენტი. სწორედ ეს ბალანსი აქცევს ციფრულ რესურსს ყურადღების გამაფანტავიდან ნამდვილ, ფასდაუდებელ დამხმარედ.

ციფრული რესურსების ეფექტურობა უდიდესწილად იმაზეა დამოკიდებული, რა საჭიროებისთვის იყენებს მას პედაგოგი საგაკვეთილო პროცესში. თუ ტექნოლოგია წარმოადგენს მხოლოდ დროის შესავსებ რესურსს, ის მყისიერად იქცევა ყურადღების გამაფანტავად. როდესაც მოსწავლეებელი ციფრულ პლატფორმას იყენებს კრიტიკული კითხვების დასასმელად, პრობლემაზე დაფუნდებული სწავლების (PBL) ხელშესაწყობად, სურათი რადიკალურად იცვლება. მთავარია, მოსწავლემ გააცნობიეროს, რომ პლანშეტი ან კომპიუტერი არა ინფორმაციის პასიური მიმღები, არამედ კვლევის იარაღია. მოსწავლეების ოსტატობა სწორედ ის არის, ციფრული რესურსი აქციოს აზროვნების ხელშემწყობად, – იმად, რაც იმ ბარიერების გადალახვაში დაეხმარება მოსწავლეს, რომლებსაც ტრადიციული მეთოდები ვერ სწვდება.

სასწავლო პროცესის დინამიკა ზოგჯერ მოითხოვს, გაკვეთილი მთლიანად დაეთმოს ციფრული რესურსების ინტენსიურ გამოყენე-

ბას. ასეთი მიდგომა – მოსწავლეების დამოუკიდებლად მუშაობა ვირტუალურ ლაბორატორიებში თუ კვლევით პლატფორმებზე – ხელს უწყობს თვითმართვადი სწავლის (Self directed learning) უნარების განვითარებას, მასწავლებელს კი საშუალებას აძლევს, გადავიდეს ფასილიტატორის როლში, დააკვირდეს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ სამუშაო ტემპს და გაუწიოს მათ პერსონალიზებული კონსულტაცია რთული საკითხების გააზრების პროცესში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ე.წ. კოგნიტიური დატვირთვის თეორია. ამ თეორიის თანახმად, ადამიანის მექსიერებას განსაზღვრული რესურსი აქვს. როდესაც მოსწავლე ცდილობს, გაიზაროს სასწავლო თემა და, პარალელურად, მართავს რთულ ციფრულ ინტერფეისს, მისი ტვინი ორმაგ დატვირთვას განიცდის. ხშირად ვიზუალური რესურსი მხოლოდ ყალბ ეფექტს ქმნის და მთავარ სათქმელს ფარავს. ამას ემატება ეკრანული გადაღლის სინდრომი, რაც ფიზიკურ დისკომფორტს (თვალების დაძაბვა, ძილიანობა) იწვევს. დამხმარე რესურსი მაშინ მუშაობს ეფექტურად, როდესაც ის მიზანმიმართულად გამოიყენება და არ არღვევს მოსწავლის მენტალურ სიმშვიდეს ზედმეტი ვიზუალური თუ ხმოვანი სტიმულაციით.

ნეიროსაიქოლოგიური კვლევები ხაზს უსვამს, რომ ყურადღების კონცენტრაცია არ არის სტატიკური მოცემულობა; ის დინამიკური პროცესია, რომელზეც გარემო სტიმულები პირდაპირ გავლენას ახდენს. ფსიქო-კოგნიტიური მიდგომით ჩატარებული კვლევები ხაზს უსვამს, რომ სწავლის ეფექტურობა პირდაპირ კავშირშია ყურადღების მართვის პროცესთან. ციფრული ინსტრუმენტი მხოლოდ მაშინ არის შედეგის მომცემი, როდესაც ის ხელს უწყობს ფოკუსირებას და არა მის გაფანტვას. პედაგოგიურ პრაქტიკაში ტექნოლოგია უნდა შემოვიდეს არა როგორც დამატებითი გამაღიზიანებელი, არამედ როგორც კოგნიტიური საყრდენი, რომელიც მოსწავლეს რთული აბსტრაქციების გააზრებაში ეხმარება.



სწავლების პროცესში ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა მოსწავლეთა ინდივიდუალურობა. არ არსებობს ორი ერთნაირი გონება. ზოგისთვის ინფორმაცია მხოლოდ მაშინ ხდება გასაგები, როცა მას ხედავს, ზოგს მოსმენა სჭირდება, ზოგს კი მოქმედება. სწორედ აქ ვლინდება ციფრული რესურსის უნიკალურობა: ის საშუალებას იძლევა, სასწავლო მასალა აღქმის ერთდროულად რამდენიმე მოდულობას მოვარგოთ. ტრადიციული, მხოლოდ ვერბალური თხრობა წმინდად ჩრდილში ტოვებს იმ მოსწავლეებს, რომელთა წამყვანი არხიც სმენითი არ არის. ციფრული ინსტრუმენტები კი ქმნის მულტიმენორულ გარემოს, სადაც ინფორმაცია გადაიცემა როგორც ვიზუალური, ისე აუდიო და ინტერაქციული არხებით, რაც სწავლას უფრო ინკლუზიურს და ეფექტურს ხდის.

განვიხილოთ, როგორ პასუხობს ციფრული ტექნოლოგია სხვადასხვა საჭიროებას:

- 🍎 **ვიზუალური აღქმა** – მათთვის, ვინც „თვალებით სწავლობს“, ციფრული რესურსი ნამდვილი საჩუქარია. ინფოგრაფიკა, დიაგრამა, ვიდეო, ანიმაცია მოსწავლეს ეხმარება, სტრუქტურულად დაინახოს მოვლენათა შორის კავშირები. მაგ., ისტორიული მოვლენის რუკაზე გაცოცხლება ბევრად უფრო მკაფიო სურათს ტოვებს მის მესხიერებაში, ვიდრე უბრალოდ წაკითხული ტექსტი, ხოლო გეოგრაფიის შესწავლისას ინტერაქციული რუკებისა და 3D მოდელების გამოყენება საშუალებას აძლევს, თვალსაჩინოდ აღიქვას ისეთი რთული გეოგრაფიული პროცესები, როგორცაა ტექტონიკური ფილების მოძრაობა ან კლიმატური ზონების ცვლილება, რადგან მშრალი ტექსტებით ისინი ძნელი გასააზრებელია.
- 🍎 **აუდიალური აღქმა** – სმენითი ტიპის მოსწავლისთვის პოდაკასტი, აუდიოწიგნი ან თუნდაც ეკრანული წამკითხველი (Text to Speech) სასწავლო პროცესს ბუნებრიობას მატებს. აუდიალს შეუძლია, ინფორმაცია მიიღოს ინტონაციიდან, აქცენტიდან, რაც მას შინაარსის ემოციურ და ლოგიკურ გააზრებაში ეხმარება.
- 🍎 **კინესთეტიკური აღქმა** – კინესთეტიკები სწავლობენ კეთებითა და შეხებით. ციფრული სიმულაციები, სადაც კინესთეტიკს შეუძლია ეკრანზე ცვლილებების მოხდენა და ობიექტების გადაადგილება, ვირტუალური ლაბორატორიების მართვა ან საგანმანათლებლო თამაშებში მონაწილეობა, ქმნის მოქმედების ილუზიას. ინტერაქცია არის ციფრული ალტერნატივა იმ ფიზიკური გამოცდილებისა, რომელიც ამ ტიპის მოსწავლისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.
- 🍎 **სწავლის ხარისხს განაზღვრავს ასათვისებელი ინფორმაციის მიწოდების ფორმა** – ვიზუალური, აუდიალური და კინესთეტიკური კომპონენტების ინტეგრაცია. ინტერაქციული მოდელების მართვისას მოსწავლე აღარ არის მხოლოდ მსმენელი – ის ხდება პროცესის აქტიური მონაწილე, რაც ხელს უწყობს კოგნიტიური კავშირების გაღრმავებას და ნასწავლი მასალის პრაქტიკულ გააზრებას. ციფრული რესურსი აქ უკვე აღარ არის უბრალო „დამხმარე“, ის იქცევა ხიდად, რომელიც მასწავლებელსა და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ აღქმის სტილს შორის იდება.

როგორ ვაქციოთ ციფრული რესურსი ნამდვილ დამხმარედ?

იმისთვის, რომ ტექნოლოგიამ საკლასო ოთახში ყურადღება კი არ გაუფანტოს მოსწავლეებს, არამედ მათ კონცენტრაციას შეუწყოს ხელი, მნიშვნელოვანია რამდენიმე პრინციპის დაცვა:

- 🍎 **მიზანმიმართულობა და დროის ლიმიტი** – ციფრული რესურსი არ უნდა იყოს გაკვეთილის ფონი. ის უნდა გამოვიყენოთ კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად (მაგ., ათწუთიანი სიმულაცია რთული მოვლენის ასახსნელად). სიმულაციისთვის განკუთვნილი დროის შეზღუდული ხანგრძლივობა მოსწავლეს ეხმარება, მობილიზდეს და ციფრულ სივრცეში არ „დაიკარგოს“. როგორც კი რესურსი თავის ფუნქციას შეასრულებს, ეკრანი უნდა დაიხროს და გადავიდეთ მიღებული გამოცდილების ანალიზზე.
- 🍎 **აქტიური ეკრანი** – ტექნოლოგია მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, როცა მოსწავლე მასთან ინტერაქციაში შედის. ნაცვლად ვიდრე პასიურად ცქერისა, უმჯობესია, გამოვიყენოთ რესურსი, რომელიც მოსწავლისგან პასუხის გაცემას, მოქმედებას, არჩევანს მოითხოვს. მაგალითად, ვიდეომასალაში ჩამოწმებული კითხვები განაპირობებს მოსწავლის ყურადღების მობილიზებას.
- 🍎 **ციფრული და ფიზიკური სამყაროს სინთეზი** – საუკეთესო შედეგს იძლევა ე.წ. შერეული სწავლება. ციფრული რესურსით მიღებული ცოდნა აუცილებლად უნდა გადავიდეს ფიზიკურ აქტივობაში, ჯგუფური დისკუსია იქნება ეს, ხელით შესასრულებელი ექსპერიმენტი თუ ფურცელზე ჩანახატის გაკეთება. ეს ხელს შეუწყობს ინფორმაციის მყარ და რეალურ ცოდნად გარდაქმნას.

სასწავლო პროცესი შედეგადაა მაშინ, როცა რესურსი ესადაგება მიზანს და არა მიზანი – რესურსს. სტატიაში მოყვანილი ანალიზი ცხადყოფს, რომ ტექნოლოგია თავისთავად არ წარმოადგენს სწავლების ხარისხის გარანტორს; ის მხოლოდ მძლავრი კოგნიტიური ინსტრუმენტია, რომლის ეფექტიანობა მის მიზანმიმართულ და ზომიერ გამოყენებაზეა დამოკიდებული. განათლების თანამედროვე პარადიგმაში უმთავრეს გამოწვევად რჩება ციფრულ სიმულაციასა და ემპირიულ გამოცდილებას შორის ბალანსის პოვნა. საგანმანათლებლო პროცესის მიზანი უნდა იყოს არა მოსწავლის მორგება ციფრულ სტანდარტებზე, არამედ თავად ტექნოლოგიების იმგვარი ტრანსფორმაცია, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შემეცნებით თავისებურებებს. მხოლოდ მოზარდზე ორიენტირებულ მიდგომას შეუძლია, ციფრული რესურსი აქციოს სწავლა-სწავლების რეალურ კატალიზატორად და არა თვითმიზნად, რომელიც ყურადღების დეფიციტსა და ზედაპირულობას განაპირობებს. პედაგოგიური ოსტატობა სწორედ ის არის, რომ ტექნოლოგიები დარჩეს ხიდად მოსწავლესა და შემეცნებას შორის – ხელსაწყოდ, რომელიც ერგება მოსწავლეს და არა პირიქით.



გამოყენებული ლიტერატურა:

1. American Psychological Association. Why our attention spans are shrinking, with Gloria Mark. 2023 <https://rebrand.ly/3a33e6>
2. ScienceStep Journal. Attention Process and Learning: What is the Relationship? A Psycho-Cognitive Educational Approach. 2024 <https://rebrand.ly/d7e71a>
3. HappyNeuron Pro. What is attention span? Understanding focus and concentration in learning. 2024 <https://rebrand.ly/ed1f13>
4. Structural Learning. Attention and Learning: Insights from Cognitive Science. 2024 <https://rebrand.ly/1a5e0f>
5. Medical College Of Wisconsin. What is Cognitive Load Theory? 2022 <https://rebrand.ly/mri4k3x>
6. The Decision Lab. Cognitive Load Theory: How to optimize learning by managing mental effort. 2024 <https://rebrand.ly/fjbt5n>



ლელა ცარციძე

„JAPANESE LESSON STUDY“ – სწავლის შედეგების გაუმჯობესების ეფექტური მოდელი

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ერთ-ერთია საგანმანათლებლო პრაქტიკის კვლევა სკოლის ბაზაზე. ცნობილია, რომ იაპონია ამ გამოწვევებს შესანიშნავად ართმევს თავს და როგორც კვლევებმა აჩვენა, იაპონური მოდელის დანერგვამ დიდ ბრიტანეთშიც მალალი შედეგები აჩვენა. „Japanese Lesson Study“-ის მოდელი, პირველად სკოლის საავტორიზაციო სამზადისში მოხვდა ყურში, თუმცა დიდი ყურადღება არ გამომავლივს. მას შემდეგ, რაც თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის შესახებ ვცდილობდი, ცოდნა გამეღრმავებინა რამდენჯერმე კიდევ შევხვდი ამ მოდელს და სწორედ აქედან დაიწყო ჩემი დაინტერესება. მეთოდის სასკოლო ცხოვრებაში გამოყენებამ კი სრულიად სხვა თვალთ დაამანახა საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკა და მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრებშიც განსხვავებული ხასიათი მიიღო.

ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ეს მოდელი დაინტერესებული პირებისათვის ქართულ ენაზეც ხელმისაწვდომი გახდება და დაინერგება სასკოლო პრაქტიკაში. მოდელი კომპლექსური ხასიათისაა. სწორედ მისი კომპლექსური და თანმიმდევრული ხასიათის გამო, იგი ქართული სკოლებისათვის კურსდღის განვითარების კარგი საშუალება იქნება. ასევე, მასწავლებლის პრაქტიკის კვლევის ერთ-ერთ ძლიერ ინსტრუმენტად შეგვიძლია გამოვიყენოთ. ამ მოდელის მიხედვით კვლევას ატარებს მასწავლებელთა ჯგუფი, რომლებიც ორიენტირებული არიან მოსწავლეთა მიღწევების ზრდაზე და ამ მიზნით სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზე. იაპონურად გაცვეთილის შესწავლის სახელია *kyuokenkyu*. „იუკიო“ ნიშნავს სწავლებას და სწავლას. „კენკიო“ – შესწავლას ან კვლევას. ასე რომ, ამ მეთოდის დედაზრი სწავლებისა და სწავლის შესწავლა გამოდის.

როგორ მუშაობს ეს მეთოდი?

მასწავლებლების ჯგუფი იკრიბება და ადგენს სწავლების პრობლემას, რომლის გადაჭრაც სურთ. შესაძლოა, მათ მოსწავლეებს უჭირთ წილადების შეკრება. შემდეგ, მასწავლებლები აკეთებენ კვლევას იმის შესახებ, თუ რატომ უჭირთ მოსწავლეებს წილადების შეკრება. ისინი კითხულობენ უახლეს საგანმანათლებლო ლიტერატურას და აკვირდებიან გაცვეთილებს, რომლებიც სხვა მასწავლებლებმა ჩაატარეს. როგორც წესი, მათ ჰყავთ „გარე მრჩეველი“. ეს ადამიანი, როგორც წესი, არის ექსპერტი ან მკვლევარი, რომელიც არ მუშაობს სკოლაში. იგი მოწვეული სტატუსით ჯგუფს ურჩევს და ეხმარება თეორიული მასალის დამუშავებაში და კვლევის პროცესზე დაკვირვებაში. კვლევის დასრულების შემდეგ მასწავლებლები ერთად შეიმუშავებენ გაცვეთილის გეგმას. გაცვეთილის გეგმა ჰიპოთეზური ხასიათისაა და თითოეული ჯგუფის წევრი გამოთქვამს მოსაზრებას და ხდება მისი ანალიზი. ამის შემდეგ კი ერთ-ერთი მასწავლებელი ატარებს გაცვეთილს ჯგუფთან ერთად შექმნილი გეგმის მიხედვით, ხოლო დანარჩენები აკვირდებიან პროცესს. იაპონური მოდელის თანახმად, ხშირად სკოლის ჯგუფის არაწევრი მასწავლებლებიც აკვირდებიან პროცესს და ზოგ შემთხვევაში – სხვა სკოლის პედაგოგებიც. ამას ჰქვია საჯარო კვლევის გაცვეთილი. ვფიქრობ, ვერიფიკაციის პროცესში ეს მიდგომა მნიშვნელოვან შედეგებს მოიტანს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ამაში კი დაგვეხმარება „მეგობრული სკოლების“ ქსელის შექმნა.

მოდელი შეგვიძლია წარმოვადგინოთ ნაბიჯებად:

- სასკოლო პრაქტიკაში
- ამ მეთოდის
- დანერგვა დიდ
- სარგებელს მოუტანს
- ყველა სკოლას:
- გაუმჯობესდება
- სასწავლო
- კურიკულუმი, სკოლაში
- განვითარდება
- თანამშრომლობითი
- კულტურა,
- გაუმჯობესდება
- სწავლა სწავლების
- შედეგები,
- ხელს შეუწყობს
- მასწავლებელთა
- მუდმივი
- განვითარების
- პროცესს და
- დანერგავს სკოლებს
- შორის გამოცდილების
- ურთიერთგაზიარებას.



თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ერთ-ერთია საგანმანათლებლო პრაქტიკის კვლევა სკოლის ბაზაზე. ცნობილია, რომ იაპონია ამ გამოწვევებს შესანიშნავად ართმევს თავს და როგორც კვლევებმა აჩვენა, იაპონური მოდელის დანერგვამ დიდ ბრიტანეთშიც მაღალი შედეგები აჩვენა.

საკვლევი საგნის იდენტიფიცირება
 მასწავლებლების ჯგუფი იკრიბება და ადგენს სწავლების პრობლემას, რომლის გადაჭრაც სურთ. მასწავლებლები მოსწავლეთა სწავლის გრძელვადიან მიზნებს ადარებენ მიმდინარე სასწავლო მიღწევებს, რათა დაადგინონ სკოლის მასშტაბით საკვლევი თემა. ეს პროცესი კი ხელს უწყობს მასწავლებლებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯგუფი დაკომპლექტებული იყოს კათედრის ყველა წევრი მასწავლებლით, რაც საშუალებას გვაძლევს მომიჯნავე საგნობრივ ჭრილში შეფასდეს პროცესები.

დაგეგმვა
 მასწავლებლები მუშაობენ ერთობლივად ჯგუფებში და შეისწავლიან საკვლევი თემის შესაბამის მასალას. ერთობლივად ადგენენ გაკვეთილის გეგმას. შესაძლოა, ამას რამდენიმე შეხვედრაც კი დაეთმოს. ჯგუფი ცდილობს, წინასწარ განსაზღვროს მოსწავლეთა პასუხები, მცდარი წარმოდგენები და მისაღწევი შედეგები.

გაკვეთილზე დაკვირვება
 ჯგუფიდან ერთ-ერთი მასწავლებელი ატარებს გაკვეთილს, სხვა წევრები კი უზიტყვოდ დამკვირვებლების როლს ასრულებენ. ყურადღება გამახვილებულია მოსწავლეთა სწავლის მტკიცებულებების შეგროვებაზე და არა სწავლების განსაზღვრაზე. როგორ რეაგირებენ მოსწავლეები გაკვეთილზე? რას აკეთებენ სწორად ან არასწორად? მიზანი გაკვეთილისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაა. ტრადიციული საგაკვეთილო დაკვირვებისაგან განსხვავებით ფოკუსირებული დაკვირვება ხდება მოსწავლეზე და არა მასწავლებელზე.

გაკვეთილის შემდგომი სამუშაო შეხვედრა
 ჯგუფი იკრიბება, რათა ოფიციალურად განიხილონ დაკვირვების შედეგები. აქცენტი კეთდება დაკვირვებებისას აღმოჩენილ მიგნებებზე. ფასდება სწორი იყო თუ არა დაგეგმვისას გამოთქმული პროგნოზები. ჯგუფის წევრები გასცემენ კონსტრუქციულ უკუკავშირს, რაც ემსახურება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. ტრადიცი-

ული საგაკვეთილო დაკვირვების პრაქტიკიდან განსხვავებით, ორიენტირებული არ ვართ მასწავლებლის უნარებზე. მთავარი აქცენტი კეთდება მოსწავლეთა უნარებსა და მათ განვითარებაზე.

საკვლევი გაკვეთილის განმეორებით ჩატარება
 თავიდან ტარდება გაკვეთილი რომელიც დაიგეგმა დისკუსიის პროცესში და ეყრდნობა გაკვეთილის შემდგომი დისკუსიის შედეგებს. ეს არის ახალი გაკვეთილი და არა წინა კვლევის ხელახალი ჩატარება. უბრალოდ იგეგმება ახალი გაკვეთილი მიგნებების გათვალისწინებით. გაკვეთილის შესწავლა ფოკუსირებული უნდა იყოს მასწავლებელთა პრაქტიკის თანდათანობით ცვლილებაზე, რაც საბოლოოდ გააუმჯობესებს მოსწავლეთა მიღწევის შედეგებსაც.

გარე ექსპერტიზა
 პროცესში შესაძლოა ჩართოს გარე ექსპერტი, რომელიც დააკვირდება გაკვეთილს და გასცემს უკუკავშირს. ასევე მონაწილეობას მიიღებს დაგეგმვის პროცესში. ჩემი დაკვირვებით და ქართული პრაქტიკის გათვალისწინებით შესაძლებელია „მეგობრული სკოლების“ ქსელის შექმნა ან სამინისტროს ექსპერტების მოწვევა.

გაზიარება
 მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები ხელმისაწვდომი იყოს კათედრის ყველა წევრისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებისათვის.

სასურველია, სკოლამ დასკვნები გამოაქვეყნოს ვებგვერდზე, რაც საშუალებას მისცემს სხვა სკოლებს გამოიყენონ ერთმანეთის პრაქტიკა და ცოდნა გაუზიარონ ერთმანეთს. მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, მიიღონ ცოდნა სწავლებისა და სწავლის შესახებ სხვა ჯგუფების კვლევის გაკვეთილებზე დაკვირვებით.

იაპონიაში შესაძლებელია გაკვეთილის პროცესის გადაღება და შემდგომ ამ ვიდეომასალის დამუშავება სამუშაო შეხვედრებზე. საქართველოში მსგავსი პრაქტიკა არ გვაქვს, თუმცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონთან შესაბამისობით და განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით ვფიქრობ, შესაძლებელია მსგავსი პრეცედენტის დანერგვა სამომავლოდ და სპეციალური საკვლევი გაკვეთილების ჩატარება.

სასკოლო პრაქტიკაში ამ მეთოდის დანერგვა დიდ სარგებელს მოუტანს ყველა სკოლას: გაუმჯობესდება სასწავლო კურსულუმი, სკოლაში განვითარდება თანამშრომლობითი კულტურა, გაუმჯობესდება სწავლა სწავლების შედეგები, ხელს შეუწყობს მასწავლებელთა მუდმივი განვითარების პროცესს და დანერგავს სკოლებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.



ძვირფასო მასწავლებლებო!
ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

წიგნს: „მედიაწიგნიერების გაკვეთილები“



მედიაწიგნიერების გაკვეთილები

 კომუნიკაციების
კომისია

 განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

 unicef
for every child

